გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№194 (253) 30 ოქტომბერი-6 ნოემბერი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი



# "იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა..."

დიდმა სიყვარულმა ათქმევინა შოთა რუსთაველს ეს მაგიური სიტყვები, რომელშიც ჩაქსოვილია ღრმა პატივისცემა ღირსეული წამსვლელისა და ასევე ღრმა პატივისცემა ღირსეული მომსვლელის მიმართ! მაგრამ აშკარაა, რომ სააკაშვილი და **"ნაცებად"** წოდებული მისი დანაშაულებრივი ბანდა ამგვარ ლირიკას არ იმსახურებენ, რადგან ისინი ძალით მოვიდნენ და ლამის ძალის გამოყენებით მოგვიწია მათი გარეკვა. გავრეკეთ და თითქოს ჰაერიც გაიწმინდა – აღარ იგრძნობა შმორისა და ძალადობის სუნი, რაც საქართველოში თავისი მმართველობის 9 წლის განმავლობაში დააყენეს ამ არაკაცებმა!

საოცარია, მაგრამ ძალაუფლებაგამოცლილები კრავებივით გამოიყურებიან – თითქოს მათ არ იმსხვერპლეს უამრავი უდანაშაულო მამულიშვილი, არ მიითვისეს ხალხის კუთვნილი ფული და ქონება, არ გაავსეს ციხეები ასევე უდანაშაულო ხალხით, არ დაალპეს და გარყვნეს ქვეყანა, არ გახრწნეს ახალგაზრდობა, არ შეამზადეს პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოსტრატეგიული ნიადაგი საქართველოს საბოლოოდ დასაშლელ-გასანადგურებლად...

**მაგრად კი მოუნდომებიათ!**

ახლა ვერც კი იცნობთ საკუთარი ძალაუფლების ტკბობით გათავხედებულ სააკაშვილებს, გაბაშვილებს, მერაბიშვილებს, ცისკარიშვილებს, წერეთლებს, კუბლაშვილებს, მინაშვილებს, მოლაშხიებს, ხერხეულიძეებს, დარჩიაშვილებს – უფრო სწორედ – დარჩიევებს და დათა და ძმათა მათთა!

იმდენად თავხედები და შუბლზე ძარღვგაწყვეტილები არიან, რომ კვლავაც გვ-მოძღვრავენ, გვარიგებენ, ჭკუას გვასწავლიან, ზოგჯერ მუქარასაც გამოურევენ ხოლმე...

ჩვენი ბრალია, რადგან თავიდანვე არ მოვთხოვეთ მკაცრად პასუხი, პოლიტიკური ნიშნით **"კუდიანებზე ნადირობა"** გამოვრიცხეთ, დამნაშავეებს საქართველოდან გაქცევის უფლება მივეცით, დარჩენილ დამნაშავეებს კი ისე ვეპყრობით, თითქოს ჩვენს სასიკეთო საქმეებზე ზრუნვით ათენ-აღამებდნენ!

ამიტომ არიან იმის იმედად, რომ როდისმე რევანშს აიღებენ და კვლავ წურბელებივით მოასხდებიან კისერზე მათ მიერ სიგრძე-სიგანეზე დაჯიჯგნილ საქართველოს!

მართლა შეუგნებელი და ბრიყვი ჰგონიათ ქართველი ხალხი ამ უჯიშო გადამთიელებს!

მაგრამ, სამწუხაროდ, საამისო მიზეზი გააჩნიათ – ცხრა წელი ჩვენს თვალწინ გვიუპატიურებდნენ და გვიმცირებდნენ სამშობლოს, ჩვენ კი ერთხელაც არ ამოვიღეთ ხმა. სიბრიყვემ და სიჩლუნგემ დაგვრია ხელი იმ ქართველებს, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში რევოლუციური სულისკვეთების სიმბოლოდ და სამშობლოს უშიშარ დამცველებად აღიქმებოდნენ.

ავიღოთ თუნდაც მეოცე საუკუნის დასაწყისი, როცა რევოლუციურად განწყობილ რუსეთს ქარიშხალივით დაატყდა თავს სტოლიპინის რეაქცია, რუსეთი სახრჩობელებით გაივსო, რომელზედაც ძირითადად რევოლუციონერები კონწიალობდნენ. მაშინ რუსეთის უკიდეგანო იმპერიას ორად-ორი რევოლუციული მომქმედი ცენტრი შემორჩა – ბაქოსა და ბათუმში, რომელთა ძირითად გამწევ ძალას სწორედაც რომ ქართველი რევოლუციონერები წარმოადგენდნენ. დიახ, იმდენად დიდი იყო ხალხში რევოლუციისა და ამბოხის მუხტი, რომ ისინი თვით სიკვდილსაც კი არ ეპუებოდნენ.

დიახაც რომ სამარცხვინოა, რომ ამგვარი ძლიერი სულისკვეთების მქონე ერი დათრგუნა და საჯდომის ქვეშ ამოიდო სომეხმა სააკაშვილმა და მისმა სომხურმა ბანდამ. უკვე გამოვიდა ხმა პრეზიდენტის კანცელარიიდან იმის თაობაზე, რომ გიგა ბოკერიამ უთხრა თურმე მიხეილ სააკაშვილს: **"ქართველი ხალხი თუ არ დავაშინეთ და არ დავთრგუნეთ, ისე ვერ დავიმორჩილებთ და საკუთარ ნება-სურვილზე ვერ ვატარებთო!"**

აკი დათრგუნეს, დააშინეს და საკუთარ ნება-სურვილზეც ახტუნავეს მთელი ამ ხნის განმავლობაში! რევოლუციური მასა დრუნჩზე ჯაჭვგაყრილი მოზვერივით თვინიერად მიჰყვებოდა ქვეყნის დამაქცევართ, ხედავდა, რომ ქვეყანა და ხალხი მალე ერთად ჩაიჩეხებოდნენ უფსკრულში, მაგრამ ერთხელაც კი არ დაბადებიათ შეკითხვა: **"რატომ?"**

ახლა გახდა ნათელი, თუ **"რატომ"**! დიახაც იმიტომ, რომ, ახლა მაინც გაეკეთებინათ ის, რისკენაც ისწრაფდვოდნენ ჯერ კიდევ სოციალისტური რევოლუციის გარიჟრაჟზე, სტეფანე შაუმიანი და ალასი ხანჯიანი. ლენინის შეცდომაში შეყვანით მათ სურდათ საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანა, რაც აღმოსავლეთ საქართველოს გასომხებას გულისხმობდა! ლენინმა გაუგო მათ ჩანაფიქრი და ეს ბინძური შეთქმულება აღკვეთა, მაგრამ, უბედურება ის გახლავთ, რომ ბევრ ქართველს ჯერ კიდევ არ სურს ამის დაჯერება.

ახლა მისტირიან – ქუთაისში პარლამენტის შენობის აგებაზე უაზროდ გადაიყარა 350 მილიონი ლარიო, იმაზე კი არაფერს ამბობენ, თუ რა მოხდებოდა და როგორი ზიანი მიადგებოდა სრულიად საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანის შემთხვევაში.

განა ეს არ მიუთითებს ჩვენს სიბრიყვეზე?

თუმცა სააკაშვილიც ვერ გამოიყურება მთლად დალაგებულად უკანასკნელად განვითარებული მოვლენების ფონზე. ამას წინათ, რუმინეთში გამართულ ევროპის ქვეყნების სახალხო პარტიების თავყრილობაზე განაცხადა, რომ პუტინი გახარებულია ივანიშვილის პოლიტიკური ძალის გამარჯვებით, რადგან ბიძინა ივანიშვილი და მისი **"მეოცნებეები"** რუსული ორიენტაციისანი არიანო.

სიმართლე გითხრათ, მე რუსებს ამ ამბით გამოწვეული სიხარული ნამდვილად ვერ შევამჩნიე, დამწუხრებულები კი ნამდვილად არიან, რადგან ვერასოდეს ნახავენ სააკაშვილისნაირ სულელს, რომელიც მათ მიერ **"მტრად"** აღიარებულ ჩრდილოელ მეზობელს მთლიანად ჩაუგდებდა ხელში უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტებს და მისცემდა მათ საკონფლიქტო ზონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების იურიდიულ საფუძველს. აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ გუბაზ სანიკიძის მიერ სააკაშვილისადმი ნათქვამი: **"ჩვენ საქმე გვაქვს ბოროტ სულელთან"**-ო.

ასევე უხასიათობა ეტყობათ ამერიკის სომხური რეაქციული წრეების წარმომადგენლებს, რომელთაც დიდი ფული ჩადეს სააკაშვილის გაპრეზიდენტებისათვის და საქართველოს დანგრევის კონკრეტული გეგმით აღჭურვეს იგი. ისიც ფაქტია, რომ ყველა მილიარდერი სომეხი ამერიკაშია გამდიდრებული და დღესაც იქ იხვეჭს ქონებას. მუდამ დიდი ფულის შოვნის სურვილს ატანილმა ამერიკელებმა კი, არა მგონია, რომ როდისმე რაიმე სასიკეთო საქმე გააკეთონ რუსებისათვის!

ამავე დროს, მათ დიდძალი თანხა აქვთ გადახდილი სააკაშვილის გაპრეზიდენტებისათვის, რათა მას საფუძვლიანად მოენგრია საქართველოს სახემლწიფოებრიობის საძირკველი, რაც მან კინაღამ მოახერხა კიდეც. როგორ გგონიათ, ეს ამერიკელი რეაქციონერები როდისმე შეურიგდებიან ასეთ მძიმე დანაკარგს?

ესენი ხომ ის ადამიანები (უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა – არაადამიანები!) არიან, რომლებიც დასახული მიზნის სარეალიზაციოდ ყოველგვარ უკადრის საქმეზე მიდიან, თვით ტერორის გამოყენებითაც კი. როგორ გგონიათ, მართლაც ბრმა შემთხვევის შედეგად დაიღუპა გაწონასწორებული პოლიტიკოსი, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, რომელმაც **"აღმოაჩინა"** სააკაშვილი და გაუკაფა მას გზა უმაღლესი ხელისუფლებისაკენ და რომელიც არასგზით არ დაუშვებდა მის **"გადიქტატორებას"**?

ან იქნებ, ვინმეს ჰგონია, რომ უკვე **"გადიქტატორებული"** სააკაშვილის პრეზიდენტობის მოცილე მილიარდერი ბადრი პატარკაციშვილი დაიღუპა გულის შეტევით? იგი ხომ საკუთარი ექიმების მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, რომელთაც არასდროს გამოეპარებოდათ ბადრის ჯანმრთელობიდან გადახრის ელემენტარული სიგნალიც კი! და როგორ ფიქრობთ – თუ სააკაშვილმა თავისი მფარველი და აღმზევებელი ზურაბ ჟვანია არ დაინდო, იგი იმ ბიძინა ივანიშვილს დაინდობს, რომელმაც სააკაშვილი დამაჯერებლად დაამარცხა და მთელ მსოფლიოს მოჰფინა მისი სამარცხვინო საქმეები?

ამიტომ გვჭირდება დიდი სიფხიზლე ქართველებს, რათა საქართველოსათვის მძიმე სენად ქცეული ნაციონალები და სააკაშვილი კვლავ არ დაეპატრონონ საქართველოს, თორემ შემდეგ ჩვენს დაღუპვას მართლაც ვეღარაფერი დაუდგება წინ!

არა და, ამის სურვილი აშკარად შეინიშნება სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების მოქმედებებში, რომლებიც კვლავაც ფაშისტური მეთოდებით აგრძელებენ ქვეყნის მართვას. ამის დასტურად თუნდაც გიგი უგულავას საქციელი კმარა, რომელმაც დაცვის საკუთარი ქვედანაყოფი შექმნა იმისათვის, რომ ზონდერების გუნდი არ დაეშალოს. ასევე სერიოზულ ეჭვს იწვევს სააკაშვილის გადაწყვეტილება სახელმწიფო დაცვის სამსახურის შემადგენლობაში მოსმენის სამსახურის შეყვანის და ამ სისტემის საკუთარ მორჩილებაში სრულად გადაყვანის თაობაზე. ფრიად საფრთხილო და საეჭვოა ისიც, რომ უთანაბრო პოლიტიკურ რინგზე **"სასტიკად"** დამარცხებული მიხეილ სააკაშვილი აგრერიგად **"დაუტკბა"** იმ გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას, რომელთაც რამდენიმე კვირის უკან ხან **"ვირთხებად"** მოიხსენიებდა, ხან კი **"რუსეთის აგენტებად და მუმიებად"**!

და რაც მთავარია, ახლა აცხადებს სააკაშვილი, რომ გუბერნატორები კი არ უნდა დავნიშნოთ, არამედ უნდა ავირჩიოთო! კარგად იცის, რომ მისი დიქტატურის საყრდენს სწორედ მის მიერ გუბერნატორებად არჩეული გოროზიები, ღვინიაშვილები, კირკიტაძეები და სხვა პოლიტიკურად უსარგებლო დანამატები წარმოადგენდნენ!

მოკლედ, ზღვარი არ უდევს ამ ადამიანის სახედაკარგული არსების უზნეობასა და ფარისევლობას, მაგრამ, ისტორიიდან ცნობილია, რომ ზნედაცემული პოლიტიკური მოღვაწეები სწორედ მზაკვრობით, ფარისევლობითა და ქვემძრომობით აღწევდნენ დასახულ მიზანს!

მიზნისკენ კი გველივით უჩუმრად მისრიალებდნენ სააკაშვილი და მისი სახელისუფლებო ბანდის წევრები:

– საკონსტიტუციო სასამართლოს გადატანა ბათუმში;

– პარლამენტის გადატანა ქუთაისში;

– გოდერძის უღელტეხილზე ავტოსტრადის გაყვანა, რაც პირდაპირ უხსნის გზას სომხეთს შავი ზღვისაკენ;

– აჭარის **"თურქიზაცია"** და ქობულეთში სომხური მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა;

– ახალციხის რაბათის გახსნის საზეიმო კონცერტზე არა რომელიმე ქართველი მომღერლის, არამედ სომეხი შანსონიეს შარლ აზნავურის მოწვევა;

– სომხეთის ეკლესიის კათოლიკოს გარეგინთან ერთად ბინძური შეთქმულების ორგანიზება ქართული ეკლესიის წინააღმდეგ...

ნუთუ მართლა ბრმები ვართ ქართველები, რომ სააკაშვილის ამ მზაკვრულ განაზრახს ვერ ვხედავთ და ჩვენვე ვაძლევთ ამ პირწავარდნილ **"დაშნაკს"** ქვეყნის ხელისუფლებაში დაბრუნების იმედს?

ნუთუ კიდევ ვერ ვხვდებით უბეში გველებად შემოსრიალებული **"მოყვრების"** მიერ არაერთგზის გაბრიყვებული ქართველები, რომ ოდნავადაც არ უნდა მოვადუნოთ ყურადღება, თავი უნდა გავანებოთ მესიანობაზე ოცნებას და ყველა აქტიურად უნდა ჩავერთოთ საქართველოს აღმშენებლობის საქმეში! ქილიკად ნურავინ ჩამითვლით, მაგრამ განა სწორედ მესიანობისადმი ბრმა მორჩილებამ არ გაიყვანა საქართველოს მართვის სადავეებთან ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის გარეშე საარჩევნო მინიმუმსაც კი ვერ გადალახავდნენ? ეს პოლიტიკოსები ხომ მშვიდად უცქერდნენ იმას, თუ როგორ ანგრევდნენ სააკაშვილი და მისი **"ნაცები"** საქართველოს სულიერებას, ეკონომიკას, განათლებას, მეცნიერებას, კულტურას, რელიგიურობას... ან იქნებ იმას უარყოფს ვინმე, რომ თავისუფლების ინსტიტუტში აღზრდილი **"რესპუბლიკელები"** თავად არ მონაწილეობდნენ ქვეყნის ტრადიციების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში? როგორ გგონიათ, ბიძინა ივანიშვილის დიდი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ისინი ძველებური შემართებით არ გააგრძელებენ ანტიქართულ **"მოღვაწეობას"**?

მართლაც რომ **"ნეტარ არიან მორწმუნენი"**, თუ კიდევ ბრმად გვწამს ვინმეს მიერ ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაუსაბუთებლად შეპირებული კეთილდღეობის!

არაერთგზის გვითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: აუცილებელია საქართველოში გამოჩნდეს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ორიენტირებული იქნება ქვეყნის გაძლიერებაზე და არა საკუთარი გუნდის აღმასვლაზე, მისთვის ხელოვნური, მოჩვენებითი ავტორიტეტის შექმნის გზით. რომელიც ქვეყანას გაუძღვება წინასწარშემუშავებული, ქვეყნისათვის სასარგებლო პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრატეგიითა და იდეოლოგიით და არა კონკრეტული ობიექტური თუ სუბიექტური პრობლემების გადაწყვეტის მოკლევადიანი გეგმების რეალიზაციით, მყარი პოლიტიკური მრწამსით და არა კაცთმოძულე ტირანებისათვის ესოდენ დამახასიათებელი შინაგანი იმპულსებით.

დიახ, **"ქართული ოცნების"** გამარჯვებით გაიმარჯვა სრულიად საქართველომ, მაგრამ გამარჯვება ხომ ნახევარი საქმეა! მთავარია ამ გამარჯვების მონაპოვრის შენარჩუნება, რასაც დიდი ერთსულოვნება და მუდმივი ძიება სჭირდება. ერთი რომელიმე პოლიტიკური ძალისათვის კი სრული ძალაუფლების ხელში ჩაგდებამ შეიძლება დიქტატურის სრულიად ახალ ფორმამდე მიგვიყვანოს, რაც სასიკეთოს არაფერს უქადის უჯიშოთა მოძალებისაგან გაწამებულ ქვეყანასა და ხალხს!

ასე რომ, ფრთხილად, ქართველებო!

მტერი დამარცხებულია, მაგრამ – არა განადგურებული!

**P.S. რაც შეეხება გოროზიას, მართლაც შუბლის ძარღვი უნდა ჰქონდეს გაწყვეტილი ადამიანს, რომ, გუბერნატორად დაბრუნდეს იმ რეგიონში, სადაც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ეზიზღება.**

**სხვების არ ვიცი, მაგრამ მე ნამდვილად ავუჭედავდი კაბინეტის კარს ასეთ "გუბერნატორს".**

**როლანდ ჯალაღანია,**
**"ფაზისის" და "აიას" აკადემიების ნამდვილი წევრი.**

# მოგზაურობანი

**სოხუმ-ზუგდიდის გზატკეცილი – თ. დ. გოლიცინის გავლა ამ გზაზე. – სამურზაყანოელთა და ცალკე ილორელთა საჩივარი. – ოქუმისაკენ. – ჭირნახულს ცუდი პირი უჩანს. – ორჩამჩირული ტაიჭი. – ოქუმი. – ოქუმის ქართული წიგნსაცავი.**

მეორე ადგილიდან ოქუმის წიგნსაცავს უგზავნიან 322 სხვადასხვა ქართულ წიგნს და წიგნსაცავის გამგეს სწერენ: **"...თქვენ კარგად გესმით, თუ რა იარაღია ეხლანდელ დროში კაცის ხელში წიგნი. მაშ მიაწოდეთ იგი ყველას! გაუმკლავდით მოღალატეებს, ვინაიდან ჩვენ, თუ ერთმანეთის გატანა და ერთი პირი გვექნება, მტერი ვერას დაგვაკლებს. მიმართეთ კერძო წერილებით ჩვენს "წიგნების გამომცემელ ამხანაგობათ", შეაწუხეთ ყველა, აუხსენით საჭიროება საგნისა, ეს ის ხანია, როდესაც დიდი მეცადინეობა გვჭირია, თორემ თუ, ჩვეულებისამებრ, ქართულად, ძილს თავი არ ვანებეთ, სამუდამოდ დავიღუპებით. თქვენგან დაწყებული საქმე დიდი საქმეა და დარწმუნებული იყავით, რომ თქვენც გექნებათ წილი დიდებული ტაძრის აშენებაში"...**

მესამე კიდე აი, რასა სწერს: **"ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ძმავო, შეუვალს უკუნეთში განათლების სხივი მოგეფინოს, მაგრამ, როგორც ვხედავ, მანდაური კაცის გული და ყინული ერთი უნდა იყოს. მანდ ერთი და ორი კაცი კი არა, ასი კაცი უნდა იყოს, რომ მანდაურის გაყინულ გულში ნამდვილი სითბო შეიტანოს. იცოცხლე და ღმერთმა მოგცეს სიმხნევე და მოთმინება, რომ თქვენს ცდას უნაყოფოდ არ ჩაევლოს".**

წიგნთსაცავის თაროებს ამშვენებს მშვენივრად დაკაზმული თხზულებანი ჩვენი სახელოვანი მწერლებისა ალ. ყაზბეგისა, აკაკისა, ილ. ჭავჭავაძისა, რაფ. ერისთავისა და სხვა. მერე მოსდევს წვრილი წიგნები, რიცხვით 500-მდე. ამ წიგნებში ურევია მთელი ბიბლიოთეკა თვითონ დამაარსებლისა, 200 წიგნზე მეტი. ამ უკანასკნელ დროს **"წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამაც"** გამოუგზავნა წიგნთსაცავს სამი თუმნის მეტი წიგნები.

ქართულის გარდა წიგნთსაცავს აქვს რუსული განყოფილებაც. შიგ ნახავთ დოსტოევსკის, ლერმონტოვისა და სხვათა თხზულებებს.

წიგნის კითხვისათვის მსურველთ არაფერი ერთმევათ. მხოლოდ ვისაც უნდა შემოსწირავს. ერთად-ერთი წყარო შემოსავლისა – წევრებია. წიგნთსაცავს ჰყავს 17 წევრი, რომელნიც წიგნთსაცავის სასარგებლოდ წელიწადში 48 მანეთს იხდიან. სხვა წყარო შემოსავლისა ოქუმის წიგნთსაცავს ჯერჯერობით არა აქვს.

მე რომ ვნახე, სულ ერთი თვის გახსნილი იყო წიგნთსაცავი. უმეტესობამ ჯერ კიდევ კარგად არ იცის, რა არის წიგნთსაცავი, ან რა დანიშნულება აქვს. ჯერ მარტო ვაჭრები ჰყავთ წიგნთსაცავს მუშტრებად, სულ 10 კაცს მიაქვს წიგნები შინ საკითხავად და ორიოდე სოფლის მასწავლებელნიც სარგებლობენ აქაური წიგნთსაცავის წიგნებითა.

საკვირველია, სხვაგან ყველაზე მეტი მუშტარი კაზმულსიტყვაობას ჰყავს და აქ კი უფრო ისტორიულ ნაწერებს ეტანებიან. აღტაცებაში მოდიან, როცა კითხულობენ ი. გოგებაშვილის **"თავდადებულ ქართველებს"** რომელშიაც ნაცნობი გმირი **"ცოტნე დადიანი"** ყველას თვალწინ უდგა. ყაზბეგის გემოს ცოტ-ცოტათი იღებენ. ყველაზე მეტად ეტანებიან **"ჩანგსა"** და **"ქალ-ვაჟიანს"**.

ოქუმის წიგნთსაცავი, იმედია, თანდათან, რაც ხანი გაივლის, მკვიდრ ნიადაგზე დადგება, წიგნებს შეიძენს და მატერიუალურად უზრუნველყოფილი იქნება მისი არსებობა. მაშინ, უეჭველია, მისგან მოტანილი სარგებლობაც თვალსაჩინო იქნება. ამიტომ ყველა ჩვენგანის მოვალეობაა, ხელი მოვუმართოთ ამ ახალ ფეხადგმულ საქმესა, ფრთა გავაშლევინოთ. სულმნათის, შოთა რუსთაველის საგულისხმო სიტყვები: **"რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია"** მარად უნდა გვახსოვდეს. მით უფრო გვმართებს ყველას ხელის გამოღება, რომ სამურზაყანო განაპირა ადგილია საქართველოსი, მოშორებულია ცენტრს, მოკლებულია ნასწავლებს და გულშემატკივრებს. ერთი და ორი კაცი, სხვა არა იყოს, ბრალია, ამოდენა მხარეში. გულითაც რომ უნდოდეთ, თუ სხვა არ ეხმარება, თუ სხვა არ უდგას მხარში, იმდენს ვერას გააკეთებს, რამდენსაც გააკეთებდა სხვა დროს, სხვა გარემოებაში. არამც თუ არსებულ წიგნთსაცავებს უნდა მივეშველნეთ, არამედ, საცა არ არის გახსნილი, ვეცადეთ გავხსნათ.

ჯერ ხანად მთელი ჩვენი ყურადღება აქეთკენ წიგნთსაცავებს უნდა მივაქციოთ, იმიტომ რომ ქართული სკოლები არა გვაქვს ამ მხარეში, სკოლებიც ცოტაა, და სადაც კი არის შიგ ქართულის ხსენება არ არის. მარტო წიგნები თუ არ დაგვაიწყებს ჩვენს ენას, ჩვენს თავს, ჩვენს წარსულსა; მარტო წიგნების შემწეობით თუ დავიწყებთ ზრუნვას ჩვენი აწმყო და მომავლის კეთილ-მდგომარეობისათვის.

### III

**გარეგნობა სამურზაყანოს სოფლისა. – კარ-მიდამო სამურზაყანოელისა. – შინაური საქონელი აქაურთა. – უსკოლო სოფელი. – ეკლესიები. – თავისებური სასაფლაოები. – გზები.**

თავისებურია სამურზაყანოს სოფელი. ძირეული განსხვავებაა აქაურსა და აღმოსავლეთ საქართველოს სოფელს შორის. იმ დროს, როცა ქართლის, ერთმანეთზე მიყრილ სახლებს სულ მეოთხედი საათის განმავლობაში შემოუვლის კაცი, აქ, სამურზაყანოში, მთელი ორი საათია საჭირო, რომ სოფლის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გაატანოთ. უჩვევი კაცი, თუ აქ ჩავარდა, ვეღარც კი იფიქრებს, თუ სოფელშია. წინ ტყეა, უკან კიდევ ტყე. ორივე მხარესაც იგივე ტყე გარტყიათ.

აქა-იქ, ოაზისებივით, ტყე გაკაფულია და სიმინდის ყანაში ყავრული სახურავი მოსჩანს სამურზაყანოელის სახლისა. იშვიათად ნახავთ ორ-სამ სახლს, რომ ერთმანეთისგან ღობე ჰყოფდეს. უმეტესობა მათგან კილომეტრსა და მეტსაც ჰშორავს ერთი-მეორესა. ცხრა მთას იქით, და რომელსამე სახლს ცეცხლი რომ გაუჩნდეს, სანამ მეზობელი მოეშველებოდეს, აქაური მოსახლე ძირ-ბუდიანად გადაიბუგება და ჭერი არ დარჩება თავშესაფარებელი. ახლა წარმოიდგინეთ ოთხას-ხუთასი კომლი, ხუთი ოთხკუთხა კილომეტრის სივრცე ადგილზე დაბინავებული, და ეს იქნება აქაური სოფელი!..

თითოეულ მოსახლეს უფრო ხშირად თხემლის წკნელის ღობით და, თუ შეძლებული თავადისშვილია, მუხის მესერით შემოკავებული აქვს 3-6 დღიური მიწა. შუაში უდგას წაბლის ან თხემლის ფიცრისაგან გაკეთებული ორ-სამ თვლიანი ოდა; ამას მოდგმული აქვს სამზარეულო, ცოტა მოშორებით ფიცრული ხულაა, ხულას გვერდით სასიმინდე დგას, რომელსაც ქვეშ ფიცრის კედლები აქვს, საქონლის დასაბმელად მომართული.

ამ შენობებს ერთი დღიური მიწა, თუ არ მეტი, უჭირავს. სახლის წინ ეზო ჭიშკრამდე თავისუფლად არის გაშვებული, ქორფა ბალახს ხშირად ზედ დაჰყურებს ასწლოვანი კაკლის ხე, და მის განზე გასული ტოტების ხშირ აჩრდილს თავს აფარებენ სიცხეში აქაური მამა სახლისა და მისი სტუმრები. ზოგან, კაკლის ხის გარდა, ნახავთ რომელსამე ხეხილს. სხვა ხეებში თხმელა სჭარბობს აქაურების ეზოში. ყველას სათითაოდ მირგული აქვს ვაზი. იქ, სადაც ხეები იშვიათია, ეზოში შუაგულ ალაგას ნახავთ ტოტებიან სარს, სარს მიწაში ჩარჭობილს. ამ სარის დანიშნულება ის არის, რომ ზედ მიაბამენ ხოლმე სტუმრის ცხენებსა, დანარჩენ ადგილზე სიმინდის ყანა ბიბინებს.

სასახლე დგას შემოღობილ ადგილს გარეშე. გარდა მდინარე ოქუმ-წყალისა და ოხოჯეს პირად მდებარე ნაყოფიერი ჭალებისა, ბევრია აქ შეუმუშავებლად გაშვებული მიწა. უმეტესობა ამ მიწებისა დაფარულია ან ნარ-ეკალათი და სხვა გამოუსადეგარი ბუჩქებით, ან არა და გვიმრათი, რომელიც აქ, ნოყიერ ნიადაგის წყალობით, საოცარი სიმაღლისა იზრდება. ზოგან მხარ-ნახევარი სიმაღლე აქვს აქაურ გვიმრას. შიგ თავისუფლად დამალვა შეუძლია როგორც ადამიანს, ისე საქონელს.

საბალახო ადგილები აქ ცოტაა, და სადაც კია, საქონელი ზამთარ-ზაფხულ ზედ ასევია. ბალახს ამობუსუსებასაც კი არ აცლიან აქაური ოთხფეხი, – მაშინვე ძირიანად ჰგლეჯავს მიწიდან. გარეთ, თავისუფალ ადგილზე, ბალახს რომ ვერ შოულობს საქონელი, ღობეებსა სტეხავს და ყანას ეტანება. ხოლო აქაური ღობე არც ისე მკვიდრია, რომ შიმშილისაგან გაალმასებული საქონელი დაიჭიროს და გლეხის ნაოფლარი არ მოაძოვინოს. კიდევ ამიტომ არის აქეთკენ ასე ხშირი სიმინდობის დროს გლეხებს შორის დავა და ჩხუბი. ამ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად აქაურნი საქონელს უღელს დაადგამენ ხოლმე კისერზე. ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ უღლიანი ხარი, ძროხა, ღორი, და, წარმოიდგინეთ, ძაღლიც კი! ძაღლებიც კი აფუჭებენ სიმინდის ყანებსა. სასაცილო სანახავია ასეთი ძაღლი, რომელიც ერთი მხარის სიგრძე მსხვილ ჯოხსა მიათრევს და იმის სიმძიმისაგან კისერი საცოდავად მოღრეცია...

რასაკვირველია, სხვა არა იყოს-რა, რომ ასეთ მდიდარს ბუნებაში საქონელს საკვები აკლდეს! კიდეც იმიტომაა, რომ აქაური საქონელი ისეთი დაკნინებული ჯიშისაა, რომ აქაური ძროხა ასე ცოტა რძეს იძლევა, რომ აქაური ღანღალა-გადალეულ მუშა-საქონელს ძალა ვერ შესწევს ხანგრძლივი მუშაობა აიტანოს. მძიმე ტვირთს მოერიოს სხვაგნებურ დარჩეულის ჯიშის და უკეთესად მოვლილ საქონელივით.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

## აფხაზეთი კავკასიონის მთაგრეხილზე ავტოსტრადის გაყვანის წინააღმდეგია

სოხუმში სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა, თავის გამოსვლაში, ხაზი გაუსვა უარყოფით დამოკიდებულებას კავკასიონის მთაგრეხილზე ავტოსტრადის გაყვანის საკითხთან დაკავშირებით, რომლის აუცილებლობასაც სრულიად უსაფუძვლოდ ამტკიცებს ზოგიერთი იურიდიული და კერძო პირი. მან აღნიშნა, რომ **"სოხუმი-ჩერკესკის"** გზის გაყვანის თაობაზე, კავკასიონის მთაგრეხილის გავლით, ზუსტად იმდენი იცის, რამდენიც იციან ჟურნალისტებმა. მიუხედავად ამისა, ანქვაბმა დააფიქსირა საკუთარი აზრი, ამ თემასთან დაკავშირებით, როგორც მოქალაქემ და როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელმა: **"მე ამ პროექტის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, მით უმეტეს, რომ კოდორის ხეობა ჩვენთვის უნიკალურ ბუნებრივ ძეგლს წარმოადგენს. აფხაზეთის მრავალ მოსახლეს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არა აქვს გააზრებული, თუ როგორ აუწონავ და დაუთვლელ სიმდიდრეს ფლობს კოდორის ხეობის სახით. ჯერ კიდევ 2005-2006 წლებში, მე და აწგანსვენებული სერგო ბაღაფში განვიხილავდით ამ დაცული ტყის ზონაში უნიკალური ეროვნული პარკის შექმნის საკითხს, რაც როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე რესპუბლიკის სტუმრების ერთ-ერთ დასასვენებელ ადგილად უნდა ქცეულიყო. 2009 წელს ჩვენი ინიციატივით შეიქმნა შესაბამისი კომისია, რომელმაც, შეიძლება ითქვას, რომ ზღვა სამუშაო გასწია. მე მაშინ ვურჩიე აფხაზეთის რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს რომან დბარს, რომ საჯარო გაეხადა კომისიის მუშაობის შედეგები, ყოველივე დაწვრილებით მოეხსენებინა აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატებისათვის, ჩაეტარებინა გაფართოებული პრეს-კონფერენციები. ჩვენ ვალდებული ვართ მომავალი თაობების წინაშე, რომ კოდორის ხეობა უნდა შევინარჩუნოთ პირვანდელი სახით. ეს არა მხოლოდ ჩემი მტკიცე აზრი გახლავთ".**

რაც შეეხება დიდი სიღრმეების მქონე საზღვაო პორტების მშენებლობას, ბატონ ალექსანდრე ანქვაბის აზრით, ამ საქმეში უკიდურესად დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. **"შავი ზღვის აფხაზეთის მონაკვეთი ფრიად სპეციფიურია და მასში ადამიანის უხეშმა ჩარევამ შეიძლება ფრიად არასასურველ შედეგებამდე მიგვიყვანოს,** – ხაზგასმით აღნიშნა ბატონმა ალექსანდრე ანქვაბმა,– **აფხაზეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არავის მისცემს იმ პროექტების განხორციელების საშუალებას, რასაც შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკოლოგიას. ჩვენ ძალზე პრინციპული ეკოლოგები გვყავს, რომლებიც პოლიტიკური დაწოლის არსებობის შემთხვევაშიც კი არ დაიხევენ უკან. ჩვენ კი არასგზით არ დავუშვებთ მათზე რაიმე სახის პოლიტიკურ თუ ადმინისტრაციულ დაწოლას".**

გაზეთ "ილორის" რედაქციისაგან: *როგორც ხედავთ, აფხაზეთის პრეზიდენტს ბატონ ალექსანდრე ანქვაბს საკმაოდ მტკიცე პოზიცია გააცნია იმ პროექტების მიმართ, რომელმაც შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს აფხაზეთის ფლორას და ფაუნას. კარგი იქნებოდა, რომ სააკაშვილს და მის "ნაცბანდას" მაგალითი აეღო ამ ადამიანისაგან, რომელიც თვლის, რომ დღევანდელი ბუნება მომავალი თაობის საკუთრებაა და მას სათანადოდ უნდა მოვუაროთ! განა სწორედ საქართველოს არაქართული ხელისუფლების უმძიმესი დანაშაული არ გახლავთ ის, რომ უაზრო ჰესების აგებითა და ხე-ტყის უთავბოლო ჭრის გამო საქართველო იქცა აუღრესად საშიშ მეწყერულ ზონად? მეორე დიდი უბედურება კი ის გახლავთ, რომ ხის უნიკალური ჯიშების რეალიზაციის თანხიდან ბიუჯეტში კაპიკი არ შედიოდა და იგი ნაციონალთა სასურველი ადამიანების მიერ შექმნილი კერძო სტრუქტურების სალაროებში ილექებოდა, საიდანაც ოფშორულ ზონებში არსებული ნაცბობოლების ანგარიშებზე ირიცხებოდა ხოლმე.*

*ამჟამად საკუთარი ხალხის ოპოზიციაში მყოფი სააკაშვილი (იგი ხომ ყოველთვის ქართველი ხალხის ოპოზიციაში იმყოფებოდა) კი ჩვეული უტიფრობით აცხადებს, რომ სწორედ მისი ხელისუფლება ზრუნავდა საქართველოსა და ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის!*

*მართლაც დიდი შრომა დასჭირდებათ ქართველ სამართალდამცავებს, რომ ქვეყნის დამაქცევარ "ნაციონალთა" უამრავ დანაშაულს მოჰფინონ ნათელი.*



გვერდში გამოყენებულია აფხაზეთის რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტო "აფსნიპრესის" მასალები

# კიდევ ერთი საკაცობრიო მნიშვნელობის სენსაციური მოვლენა

როგორც ცნობილია, იყო დრო, როცა მეცნიერების არც ერთი დარგი არ არსებობდა, როცა ადამიანი ასამდე თვლასაც ვერ ახერხებდა. დადგა დრო, როცა ადამიანთა საზოგადოება ათასობით მეცნიერების დარგსა და ქვედარგს ფლობს.

ადამიანმა სრული სიზუსტით გაიანგარიშა დედამიწის, მთვარის, მზის, სხვა ციური სხეულების ზომები, მასები, დაშორებანი ერთმანეთისაგან, მათი მოძრაობის სიჩქარე და ა. შ.; აღმოაჩინა, რომ სამყარო შედგება გალაქტიკათა უსასრულო რაოდენობისაგან, რომ, მათ შორის, ჩვენს გალაქტიკაში, რომელშიც ჩვენი მზე შედის, 150 მილიარდი ვარსკვლავი აღირიცხება. ადგილისა და დაშორების მიუხედავად, ადამიანებს შორის დამყარებულ იქნა სატელეფონო და სატელევიზიო კავშირურთიერთობა...

ასეთ პირობებში, ოდითგანვე დაინტერესების მიუხედავად, ადამიანმა ვერ შეძლო ენის წარმოშობის საფუძვლების შესწავლა და იგი შეუძლებლადაც კი გამოაცხადა.

მართალია, საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის შესახებ, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან მრავალი თეორია წარმოიშვა, მაგრამ ვერც ერთი მათგანის დამტკიცება ვერ მოხერხდა. ისინი სათითაოდ უარყოფილ იქნენ საპირისპირო თეორიების მიერ.

ენის წარმოშობისა და საერთოდ ენის ფენომენის შესახებ ენათმეცნიერებაში გაბატონდა ასეთი შეხედულებები:

**„ენის ლექსიკის (სიტყვების) უდიდესი ნაწილი არაფრით არის მოტივირებული, შემთხვევითია და ნებისმიერი.“**

**„არ არსებობს არავითარი კავშირი საგანსა და სიტყვას შორის ანუ აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის. მათ შორის კავშირი მხოლოდ პირობითია.“**

**„თანამედროვე ენაში პირველყოფილი მეტყველების კვალიც კი არ არის დარჩენილი. მის შესახებ არავითარი ჩანაწერი არ არსებობს, ვინაიდან ენის წარმოშობა ხდებოდა პრეისტორიულ ხანაში. ამიტომაც ენის წარმოშობის საკითხის შესწავლა შეუძლებელია. ენის წარმოშობის საკითხი კაცობრიობისათვის სამუდამოდ დაკარგულია.“**

**საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის ბუნებითობის, და, კერძოდ, ხმაბაძვითობის თეორია ენათმეცნიერების მიერ უარყოფილ იქნა შემდეგი მოტივებით: „ხმაბაძვითი სიტყვები ენის ლექსიკაში ძალზე მცირე ნაწილს შეადგენს და მათ ენის წარმოშობის საქმეში რაიმე მნიშვნელობა არ შეიძლება მიენიჭოს;“ „სიტყვების უდიდესი ნაწილი არამოტივირებულია, არაიდეურია;“ „საგანს სახელი მისი ბუნების, კერძოდ, ხმაბაძვითობის მიხედვით რომ ერქვას, არ გვექნებოდა ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა სახელი სხვადასხვა ენაში ანუ არ გვაქნებოდა სხვადასხვა ენა“.**

ასეთ ვითარებაში, მამა და შვილმა თანაავტორებმა, მამანტი ძაძამიამ და ცირა ძაძამიამ, 1997 წელს გამოცემული ნაშრომით **„ენის წარმოშობის საიდუმლოება“**, გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის ყოველმხრივ ღრმად შესწავლის საფუძველზე, პირველად ენათმეცნიერების ისტორიაში, წარმოაჩინეს ენის წარმოშობის ჭეშმარიტი საფუძვლები. კერძოდ, დაადგინეს, რომ საგნის (სხვა მონაცემის) სახელდებისა და ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ანუ ბუნების საგნების მიერ გაღებული ბგერებისადმი ხმაბაძვითობა.

**ეს იყო საკაცობრიო მნიშვნელობის პირველი უპრეცედენტო სენსაციური მოვლენა (აღმოჩენა) მსოფლიო ენათმეცნიერებაში.**

ახალი, დამატებითი არგუმენტებით სრულად დაასაბუთეს ენის წარმოშობისა და განვითარების საფუძვლები, იმავე ავტორებმა, 2003 წელს გამოცემული ნაშრომით: **„სიტყვათწარმომავლობა – „ენის წარმოშობის საფუძველი“.** ამასთან, გამოიტანეს ფრიად დიდმნიშვნელოვანი დასკვნა, რომ **„თანამედროვე ენა წარმოადგენს პირველქმნილი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებისა და მათი იმთავითვე ბუნებრივად თანმხლები ემფატიკური** (ემფაზიისმიერი ანუ სახმოსნო ორგანოების დაძაბვისმიერი) **მარცვალწარმომქნელი და დეტერმინანტი** (იდეაგანმსაზღვრელი) ნახევრადხმოვანი) **ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან შედგენილ პირობით ნიშანთა სისტემას“.**

ეს იყო საკაცობრიო მნიშვნელობის კიდევ ერთი უპრეცედენტო სენსაციური მოვლენა (აღმოჩენა) მსოფლიო ენათმეცნიერებაში.

სრული საბუთიანობით, – გამოკვლევის ობიექტის, მეგრული ენის ლექსიკის კოლოსალური ნაწილის მოხმობისა და სიტყვათა წარმომავლობის სრულად შესწავლა-წარმოჩენის საფუძველზე, – დაასაბუთეს მათ თავიანთი კვლევის შედეგები (ამჯერად ვლ. ვახანიას თანაავტორობით), 2007 წელს გამოცემული შვიდტომეულით **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“.** ამასთან, აქ მათ წარმოადგინეს მეგრულის ლექსიკა, რომელიც მოიცავდა (ითვლიდა) 103 მილიონამდე სიტყვას.

**ეს იყო საკაცობრიო მნიშვნელობის კიდევ ერთი უპრეცედენტო სენსაციური მოვლენა (აღმოჩენა) მსოფლიო ენათმეცნიერებაში.**

ამ დღეებში დამთავრდა კომპიუტერული უზრუნველყოფა ოცტომეულისა სახელწოდებით: **„მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ცოცხალი მატიანე“.**

ოცტომეულის ავტორები არიან: პროფესორები და აკადემიკოსები: **მამანტი ძაძამია** და **ცირა ძაძამია,** აკადემიკოსები: **ირინე ძაძამია, ია ძაძამია, ბესარიონ ძაძამია, ელეონორა მებონია-ძაძამია** და **ირაკლი ხაჭაპურიძე**.

ოცტომეული საფუძვლიანდება მამა და შვილი თანაავტორების, მამანტი ძაძამიას და ცირა ძაძამიას ერთობლივი 3200-მდე (გამოქვეყნებული თუ ჯერაც გამოუქვეყნებელი) საენათმეცნიერო ნაშრომით, მათ შორის, 10 მონოგრაფიით, აქედან, – ერთი შვიდტომეულითა და ერთი სამტომეულით. ესენი (მათი მონაცემები), ახალ მასალასთან ერთად, აქ მეტნაკლები სისრულით არის ასახული, მაგრამ არც ერთი მათგანი ზუსტად არ არის განმეორებული.

ოცტომეულის II–XVI ტომებში წარმოდგენილია (მოხმობილია) გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის მთელი ლექსიკა (სიტყვობრივი მარაგი), ორ ნაწილად. მათ შორის: 1) მეგრულის ზმნური ფონდი (ზმნები და სახელზმნები), **„მეგრულის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის“** სახით განთავსებულია ოცტომეულის II–XV ტომებში და მასში წარმოდგენილია (იკითხება) 1 410 119 286 სიტყვა, ყოველ ერთ გვერდზე, საშუალოდ: – 200 550 სიტყვა; 2) მეგრულის სახელები და სხვა მეტყველების ნაწილები, **„მეგრულ-ქართული ლექსიკონის“** სახით განთავსებულია XVI ტომში და იგი ითვლის 26 000 – მდე სიტყვას. სულ ოცტომეულში მოხმობილი მეგრული ენის ლექსიკა ითვლის 1 410 119 286 სიტყვას პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, საიდანაც, ავტორების ვარაუდით თანამედროვე მეგრულში მეტნაკლები სიხშირით ხმარებადია ან შეიძლება ხმარებულ იქნას 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა.

თანამედროვე მეგრულ ენაში ხმარებადად მიჩნეული 500 მილიონი სიტყვის მომცველი მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ასეთის შედგენისას, მოიცავს დიდი ფორმატის 600-600-გვერდიან 16 666 ტომს, ყოველ ერთ გვერდზე საშუალოდ 50 სიტყვის განმარტების პირობებში. ასეთი ლექსიკონი, ცხადია, დაიწერება აღნიშნული ოცტომეულიდან. მის ავტორებს უკვე დაწყებული აქვთ მუშაობა მეგრულ-ქართულის ლექსიკონის მომავალი მრავალათასტომეულის პირველ სანიმუშო ტომზე, რის დამთავრებასაც უახლოეს დროში იზრახავენ.

ოცტომეული **„მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“** საკაცობრიო მნიშვნელობის კიდევ ერთი უპრეცედენტო სენსაციური მოვლენაა მსოფლიო ენათმეცნიერებაში და არა მხოლოდ აქ.

გადაწყვიტეს რა მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემა – ენის წარმოშობის საკითხი მამა და შვილმა თანაავტორებმა მამანტი ძაძამიამ და ცირა ძაძამიამ, თავიანთი ენათმეცნიერული ნაშრომებით (სხვა თანაავტორებთან ერთად შექმნილი ზემოთ დასახელებული ოცტომეულის მონაცემებითურთ) წარმოაჩინეს შემდეგი:

გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის ლექსიკის 99,2 პროცენტი ხმაბაძვითი წარმომავლობისაა და მოტივირებულია (იდეამტარებელია) ფონეტიკური დასაბამიდანვე.

ეს ფაქტი, ცხადია, ყოველგვარი სხვა საბუთმტკიცებულებების გარეშეც ნათლად ადასტურებდა მსოფლიო ენათმეცნიერების მიერ უარყოფილი ენის წარმოშობის ბუნებითობის, კერძოდ, ხმაბაძვითობის თეორიის ჭეშმარიტებას. მაგრამ მამანტი და ცირა ძაძამიები ამით არ დაკმაყოფილებულან. მათ წარმოაჩინეს საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის მიზეზები და პირობები ანუ საფუძვლები.

ავტორებმა დაადგინეს შემდეგ ჭეშმარიტებანი:

ბუნებაში მოცემული ბგერებიდან, მათდამი ხმამიბაძვის საფუძველზე, სამეტყველო ბგერების გამოყოფა-გამომარცვლა, მათი დეტერმინაცია (განსაზღვრა) გარკვეული (სათანადო) იდეით, საგნის (სხვა მონაცემის) სახელდება, სიტყვის წარმოშობა, საწარმოთქმო ჩვევის ანუ საარტიკულაციო ბაზისის განვითარება, ადამიანური აზროვნების განვითარება და თვით ადამიანის, – როგორც მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსების – წარმოშობა ერთიანი, ურთიერთდაკავშირებული მოვლენაა დედამიწაზე. იგი განპირობებულ იქნა ბუნების საგნებთან თანაცხოვრების პირობებში მყოფი პირველყოფილი ადამიანების (მსგავსად ცხოველებისა, ფრინველებისა და სხვათა) ბუნებრივი მოთხოვნილებით, – გარკვეული კავშირურთიერთობა, კერძოდ, საკომუნიკაციო (ინფორმაციული) ურთიერთობა (ურთიერთმოხმობა, გაფრთხილება მოსალოდნელ საშიშროებაზე და სხვა) დაემყარებინათ ბუნების საგნებთან და ერთმანეთთან.

ავტორებმა დაადგინეს, რომ ენის წარმოშობისა და საერთოდ ენის ფენომენის შესახებ ენათმეცნიერებაში გაბატონებული ზემოაღნიშნული და ანალოგიური თეორიები მცდარია, საფუძველს მოკლებულია.

მათვე დაასაბუთეს, რომ ენის წარმოშობის შესახებ არსებული, მაგრამ ენათმეცნიერების მიერ უარყოფილი, ყველა თეორია მართებულია, ოღონდ გარკვეული (თავ-თავიანთი) კუთხით და ხმაბაძვითობის (ზოგადად, ბუნებითობის) თეორიის პრიორიტეტულობით.

მათ წარმოაჩინეს, რომ პირველყოფილი მეტყველება ეს იყო მეტყველება ხმაბაძვითი შორისდებულებიდან (კრრრკრრრ! ღრრრ! ბრრრ! ფრრრ! ხრრრ! ჩხრრრ! ჯღრრრჯღრრრ! ჩხრრრჩხრრრ! სსს! ზზზ! შშშ! და სხვ.) ბუნებრივად გამომარცვლული ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებით (კ)რკ), ჯღ)რჯღ), ზგ)რტ), სქ)რ), ჩხ)რტ), ჭყ)რტ) და სხვ.), მათთანვე ბუნებრივად თანმხლები ემფატიკური (ემფაზიისმიერი ანუ სახმოსნო ორგანოების დაძაბვისმიერი) ნახევრადხმოვანი მარცვალწარმომქმნელი და დეტერმინანტი (იდეაგანმსაზღვრელი, – საყოველთაო აფიქსის როლში) ) ბგერითურთ, და, რომ ასეთი სიტყვები დღემდე უხვად (500-მდე ერთ.) არის შემონახული მეგრულში.

მათვე, დაადგინეს, რომ პირველყოფილი ხმაბაძვითი თანხმოვნური მეტყველებიდან ხმოვნურ, აფიქსირებულ-გრამატიზებულ მეტყველებაზე გადასვლა მეორეული, შედარებით გვიანდელი მოვლენაა ენაში.

ავტორებმა წარმოაჩინეს, რომ გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის ზემოაღნიშნული კოლოსალური ლექსიკა ემყარება სულ რაღაც 6652 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმას, ანუ მიღებულია ამათი აფიქსაცია-გრამატიზაციით. აქედან კი ხმაბაძვითი წარმომავლობისაა 1879 ძირისეული თანხმოვნური ფორმა ანუ 28,2 პროცენტი, მაგრამ იმ საფუძველზე, რომ ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმები ხასიათდებიან განსაკუთრებული პროდუქტიულობით, ამათზეა დამყარებული მეგრულის მთელი ლექსიკის 99,2 პროცენტი.

ასობით და ათასობით ერთი-ერთმანეთზე საინტერესო დებულება, თეორია, შეხედულება და დასკვნა წარმოადგინეს ამ სასიქადულო ავტორებმა ენის წარმოშობის საკითხზე, საერთოდ ენის ფენომენის შესახებ შექმნილ თავიანთ 3200-ზე მეტ ნაშრომში და, როგორც ამის შესახებ თავის დროზე გაზეთი **„ამაღლება“** (№5, თებერვალი 2008 წ.) წერდა, გადატრიალება მოახდინეს ენათმეცნიერებაში.

ამიტომაც გაისმოდა, 4 სამეცნიერო აკადემიის მიერ ერთობლივად მოწვეულ და 300-მდე აკადემიკოსის მონაწილეობით ჩატარებულ წიგნების პრეზენტაციაზე გამომსვლელთა სიტყვებში ჩვენი სახელოვანი ავტორების შრომების შესახებ, ამგვარი შეფასებები: **„საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „უნიკალური ნაშრომი“, „ტიტანური ნაშრომი“, „უებრო ნაშრომი“, „სამაგიდო წიგნი“, „ფანტასტიკურიც და საკვირველიც“, „უდიდესი ქართული საქმე“, „წმინდა ქართული საქმე“, „მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „ზეტიტანური ნაშრომი“, „წიგნი გიგანტი“** და ა. შ.

ამიტომაც აქვთ მიღებული მის ავტორებს 200-მდე რეცენზია-შეფასება და უამრავი გამოხმაურება უცხოეთის ქვეყნებიდან, ნაშრომების უცხო ენებზე თარგმნის თხოვნითაც.

როგორც დარგის რჩეული სპეციალისტები, კორიფეები აღიარებენ, ენათმეცნიერება ნამდვილ მეცნიერებად იქცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აქ შემოღებულ იქნა კვლევის შედარებით-ისტორიული მეთოდი. მაგრამ, სინამდვილეში, კვლევის ეს მეთოდიც ბევრად ვერ სცილდებოდა სინქრონულ დონეს, ვინაიდან ის ეხებოდა მხოლოდ დამწერლობის პერიოდს და დამწერლობიან ენებს.

მამანტი ძაძამიასა და ცირა ძაძამიას კვლევის შედეგებმა კი ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდს გზა გაუხსნა თანამედროვე ენის (ენების) ვითარებიდან პირველყოფილ ენამდე, მის საწყის პერიოდამდეც კი, და წარმოუდგენელი პერსპექტივა გადაუშალა ამ მხრივ მსოფლიო ენათმეცნიერებას.

თუ ჩავთვლით, რომ ძვ. წ. VI საუკუნეში მსოფლიო ენათმეცნიერების ეპიცენტრი იყო ინდოეთში (პანინის გრამატიკის მიხედვით), ხოლო შემდგომში იგი მონაცვლეობდა ხან საბერძნეთში, ხან ინგლისში, ავსტრიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, რუსეთში, აშშ-ში... ხან სულაც სანკტ-პეტერბურგის, იელის და სხვა უნივერსიტეტებში, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან (კერძოდ, 1997 წლიდან) მსოფლიო ენათმეცნიერების ეპიცენტრმა გადმოინაცვლა და სამუდამოდ დამკვიდრდა საქართველოში, იმდენად, რამდენადაც აქ ამოიხსნა, პირველად, ენათმეცნიერების ყველაზე საინტერესო, პრობლემური და გლობალური საკითხი, როგორიცაა ენის წარმოშობის საკითხი. ამაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი საკითხი კი, აქ, შეუძლებელია მომავალშიც არსებობდეს.

ვულოცავთ სიცოცხლეშივე უკვდავებად და ლეგენდად ქცეულ ავტორებს: პროფესორებსა და აკადემიკოსებს მამანტი ძაძამიას და ცირა ძაძამიას, აკადემიკოსებს ირინე ძაძამიას, ია ძაძამიას, ბესარიონ ძაძამიას, ელეონორა მებონია-ძაძამიას და ირაკლი ხაჭაპურიძეს დიდ გამარჯვებას, რაც, ამჯერად, საკაცობრიო მნიშვნელობის კიდევ ერთ სენსაციურ მოვლენაში: უნიკალური ნაშრომის, ოცტომეულის **„მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“** შექმნაში გამოიხატება.

ვულოცავთ სრულიად საქართველოს ამ დიდ მოვლენას.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდიუმი**

## კოლხური ეოლოსი

მუზას პოეტის პალიტრა ჰქვია,
განგებას შუქით შეუმოსია;
სულში კოლხური ქარები ჰქრიან?
არა, დიდების ეოლოსია.
თუ შენს წიაღში კოლხად გავჩნდი მე,
ლექსის მტევნებიც დასაწურია.
ბულბულის სტვენა თუ ვერ დავჩრდილე,
შაშვის გალობა დასაწუნია?
ვერ შეველიე ფიქრში ხეტიალს,
მე თქვენთან ყოფნა მარად მწყურია.
ლექსის ბწკარებში რაც ჩაეტია,
ალალი გულით მონაწურია.
ცისა მადლია, თუ შენი მიწის,
მზეც გაირინდა, ვერ შეგლევია;
ვით ცისარტყელა, ზღვაზე რომ იწვის,
არგონავტევის ნაკვალევია.
მე შენს ჯვარცმაზე მიამბორია,
ჭეშმარიტება იესოს სტილია,
რიონ-ენგურის ნიავ-ბორია
ჩემი ქნარი და ჩემი სტვირია.
არა, არა ვარ ამქვეყნად მარტო,
რომ დავიფიცო აია წმიდა;
კოლხიდელების სიმღერა მათრობს,
მათი სიცოცხლე! აი რაც მინდა!
შენს მზეს ვუმღერი, ცად მოჩახჩახეს,
რითაც პლანეტა მოხიბლულია;
მიყვარს შაშვები – ეგ მოჭახჭახე,
ესენიც ჩვენი, კოლხიდურია.
ცა მოხატული კოლხა რომ იყოს,
მისი მფარველი ანგელოზია.
ცის ვარსკვლავების სმენას რომ იპყრობს,
ეს კოლხიდური სირინოზია.
ცოტნეს ამბავი შენგან გავიგე,
მოკვდავის სულით ზეამაღლება.
მით შენს წიაღში ქოხი ავიგე,
კოლხიდელობა მეამაყება!
ვერ დავიჯერებ. რიონი დაშრა,
რომ მოგახსენო ეგ სიტყვა სადად,
წმიდა გიორგი იშიშვლებს დაშნას,
ისევ კოლხურად დამოძღვრავს სარდალს.
ხარობდეს შენი ვაზ-ხეხილები,
რომ არ უხადოთ დუშმანს ხარაჯა,
ვით კავკასიის მთაგრეხილები
კოლხა დადგება სულის დარაჯად!
დედის თვალებში მარად დარია,
ვით შენი ზეცა ლურჯად ინთება
და შენს სიტყვაზე: „ქო ნანაია“,
რად მინდა მეტი ჭეშმარიტება?!
არ იცის წლებმა შენს გულში დაღლა,
არც გვიძებნია ჩვენ სხვა დიდება,
შენმა შვილობამ ცად აგვამაღლა
ძველი ეგვიპტის პირამიდებად.
იადონის ხმა ნოტებს რომ ქარგავს
კოლხურ მოტივზე ოქროს გვრიტებად...
თესალიაზე რა დამიკარგავს,
თუნდაც პარნასის ჭეშმარიტებაც.
კოლხეთის ზეცავ, მზევ და ბალახო,
შვილების გულთქმას უცხოდ არ იღებ,
შენი წარსულით მიტომ ვამაყობთ,
დაუსაბამოდ ითვლი თარიღებს.
ჩემი აიას ზღვისა ვარ წვეთი,
არა, სხვა ბედიც არ მითხოვია,
თუ ჩემი ხობიც იმ დიდ ზღვას ერთვის,
ქვეყნად ურიგოდ არ მიცხოვრია.
ლომის ჭანგები დროშაზე დამღად
შენი სიმბოლო... ჩვენი მისია?..
პარნასის მთაზეც, ცოტათი მაღლა
ეგ სადღეგრძელო მე შემისვია.
გაზრდილს კოლხეთის სილაჟვარდეში
მაპატიე და დედავ მიწამე,
თასით შევსვი და უმალ დავეშვი
ამ შენს სანუკვარ დედამიწაზე.
რომ დავიფიცო ნანა მშობელი,
დამემოწმებით ოქროს ვერძებო.
თუ ჩემს აიას მე დავშორდები,
მე სხვა სამოთხე სადღა ვეძებო?
შენი ალერსი რიონს სწყურია,
მეც აქ შევხვდები დღეებს შფოთიანს,
პანტიკაპეი, დიოსკურია,
ჩემი ცხუმი და ჩემი ფოთია.
ხანაც ურთაზე სავსე ფიალით
ვხვდები აიეტს და მინგა რიოს,
მოვკვდე კოლხური სულის ტრფიალით,
ეოლოსს ვეტყვი: „დომინგარიო“!
შენი ფესვები გასცდა ატლანტას,
ვიღამ გაზომოს ცათა სიმაღლე?
შვილების ბედი სულში გატანდა
და შეჰხაროდი იმათ სილაღეს.
მე იმ ჭყონდიდის ვარ ერთი ფესვი,
თუ ჩემმა გემმა ადრე გასცურა,
სავსე ფიალით ნექტარი შევსვი
კოლხთა შვილობის მარად დასტურად.
პარნასის მთაზეც შევკარ ირაო,
დავხედე ციდან მაგ თესალიას,
ჩვენ ვის რა უნდა დავუგიროთ,
ვინც აიეტის ნათესავია?!
სულო ნათელის ცეცხლად კიდებავ,
უნეტარესო ყველა ნეტარზე,
მარადიული მზე და დიდება
ნანა აიას ამ პლანეტაზე!

**გურამ ჯიქია**



# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

1939 წლის 25 ივნისს ბოლო მოეღო სვარჩევსკის ძმის წამებასაც, რომელიც ადრე მოსკოვის ნათურების ფაბრიკაში მუშაობდა ზეინკლად. სასამართლომ დახურულ სხდომაზე იგი უდანაშაულოდ სცნო. და მალე, ქარხნის საპატიო მუშების სტენდზე კვლავ გამოჩნდა მისი ფოტოსურათი.

ეს შტრიხია რეალური ბერიას დასახასიათებლად, მაგრამ იგი სულ 500 ტირაჟით გამოიცა, განსხვავებით ანტიბერიასეული კრებულისა, რომლის ტირაჟი შეადგენდა 200.000 ეკზემპლარს. და გარდა უამრავი სიცრუისა, მასში გამოქვეყნებული იყო **"პოეტ"** პეტრე ვეგინის ლექსი, რომლის პწკარედსაც ვთავაზობ მკითხველს:

**ვერასდროს ვიხილავ წითელ ალაყაფს,**
**რაც არ უნდა ვზომო ნაბიჯებით დედაქალაქი,**
**სამაგიერო, ჩემი ქალიშვილი თავისუფალია**
**შიშისაგან, რომ აღარ გახდება ბერიას სექსუალური მონაპოვარი.**
**ეს ხომ ლუბიანკის ჯალათია,**
**ჯოჯოხეთის მოციქული,**
**გორკის ქუჩას რომ ჩამოივლიდა**
**ნელად მიმავალი ავტომანქანით,**
**და თან ქალებს უთვალთვალებდა,**
**მისი სასურველი "ნანადირევი" გახლდათ**
**ნორჩი ბავშვები,**
**ისე საგულდაგულოდ ირჩევდა – როგორც საიუველირო ნაკეთობას,**
**თუ ვინმე მოეწონებოდა,**
**ნიშანს აძლევდა თავის მონებს...**
**ბევრი ნებდებოდა, რადგან სხვა გზა არ ჰქონდათ,**
**ხოლო ვინც წინააღმდეგობას უწევდა, კოლიმის გზას მიუყვებოდნენ**
**(...)**
**ენგრეოდათ გოგონებს ცხოვრება,**
**როგორც ინგრეოდა აფეთქებული ეკლესია,**
**ერთ მხატვარს სურდა მისი განგმირვა მანიკიურის მაკრატლით,**
**მაგრამ, იქვე, ლოგინში, მიიღო ცხრა გრამიანი ფინთიხი...** – და ა.შ.

აი, როგორი **"შედევრი"** ამშვენებს ამ კრებულს.

იმავე კრებულში გამოქვეყნებული იყო კონსტანტინე სიმონოვის ნარკვევი, სადაც უამრავი სიბინძურე აღინიშნებოდა ბერიაზე, ბოლოში კი ასე ეწერა:

**"ადამიანთა შემეცნებაში რომ დავჭირხნოთ ყველაფერი ის სისაძაგლე, რაც იმ ავადსახსენებელ წლებში ხდებოდა, მივიღებთ გულისამრევ ზნეობრივ და პოლიტიკურ მასას, რომელიც გადმოანთხიეს ბერიამ და მისმა თანამზრახველებმა..."**

საოცრად ემთხვევიან ერთმანეთს ვაგინისა და სიმონოვის თვალსაზრისები – მიუხედავად იმისა, რომ მათი ხასიათები და ცხოვრების გზა კატეგორიულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან! საოცარია – მაგრამ იოლად ასახსნელი. ვაგინი **"დემოკრატი"** გახლავთ, სიმონოვი კი, სტალინის სიკვდილის შემდეგ არ დარჩა მის პარტიაში და **"პარტოკრატებში"** გადაინაცვლა.

ბერია კი, რომელიც 1917 წელს შევიდა ლენინის პარტიაში, სიცოცხლის ბოლომდე ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული დარჩა. ესე იგი – იცხოვრა და დაიღუპა ***ადამიანად.***

1953 წლის 16 მაისს – დაპატიმრებამდე 40 დღით ადრე – ლავრენტი ბერიამ თავისი ერთ-ერთი უკანასკნელი წერილი გაუგზავნა **"არზამას-16"**-ის მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროს დირექტორს, გენერალ ალექსანდროვს, რომელიც აშკარად გვიხატავს ბერიას ჭეშმარიტ სახეს, მის დამოკიდებულებას საქმისა და ცხოვრებისადმი.

ეს დოკუმენტი განსაიდუმლოვდა 1996 წლის 13 აგვისტოს და ახლა მაგიდაზე მიდევს, როიმელსაც ამშვენებს საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელთა ხელმოწერა, რომ გაეცვნენ ამ დოკუმენტს. აი, ამ წერილის შეულამაზებელი ტექსტი:

**"სრულიად საიდუმლოდ**
**(განსაკუთრებული საქაღალდე)**

**ამხ. ა.ს. ალექსანდროვს.**
**ასლები: ამხ.ამხ. ბ.ლ. ვანნიკოვს,**
**ა.პ. ზავენიაგინს,**
**ი.მ. კლოჩკოვს**

**უკანასკნელ პერიოდში მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროში გახშირდა ავარიები, რომლის გამეორებამ შეიძლება უმძიმეს შედეგებამდე მიგვიყვანოს.**

**ამა წლის 9 აპრილს საცდელ რეაქტორზე დაკვირვებისას (მაშინ ამ რეაქტორს ერქვა "ფძსნ") – ფიზიკური ქვაბი სწრაფი ნეირონებისათვის მეცნიერ-მუშაკმა დაუშვა უხეში შეცდომა, რის შედეგადაც ეს რეაქტორი გამოვიდა მწყობრიდან.**

**11 მაისს, სპეციალური ტვირთის გადატანისას, მოხდა ავარია, იმიტომ, რომ ეს საქმე დაევალა არაკომპეტენტურ ადამიანებს, მძღოლი კი მთვრალი გახლდათ.**

**9 აპრის მომხდარი ავარია მოწმობს, რომ ლაბორატორიაზე კონტროლი, რომელიც მნიშვნელოვან დავალებებს ასრულებს, შესუსტებულია და თანამშრომლები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას.**

**11 მაისს მომხდარი ავარია თავისთავად მეტყველებს, რომ ნაწილობრივ მოშლილია დაშვების სისტემა მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროს განსაკუთრებული რეჟიმის მქონე ობიექტებზე, ირღვევა განსაკუთრებული დანიშნულების ტვირთების ტრანსპორტირების ინსტრუქციები და საერთო დისციპლინის მდგომარეობა ობიექტზე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.**

**ე კი იმას ნიშნავს, რომ ხელმძღვანელი მუშაკები ვერ აცნობიერებენ მათზე სახელმწიფოს მიერ დაკისრებულ პასუხისმგებლობას** (შევნიშნავ, რომ სიტყვა **"პარტია"** აქ ნახსენები არაა).

**აუცილებელია აღნიშნული უპასუხისმგებლობის ფაქტების აღკვეთა, რათა მომავალში აღარ განმეორდეს მსგავსი რამ.**

**აღნიშნული წერილი გააცანით მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროში დასაქმებულ ხელმძღვანელებს ხარიტონს, ალფეროვს, დეტნევს, შჩოლკინს, ბესარაბენკოს, ლავრენტიევს, ილიუშინს, დუხოვს, ერშოვს და ბრონნიკოვსა და პასტუხოვს.**

**მათთან და საკონსტრუქტორო ბიუროს სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად განიხილეთ აღნიშნული საკითხი და ობიექტზე დაამყარეთ შესაბამისი წესრიგი.**

**მიღებული ზომების შესახებ მომახსენეთ.**

**ლ. ბერია**
**1953 წლის 16 მაისი."**

ეს საბუთი, რომელიც გამოქვეყნდა წიგნ **"საბჭოთა ატომური პროექტის დოკუმენტები"**-ს მე-7 წიგნის მეორე ტომში, ასახავს ბერიას მუშაობის სტილსა და მის პიროვნებას, და არა მას, ვინც შეადგინა ეს წერილი. წერილის მეორე გვერდზე მიწერილი შენიშვნით დასტურდება, რომ მისი შინაარსი უშუალოდ ბერიამ უკარნახა სტენოგრაფისტს, რომლის ტონი მკაცრი, მაგრამ შინაარსი უაღრესად ეფექტური გახლავთ.

ამ წერილის დაწერიდან 40 დღის შემდეგ მისი ავტორი დააპატიმრეს. და სახელმწიფო მის გარეშე გააგრძელებს არსებობას.

გავა ნახევარი საუკუნე და მოსკოვში, უკვე არა ვაგინის ბინძური ლექსის მსგავსად, არამედ სინამდვილეში დაიწყება ახლადგამოჩეკილი **"კაპიტალისტების"** მიერ მანქანებიდან 18 წლის მოსკოველ ლამაზ გოგონებზე **"ნადირობა"**, ან გოგონების შერჩევა შერჩევა მოხდება მათი შიშვლად გადაღებული ფოტოებით **"დამშვენებული"** კატალოგებით, ამ ამ უმწიკვლო, მაგრამ დოლარებს დახარბებულ არსებებს საფუძვლიანად **"დაჯიჯგნიან"** დიდი ფულისა და პატარა ზნეობის მქონე მართლაც სექსუალური მანიაკები.

მაგრამ ეს სრულიადაც არ შეაწუხებს ვაგინებს!

იმიტომ, რომ ვაგინებს ეს სურდათ!

### ბოლოსიტყვაობა

პროკურორ სუხომლინოვის წიგნი შემდეგი სიტყვებით იწყება: **"მრავალგზის გამოგვიყენებია ფრაზა – "ღმერთო დამიფარე!...", რათა თანამოსაუბრე დაგვერწმუნებინა, რომ რაიმე დაფარული მიზნით არ ვმოქმედებთ. ამიტომ, ახლა მეც ვაცხადებ – "ღმერთმა დამიფაროს, რომ ჩემი ნაწარმოების ძირითადი მიზანი იყოს ბერიას გამართლება, უბრალო ადამიანების სისხლის ჩამორეცხვა ლავრენტი ბერიას ხელებიდან..."**

მე ვამთავრებ ჩემს წიგნს. ახლა, როცა ბერიას შესახებ იმაზე ბევრად მეტი ვიცი, ვიდრე ნახევარი წლის წინ ვიცოდი, კალამი ხელში ავიღე უპირველესად იმისათვის, რომ დამედგინა – როგორი პიროვნება იყო ლავრენტი ბერია. ის, რომ ბერია საქმიანი, ნიჭიერი და დიდი ორგანიზატორი გახლდათ, ადრეც ვიცოდი. მაგრამ ჰქონდა კი მას ადამიანობის დიდი ნიჭი?

და, აი, ახლა, როცა მე ბერიაზე ბევრად მეტი ვიცი, ვიდრე ადრე ვიცოდი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მე ეს წიგნი სწორედ ბერიას გასამართლებლად, მისი რეაბილიტაციის მიზნით, მისი ხელებისათვის დაუმსახურებლად წასმული სისხლისა და უამრავი ცილისმწამებლური სიბინძურის ჩამოსარეცხად დავწერე.

2000 წლის მაისში რუსეთის მთავარმა სამხედრო პროკურორმა, იუსტიციის გენერალ-პოლკოვნიკმა დიომინმა მიმართა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას იმის აღიარების თხოვნით, რომ **"ლავრენტი პავლეს ძე ბერია, ვსევოლოდ ნიკოლოზის ძე მერკულოვი, ვლადიმერ გიორგის ძე დეკანოზოვი, ბოგდან ზაქარიას ძე ქობულოვი, სერგო არსენის ძე გოგლიძე, პავლე იაკობის ძე მეშჩიკი და ლევ ემელიანეს ძე ვლოძიმირსკი არასოდეს არ დაექვემდებარონ რეაბილიტაციას"**.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ამ წერილში რუსეთის ფედერაციის მთავარმა სამხედრო პროკურატურამ ისტორიის გასაოცარი უცოდინარობა გამოამჟღავნა. თავის გადაწყვეტილებაში, რომელიც 2000 წლის 29 მაისს გამოაქვეყნა, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ აღნიშნა, რომ: **"ლავრენტი ბერიამ და მისი თანამზრახველებმა, რომლებიც გასამართლდნენ 1953 წელს, უხეშად დაარღვიეს საბჭოთა კონსტიტუციის მოთხოვნები და სხვა კანონები, შექმნეს დანაშაულებრივი მექანიზმი და უსამართლო მასობრივი რეპრესიების გზით ცდილობდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას..."**

2000 წელში, გორბაჩოვისა და ელცინის **"მაღალმხატვრული შემოქმედების შემდეგ"**, ძალაუფლების მითვისებაზე საუბარი ანეკდოტად გამოიყურება. მაგრამ ამას სრულიადაც არ შეუწუხებია რუსი სამართალდამცველები...

აი, ასეთი **"კანონმდებლები"** ჰყავს რუსეთს!

ზუსტად ორი წლის შემდეგ, 2002 წლის 29 მაისს, სამხედრო კოლეგიამ გამოიტანა დადგენილება ა. უკოლევის თავმჯდომარეობით (წევრები ი. პარხომჩიკი და ა. პეტროჩენკოვა), რომლის თანახმადაც დეკანოზოვის, მეშიკისა და ვლოძიმირსკის მიმართ 1953 წლის 26 დეკემბერს გამოტანილი დახვრეტის განაჩენი შეიცვალა თავისუფლების 25-წლიანი აღკვეთით.

დანარჩენების მიმართ კი სასამართლომ გაითვალისწინა პროკურორ დიომინის წარდგინება და ბერიას, მერკულოვის, ქობულოვისა და გოგლიძის მიმართ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა.

რა გაეწყობა... ისეთი ადამიანის რეაბილიტაციას, როგორიც ლავრენტი ბერიაა, მოახდენს არა ადამიანების, არამედ ისტორიის სასამართლო... იგი, ლავრენტი ბერიას, ადრე თუ გვიან, მაინც გაამართლებს!

ამიტომ ვიმედოვნებ, რომ ჩემი წიგნი მოემსახურება არა მხოლოდ ბერიას რეაბილიტაციის საქმეს, არამედ საზოგადოებას ჩაახედებს საკუთარი სამშობლოს ისტორიის ლაბირინთებში.

ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ მაშინ ექნება ისტორიული მომავალი, თუ იგი სწორად გაიაზრებს სამშობლოს წარსულს. ბევრმა შეიძლება ჩემი ეს წიგნი ბანალურ ნაწარმოებად აღიქვას, მაგრამ ადამიანებმა კიდევ ერთხელ უნდა შეიმეცნონ, რომ ორჯერ ორი ოთხია და არა ხუთი!

წიგნის დასდასრულს ისიც მინდა აღვნიშნო, რომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ბერიაზე დაიწერა ათეულობით წიგნი, ასეულობით საგაზეთე და საჟურნალე სტატია, მაგრამ ყველა მათგანის ანალიზი რომ მომეხდინა, ამას ოთხი ამხელა წიგნიც კი არ ეყოფოდა. ამიტომ, უამრავი ის ფაქტობრივი მასალა დამრჩა გაუანალიზებელი, რომელშიც ასახულია ბერიას როლი მისი თანამედროვე რუსეთის აღმშენებლობის საქმეში. ამიტომ, ისეთი პასქვილები, როგორიცაა ვალერი ბოლდინიდ **"წითელი დაისი"**, ამერიკელი ჰარისონ სოლსბერის ანტიბერიასეული **"ლენინგრადის ბლოკადის 900 დღე"**, ლარინა-ბუხარინას **"მოგონებები"**, ემი ნაიტის ნაწარმოები, ბორის სოკოლოვის **"ძლიერი სახალხო კომისრის ბედი"** და სხვა უამრავი წიგნი ოდნავადაც ვერ შეუცვლიან ადამიანებს წარმოდგენას ამ დიდი ორგანიზატორის მიმართ.

მაგრამ აქვე არ შემიძლია არ მოვიხსენიო წიგნი, რომელიც, მე, სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო ვერ მიმოვიხილე – 1998 წელს ნ. რუბინის ავტორობით შექმნილი **"ლავრენტი ბერია. მითი და რეალობა"**, რომლის ანოტაციაში სწერია:

**"ეს წიგნი გახლავთ სახალისო ისტორიული კვლევა, რომელიც ცნობილი ლავრენტი ბერიას სევდიან ბედს ასახავს. უამრავი მასალის მიმოხილვის შემდეგ წიგნის ავტორი ამტკიცებს, რომ ბერია სრულადაც არ იყო ის პირსისხლიანი ურჩხული, როგორც მას წლების განმავლობაში გვიხატავენ. ავტორი ბერიას წარმოგვიდგენს როგორც უნარიან ორგანიზატორს, სტალინური ეპოქის ნიჭიერ მოღვაწეს, მასზე დანაშაულის ინკრიმინირებას კი ხელისუფლების "დამსახურებად" მიიჩნევს".**

როგორც ხედავთ, ვინც კი საფუძვლიანად შეისწავლა ბერიას ცხოვრება, წამსვე ზურგი შეაქცია მის წინააღმდეგ შექმნილ კლიშეს...

მაგრამ, მე, ზოგიერთი რამ მაინც უნდა ვთქვა.

ცნობილმა მწერალმა ალექსანდრე ბუშკოვმა საკუთარ თავს ასეთი შეკითხვა დაუსვა: **"ხომ უნდა ჰქონდეს რაღაც ახსნა იმას, რომ ბერიას ადგილი განუსაზღვრეს ის ადგილი, რომელიც უამრავ რელიგიაში ავსულებს, სატანასა და დემონს უკავია..."**

და ამ ერთ შეკითხვაში – მისი უპასუხოდ დარჩენის შემთხვევაშიც კი – გამოსჭვივის უფრო მეტი გრძნობა, ვიდრე **"დემოკრატთა"** მთელი არმიის ნაცოდვილარში.

მაგრამ რა პასუხი უნდა მოეძებნოს ამ შეკითხვას?

სწორედ ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად შევქმენი მე ეს წიგნი.

მაგრამ, იმისათვის, რომ უფრო ზუსტი პასუხი გავცეთ ამ მართლაც ზუსტ შეკითხვას, ამიტომ საჭიროა მოვახდინოთ მე-20 საუკუნის ცნობილ პიროვნებათ რანჟირება.

პირველი უდავოდ გახლავთ – ვლადიმერ ლენინი.

მეორეა – სტალინი.

მესამე ხომ – ლავრენტი ბერიაა!

რას წარმოადგენდა ლენინი რუსეთის ისტორიაში?

1917 წელს რუსეთის საგარეო მოკლევადიანი ვალები შეადგენდა იმპერიის ომამდელ სამმაგ ბიუჯეტს...

სადამდე მიიყვანდა ეს რუსეთს პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# „ჩლუნგების გაზეთი“ თუ სექსუალური მანიაკის ნაბოდვარი?!



გაზეთ **„ასავალ-დასავალში“** გამოქვეყნებულმა მამხილებელმა პუბლიკაციამ, რომელიც სასჯელაღსრულების გლდანის საპატიმროს თანამშრომელთა გვარ-სახელების გამოქვეყნებას შეეხებოდა, ერთგვარი ვნებათა ღელვა გამოიწვია. ეს საჯარო, ლეგალური ინფორმაცია იქნებ შეიცავდა გარკვეულ საფრთხეს, მაგრამ როცა ჯალათების მხილებისა და სათანადო დასჯას აშკარად მოითხოვდა საზოგადოება, მგონია, დაბეჭდილ მასალაში არაფერი იყო კანონსაწინააღმდეგო და მას არც გამოუწვევია რაიმე უარყოფითი შედეგი, გარდა ფაქტის ბოროტი ინტერპრეტაციისა.

ზოგიერთებმა, ისურვეს ადამიანის უფლებათა დაცვის ქოლგის ქვეშ, არა მსხვერპლთა უფლებების დაცვა, არამედ ჯალათების მხარეს დადგომა.

ცხადია, სიაში მოხვდნენ ისეთები, რომლებსაც პირდაპირ ბრალი არ მიუძღოდათ ბოროტულ ქმედებებში, მაგრამ მათ უნდა სცოდნოდათ და ალბათ იცოდნენ კიდეც, რა საშინელება ხდებოდა მათ ორგანიზაციაში და ხმა უნდა აემაღლებინათ, ემხილებინათ უმსგავსოება, რაც მათი თვალისა და ყურის გარეშე ვერა და ვერ მოხდებოდა.

მიმდინარე წლის ოთხ ოქტომბერს ტელეარხ **„მაესტროს“** ღამის გადაცემაში, გაზეთში გამოქვეყნებული მასალაზე მსჯელობისას ვინმე ზაზა ბურჭულაძემ ხმამაღლა და ურცხვად რომ განაცხადა **"ასავალ-დასავალი"** ჩლუნგების გაზეთიაო.

ამ აშკარად უხამსი გამოხდომით მან შეურაცხყოფა მიაყენა არა მხოლოდ გაზეთის თანამშრომლებს, არამედ საზოგადოებას, გაზეთის ათასობით მკითხველს.

**"ასავალ-დასავალი"** ყველაზე მრავალტირაჟიანი გაზეთია. ამას განაპირობებს მკითხველთა საკმაო ინტერესი ბეჭვდითი ამ ორგანოსადმი, მისი სამართლიანი პათოსი და პირუთვნელობა. რაც დიდი ხანია დაამკვიდრა მან.

ვერ მივიღებ, ჩლუნგი გვიწოდოს იმან, ვინც საზოგადოებაში აღიარებულია შებრუნებული აზროვნების ადამიანად.

ეს სწორედ ის ზაზა ბურჭულაძე გახლავთ, რომელმაც სახეგაბადრულმა, ურცხვად და ხალისით, რომ დაწერა: **"მიდგება მაშინ როცა ტუალეტში შევდივარ, საიდანაც ეს-ესაა დედა გამოვიდაო".**

ხალხნო! დედა-შვილობის გრძნობა უფაქიზესი და ყველაზე წმინდაა. დედა-შვილობას ვაჟამ ასეთი სტროფები მიუძღვნა **"ბევრად სჯობია სიკვდილი, მშობელი დედის წყენასა"**-ო.

ნამდვილ მამაკაცებს დედის რძის გემო მთელი ცხოვრება შარბათად მიყვებათ. დედის იავნანა მუდმივად ჩაესმით და ეს უკეთილშობილესი გრძნობა და განცდა არასდროს ტოვებთ მათ.

ცნობილია, რომ უძველესი ქართული ღვთაება იყო კოლხური **„დია ნანა“** – იგივე დედა. იმ უხსოვარი დროიდან მოდის ქართველთ საოცარი კდემა და მოწიწება მამაკაცისა ქალისადმი და ვისაც ეს დამოკიდებულება აღვირახსნილობამდე დაჰყავს, ის მარაზმის მსახურია.

ამ სექსუალურ მანიაკს მართლაც, რომ მამაკაცურად ღირსებები ჰქონდეს, სრულყოფილ ჯენტლმენივით დასწერდა, რადგან მათ იციან სად და ვისთან გამოამჟღავნონ ძლიერი სქესის ღირსებები.

სექსი ცხოველური მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ არის, იგი ქალისა და მამაკაცის დაახლოებისა და გრძნობების ტკბობის საშუალებაა. ამ აზროვნებაშებრუნებულ ბურჭულაძეს თავი მწერლად რომ მოაქვს, ეტყობა ბულვარული ლიტერატურის გარდა სხვა არარა წაუკითხავს თორემ, კლასიკოსთა ნაწარმოებებს ზედაპირულად მაინც, რომ იცნობდეს, ნამდვილად გააცნობიერებდა, როგორი სიფაქიზით აღწერენ ქალისა და მამაკაცის აღტკინებას ნამდვილი ხელოვანები. იგი არ დაიწყებდა ცახცახს დედის შარდის შეყნოსვაზე.

მკითხველს უნდა შევახსენო. ეს ის ზაზა ბურჭულაძეა, ჩვენ ჩლუნგებს რომ გვეძახის, ქუთაისში, ოპერის თეატრში, პოეტი ქალბატონის იუბილეზე, ასობით პოეზიის თაყვანისმცემლის თანდასწრებით, მოულოდნელად სცენაზე რომ აიჭრა და იღრიალა **"ქურდებს – სიცოცხლე, ბოზებს – სიკვდილი "**-ო!

ღმერთო!.. ამგვარი მორყეული ფსიქიკის ადამიანი, რომელმაც არ იცის საკუთარი დედის სათნოებისადმი პატივისცემა, რასაკვირველია, არც საზოგადოებას, არც პოეზიასა და მწერლობას სცემს პატივს, საკუთარ ნაცოდვილარს მწერლურ შემოქმედებას უწოდებს და თავს ნებას აძლებს გამოვიდეს ქუჩაში და, ვითომ სამართლიანობა დაიცვის მიზნით, გაზეთ **„ასავალ-დასავალის“** მკითხველს აკადროს უხამსი სიტყვები.

ამ უბადრუკმა ჩვენს სულიერ სიწმინდეს, უფალსა და ბიბლიასაც მიაყენა შეურაცხოფა, საკუთარ ნაჯღაბნ წიგნს **„გასაბერი ანგელოსი“** უწოდა და ამ სიმდაბლის წერილობით გაფორმებას ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა, სააკაშვილის რეჟიმის უზნეო იდეოლოგმა თევზაძემ და ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა ჯგერენაიამ პრემია მიანიჭეს.

ხედავთ ხალხნო!.. ვისგან აქვს მხარდაჭერა უზნეობის ჭაობში შთანთქმულს?

ადამიანის ზნეობა, ეთიკა და შინაგანი კულტურა მაღალ ღირებულებებს ეფუძნება. ეს ღირებულებები არის ადამიანის თავისუფალი, მიზანდასახული, შემოქმედებითი შრომის შედეგი. პიროვნული, ეროვნული თუ ზოგად საკაცობრიებო საგანძურთა ერთობლიობა. მის სულში და მის გარეთ დამყარებული წესრიგი გაფორმებულია სიმბოლოთა სისტემაში, რომლითაც იგი ახორციელებს დიალოგს ღმერთთან, ბუნებასთან, სხვა ადამიანებთან, საკუთარ თავთან, წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან...

უხსოვარი დროიდან ადამიანური კულტურის მთავარ ღირებულებად ზნეობა გამოცხადდა.

როცა ადამიანი ამ ნორმებს უხეშად არღვევს მას უზნეო ჰქვია. იქნებ უფრო მეტიც.

თუ მივცემთ ფრთების გაშლის საშუალებას ამ უზნეოებს, ბურჭულაძის მსგავს მანიაკებს, როგორი თაობა გვეყოლება? უესთეთიკო, მხოლოდ გართობის მოყვარული, სექსზე მოფიქრალი და უხამსობის მეხოტბე. ისეთი, როგორიც ზაზა ბურჭულაძე და მის შემოქმედებას **„დაწაფებულნი“** არიან.

სამწუხაროდ მომრავლდნენ ბურჭულაძის მსგავსი დაბოღმილი, ხორციელი სიამის მეხოტბენი, უხამსი სიტყვებით, გაშიშვლებული ველურობით, რომ აღიქვამენ მოვლენებს, რაც გულის ამრევია, რადგან მათვის არ არსებობს ჭეშმარიტი ფასეულობები, ეროვნული, ტრადიციული ღირებულებები. ამიტომ, მათ პირდაპირ და აშკარად უნდა დავარქვათ შესაფერისი სახელები.

**ბორის დავითაია,**
**აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი.**

გაზეთ "ილორის" კომენტარი: *როგორც იქნა საქართველოში უკვე დამთავრდა დეისაძეების, ბურჭულაძეების, თევზაძეების, ჯგერენაიების და სხვა უჯიშო გადაგვარებულთა პარპაში. სააკაშვილის არაქართული იდეოლოგია ცდილობდა სამუდამოდ ჩაეკლა ახალგაზრდობაში ქართული სულიერება, მდიდარი ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულება, მაგრამ რამდენიმე უჯიშო ვერასდროს ვერაფერს გახდება მთელი ერის წინაშე. მაგრამ, მაინც დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა ამ გადაგვარებულთა მსგავსმა სხვა არსებებმა არ აკადრონ ქართულ საზოგადოებას ის უმსგავსოებები, რითაც "ლიბერასტები" ცდილობდნენ ქართველ ადამიანში ქართველობის ჩაკვლას!*

*ზიზღის ღირსნი არიან ამგვარი არსებები და, მიიღებენ კიდეც!*

*არ მივესალმებით ვინმეზე ძალადობას, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ: ტელეინტერვიუს შემდეგ ქუჩაში გამოსული ბურჭულაძე ვიღაცეებმა რომ გაძუნძეს და ტვინის შერყევა აჰკიდეს, მის მიერვე იყო პროვოცირებული. ამიტომ, თუ ერთი ადგილი არა გაქვს, საზოგადოებას არ უნდა აუხტე და "ჩლუნგი" არ უნდა უძახო, მით უმეტეს, როცა შენი სიჩლუნგე არავისში იწვევს ეჭვს!*

# უმარ იდიგოვი – "ქართულმა სპეცსამსახურებმა თვითონვე მისცეს იარაღი, თვითონ გაგზავნეს და მერე თვითონვე ჩახოცეს!"

**"რაც სააკაშვილმა და მისმა "კამანდამ" გააკეთა და რაზეც მე გელაპარაკეთ, მხოლოდ დასაწყისია. მე ვაპირებ ყველაფერი ვთქვა ფაქტებითა და მტკიცებულებებით",** – აცხადებს იჩქერიის პირველი პრეზიდენტის, ჯოხარ დუდაევის დისშვილი უმარ იდიგოვი ლაფანყურის სპეცოპერაციის შესახებ.

ლაფანყურის ოპერაციაზე იდიგოვი ასევე ამბობს, რომ ეს სპეცოპერაცია სააკაშვილის ხელისუფლების დადგმული ფარსი იყო მხოლოდ და მხოლოდ მის პიარს ემსახურებოდაო.

**უმარ იდიგოვი:** ეს სპეცოპერაცია იყო მხოლოდ პოლიტიკური რეკლამა და სხვა არაფერი. პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეებში ამ სპეცოპერაციით პოლიტიკური პიარი გაიკეთა.

**– რატომ საუბრობდა პრეზიდენტი იმაზე, რომ "პანკისი ტერორისტებისგან დაიცვა". იყვნენ თუ არა რეალურად ტერორისტები და საერთოდ, როგორია რეალური სიტუაცია პანკისის ხეობაში?**

– პანკისი საქართველოს საკმაოდ ღარიბი კუთხეა. იქ ელემენტარული არსებობისთვის თითქმის არაფერი არსებობს. ხალხი აქ ძალიან ღარიბულად ცხოვრობს და თავი მხოლოდ სოფლის მეურნეობით გააქვთ. ეს საწყალი ახალგაზრდები ევროპაში მიდიან იმისთვის, რათა არ მოიპარონ, არ იშიმშილონ... ისინი ნამდვილად, ანუ ისტორიულად, ჩეჩნები არიან, ხაზგასმით ვამბობ, რომ ჩვენზე უკეთ იციან ჩეჩნური ენის გრამატიკა. ამ საწყლებს ქართული მხარე შეჰპირდა ჩეჩნეთში გადაყვანას. სპეციალურად ამისათვის მისცეს იარაღი, მერე კი ადრევე დაუნაღმეს გზა და ალყაში მოაქციეს. სროლაც აუტეხეს... ქართული მხრიდან დაიღუპა 12 კაცი. მათ შორის, ექიმი და მეგზური ოფიცერი, რომლებიც მათ ქართული სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა გამოაყოლეს, თვითონვე მოკლეს, რომ მოწმე არ დარჩენილიყო. მანამდე კი ამ საცოდავებს, ადრე, მაისში დაჰპირდნენ ჩეჩნეთში გადაყვანას და აი, რით დამთავრდა ყველაფერი. ანუ, არანაირი მოლაპარაკება მძევლების გაცვლის შესახებ არ ყოფილა; ეს იყო სააკაშვილის წინასაარჩევნო პიარი. ამისათვის გაიმეტეს საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლე. არანაირი მოლაპარაკება და კორიდორი არ იყო! დამერწმუნეთ, ყოველივე ამის შესახებ ჩემზე უკეთ არავინ იცის. მე ძალიან ბევრი რამ გამოვცადე საკუთარ თავზე.

**– თქვენ "მე-9 არხთან" საუბრისას კონკრეტულად ყოფილ მინისტრზე, ბაჩო ახალაიაზე საუბრობდით. რომ თითქოს ის დახვდა აეროპორტში ბიჭებს...**

– დიახ, მან, ბაჩო ახალაიამ მისცა იარაღი. ეს ყველაფერი კი, რაც სააკაშვილმა და მისმა **"კამანდამ"** გააკეთა და რაზეც მე გელაპარაკეთ, მხოლოდ დასაწყისია. მე ვაპირებ ყველაფერი ვთქვა ფაქტებითა და მტკიცებულებებით. თუ ვინ ჩამოიყვანა ისინი ავსტრიიდან, ვინ შეხვდა მათ აეროპორტში, ვინ **"დააკვალიანა"** – ყველაფერს, ყველაფერს ნათელს მოვფენ.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ ამის შესახებ მას ცოტა ინფორმაცია აქვს. ამიტომაც მე მას ყველანაირი ინფორმაცია უკვე მივაწოდე.

თუკი ვინმეს ეჭვი ეპარება ამაში, შეამოწმონ ყველაფერი – ვინ მოვიდა, ვინ წავიდა, ვინ დარეკა, რატომ მოხდა ეს ყველაფერი... მინდა ხაზგასმით განვაცხადო, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი მერაბიშვილი რომ ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა.

**– რატომ ფიქრობთ ასე?**

– არა, ვანო პოლიტიკური პიარისთვის ასეთ რამეს არ გააკეთებდა. ბაჩო და დათა ახალაიებმა კი გააკეთეს.

**– კი მაგრამ, პოლიტიკური პიარისთვის ამდენი ხალხის დახოცვა ცოტა უცნაურად არ მოჩანს? რატომ უნდა გაერისკათ ასე?**

– მათთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ ის იყო, **"როგორ დაიცვა სააკაშვილმა ხეობა ტერორისტებისგან"** და **"როგორ მოიგეს".** მათ იფიქრეს, რომ პანკისში ჩვენს ძმებთან დაკავშირებით ეს ყველაფერი დაიფარებოდა და ვერ გამჟღავნდებოდა. აკი ამიტომაც დახოცეს მოწმეები.

**– თუმცა დარჩა ახმედ ჩატაევი, იგივე "ცალხელა ახმედა"...**

– ახმედ ჩატაევი დაჭრის მერე ტყვედ აიყვანეს. მას სჭირდებოდა სამხედრო ქირურგის დახმარება და ფეხი მოჰკვეთეს, მერე კი ციხის საავადმყოფოში გადამალეს. მას სიარული ისედაც არ შეეძლო. თვითონ მივიდა სამხედროებთან. ახლა ის ისევ ციხის საავადმყოფოშია. სპეციალურად მოაჭრეს ფეხი, რათა ციხის საავადმყოფოში წოლილიყო და არჩევნებამდე არ ალაპარაკებულიყო. როგორც ჩანს, ამ სპეცოპერაციის შემსრულებლები ღმერთმა დასაჯა კიდეც – მათ მიიღეს ცოცხები ციხეში.

**– და რატომ დუმან დაღუპულების, სპეცოპერაციას შეწირული ბიჭების ოჯახის წევრები? პანკისელებს ვგულისხმობ.**

– ვინ გითხრათ, რომ ჩუმად არიან?! რატომ არ მოდიან პანკისში ჟურნალისტები? მოვიდნენ და ყველა ყველაფერს იტყვის. ადამიანები დახოცეს წინასაარჩევნო პიარისთვის! ქართულმა სპეცსამსახურებმა თვითონ მისცეს იარაღი, თვითონ გაგზავნეს და მერე თვითონვე დახოცეს! არადა, არავის გაუზრდია შვილი სააკაშვილისა და მისი საარჩევნო პიარისთვის. ჩამოდით! არავინ არ არის ჩუმად. სხვათა შორის, პანკისში **"ქართულმა ოცნებამ"** არჩევნებისას 8 000 ხმა მიიღო, **"ნაციონალურმა მოძრაობამ"** – 19. არადა, სააკაშვილი აქ ყოველთვის ხმების 100%-ს იღებდა... სხვას, ამის მეტს, რაც გითხარით, ვეღარაფერს გეტყვით. დანარჩენს ყველაფერს მალე მთელი საზოგადოება გაიგებს.

ლაფანყურთან ახლოს, მდინარე ლოპოტას ხეობაში საქართველოს შსს-მ ანტიტერორისტული ოპერაცია 28 აგვისტოს დაიწყო. შსს-ს ინფორმაციით, სპეცოპერაცია ლაფანყურის ტყიდან 5 ახალგაზრდის გატაცებას მოჰყვა. ოფიციალური ცნობებით, ახალგაზრდები 26 აგვისტოს დაიკარგნენ. შსს ირწმუნებოდა, რომ შეიარაღებულმა ჯგუფმა ისინი მძევლებად აიყვანა. შსს-ს 29 აგვისტოს ინფორმაციით, ოპერაციისას დაიღუპა შსს-ს ორი სპეცრაზმელი და სამხედრო ექიმი, დაიჭრა 5 სპეცრაზმელი.

შს მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ შოთა ხიზანიშვილმა 29 აგვისტოს თელავში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ 11 დივერსანტი ლიკვიდირებული იყო, 6 კი ალყაში. შსს-ვე ცნობით, 11 ლიკვიდირებულიდან 7-ის იდენტიფიცირება მოხდა, მათგან ორი, 22 წლის ასლან მარგოშვილი და 26 წლის ბაჰაუდინ ალდამოვი საქართველოს მოქალაქეები აღმოჩნდნენ, დანარჩენი 5 კი – რუსეთის. გარდაცვლილთა ოჯახებს რამდენიმე დღის განმავლობაში ცხედრებს არ აძლევდნენ. საბოლოოდ, ასლან მარგოშვილი, ბაჰაუდინ ალდამოვი და ბაჰაუდინ ბაღაკაშვილი პანკისის ხეობაში სოფელ დუისის სასაფლაოზე დაკრძალეს. შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულია 1 ადამიანი – ახმედ ჩატაევი, ჩრდილოკავკასიელი ისლამისტური ლიდერის, დოკუ უმაროვის პირადი წარმომადგენელი ევროპაში.

ახალგაზრდები, რომლებიც შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაჯგუფებამ მძევლებად აიყვანა, ლოპოტას ხეობაში განვითარებულ მოვლენებზე ჟურნალისტებთან არ საუბრობდნენ. ისინი დუმილს იმით ხსნიდნენ, რომ სამართალდამცავებისგან ამ საკითხზე ჟურნალისტებთან ლაპარაკი აკრძალული აქვთ...

ლაფანყურის სპეცოპერაციამ საზოგადოებაში არაერთი პასუხგაუცემელი შეკითხვა დატოვა. ბევრი სააკაშვილის ხელისუფლების მიერ გავრცელებულ ვერსიას იმთავითვე ეჭვის თვალით უყურებდა.

**მ. ოთარაშვილი**
**ე. ბასილაია**

# კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



**დასაწყისი "ილორი" №171-193**

საქართველოს მეცნიერები არა მარტო ჩემს პუბლიკაციებს არ **„ამჩნევენ"**, არამედ **„არაფერი გაუგონიათ", „არ უნახავთ"** ყველა იმათი შრომები ვინც ძველი კოლხეთისა და თანამედროვე სამეგრელოს შესახებ წერენ; მაგრამ ამით არ წაიშლება უძველესი კოლხეთის ისტორია და ვერც მეგრული ენა გადაშენდება. როგორც ქვემოთაც გვაქვს ნათქვამი: ზოგიერთ მეცნიერს უნდა უთხრათ, ისტორიისათვის მთავარია ფაქტები, წყაროები, მასალები და არა ის, თუ რას ამბობს და რას ფიქრობს მეისტორიე ყაყიტა ან — ზღაპართმცოდნე ანდუყაფარი?

ბოდიშს ვიხდი ყველა იმათ წინაშე, ვისაც არ ეხება ჩემი ზემოთ ნათქვამი სიტყვები, ყველა იმათ წინაშე, ვინც შეგნებულად არ მონაწილეობს **„თვალდახუჭობანას თამაშში"**.

ნუთუ **„შურისტებმა"** არ იციან, რომ შური სერიოზულ ზიანს აყენებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

ცნობილია: ბაგრატიონების, სამეფო დინასტია საქართველოში (IXს. — 1810), მკვლევართა უმეტესობის აზრით, წარმოშობით ძველი ქართული პროვინციის — სპრეს მკვიდრი იყვნენ — ჭან-ლაზთა ტომები (ნ. მარი, ი. ორბელი, ე. თაყაიშვილი. ს. ჯანაშია...), (საქართველო ენციკლოპედია. ტომი I. ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბ., 1997, გვ. 318. რატომღაც, ამ, I ტომის გარდა სხვა ტომები არ გამოსულა. ენციკლოპედიის I ტომი მომაწოდა ნუგზარ კვაშილავამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.)

ექვთიმე თაყაიშვილს ის ფაქტი, რომ ბაგრატიონები სპრედან იყვნენ, თავის შრომებში რამდენჯერმე აქვს დამოწმებული; ე. თაყაიშვილის ეს მტკიცება, მე, — ამ შრომის ავტორს, მოტანილი მაქვს 2008 წელს გამოსულ წიგნშიც.

რა არის ამაში გაუგებარი, ან რატომ არ მოსწონთ საქართველოს მეცნიერთა ერთ ნაწილს, რომ ბაგრატიონების მემკვიდრეობა მომდინარეობს ჭან-ლაზთა ტომიდან (მეგრელთა ტომიდან). ანდა, რატომ ამოიღეს ეროვნული, საჯარო ბიბლიოთეკიდან და თითქმის ყველა სხვა ბიბლიოთეკიდან, 1908 წელს გამოცემული ივანე ჯავახიშვილის **„ქართველი ერის ისტორია"** (წიგნი პირველი), რომელშიც მაღალ მეცნიერულ დონეზეა გაშუქებული ქართული ენის სამი შტო და ავტორის წინასწარმეტყველური დებულება იმის შესახებ, რომ ქართველური ენის საწყისი შეიძლება ყოფილიყო მეგრული ენა, რაც მომავალმა კვლევებმა დაადასტურა.

ანბანური კვლევის სამეცნიერო ცენტრი **„შუმერის"** პრეზიდენტი, ნიჭიერი მსახიობი და მკვლევარი, ზურაბ ქაფიანიძე ამბობს: **„რომ არა მსახიობი, მეცნიერი ვიქნებოდიო". მიუხედავად მისი მსახიობობისა, სამართლიანად ამბობს, რომ „შუმერული ანბანი ქართული ასომთავრულია", რომ ამ მიგნებამ მთლიანად გადაატრიალა აზრი მთელი მსოფლიოს შუმეროლოგებისა და კაცობრიობის ისტორიკოსებისა...**

**ამ აღმოჩენებზე წარმოდგენა არა აქვს აშშ-ის ჩიკაგოსა და პენსილვანიის შუმეროლოგიის კვლევით ინსტიტუტებს, არც იუნესკოს და არც მსოფლიოს თანამედროვე შუმეროლოგებს.**

**შუმერების ანბანზე მათ წარმოდგენა არც ადრე ჰქონდათ და არც დღეს გააჩნიათ".**

ზურაბ ქაფიანიძე ამბობს: „ვერ გაგაგებინეთ, რომ საქართველო, ქართული ენა ცივილიზაციის დასაბამია, ხელოვნების საფუძველია, მაინც სხვისკენ იშვერთ ხელს. ერთს გეტყვით, მხოლოდ იაპონურ ენაში არაერთი მეგრული სიტყვაა. გერმანული — **„ქომ ჰირ"** (ქართულად **„მოდი აქ"**-ს ნიშნავს). სვანურად **„ქომ გო"** და გერმანული **„ქომ ჰირ"** ერთი მნიშვნელობის სიტყვებია. ახლა მითხარით, სვანები ჩავიდნენ გერმანიაში და იქიდან გადმოიღეს ეს სიტყვა? ასეთი მაგალითი მრავალია. **„რამზესი"** საიდან მოვიდა ეგვიპტეში — **„რა ღვთაების გამზიურება უნდოდათ ეგვიპტეში: ...სალოცავები საქართველოში მთაზე დგას — კოსმოსთან ჰქონდათ საქმე და იმიტომ... არც ერთმა ინსტიტუტმა და უნივერსიტეტმა არ იცოდა, რომ შუმერები ვყოფილვართ, ეძებდნენ სადღაც ერაყში" (ზურაბ ქაფიანიძე** სახით ხალხისაკენ! გაზ. **„ასავალ-დასავალი"**, 2010, 1-7 თებერვალი, №5, გვ. 26, მოამზადა ქეთევან ხამიცაშვილმა. ) (25 კაცი).

და ბოლოს, ტურ ჰეიერდალი დიდი ექსპედიციით აღდგომის კუნძულზე რამდენიმე თვე იმყოფებოდა და დეტალურად აღწერა კუნძულის მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებები, რიტუალები, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, მაგრამ ვერ გაარკვია მრავალი ზნე-ჩვეულებისა და რიტუალის არსი, ვერც გაარკვევდა, რადგან მან არ იცოდა, როგორც აღვნიშნეთ, არც ერთი ქართველური ენა და ხოტუ მატუა მისთვის გაუგებარი ამოცანა იყო, კუნძულზე კი ძირითადად მეგრული რიტუალი და მეგრული ზნე-ჩვეულებები სუფევდა.

ყურების დაგრძელების ჩვეულება ჯერ კიდევ შემორჩენილია მელანეზიის არქიპელაგში მცხოვრებ ზოგიერთ ტომებში და აღმოსავლეთ აფრიკაში, კილიმანჯაროს კალთებზე მცხოვრებ ვატჩაგას ტომის ხალხში.

რ. ერისთავი აღნიშნავს: ადამიანები ისეთ რამეს არ აკეთებენ, რასაც პრაქტიკაში გამართლება არა აქვს, მაშ რაშია საქმე, რას ნიშნავს გრძელი ყურები? და, პასუხობს: ქართველ ხალხს, კერძოდ, მეგრელებს დღემდე შემორჩათ თავსამოსითავსაბური ყაბალახი. ქართული თავსამოსიდან ყაბალახი — ორიგინალურია, მას გააჩნია გრძელი ჩამოშვებული ბოლოები, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანმა საჭიროების მიხედვით მოირგოს — თავს თბილად ინახავს და დაგრძელებული ბოლო მხრებამდე წვდება. ყაბალახი უწინარეს ყოვლისა იცავს თავს სიცივისაგან, წვიმისაგან, სიცხისაგან, ასევე იცავს ყურებს სამეგრელოში ჭაობიან ადგილებში გავრცელებული კოღოების კბენისაგან. კოღოებს მალარიის ავადმყოფობა გადაჰქონდათ, რომელიც ძველ დროში დაუძლეველ ავადმყოფობად ითვლებოდა (ზოგიერთი იმასაც კი ამბობდა, რომ ამიტომ ერქვა ამ რაიონს კოლხეთი (კოლო) კოლო კი, როგორც ითქვა, მწარეს ნიშნავს.

ჩანს ათასი საიდუმლოებით მოცულ აღდგომის კუნძულზე მოსული იბერია ტომის წარმომადგენლებს ყაბალახი ეხურათ. ალბათ ამიტომაა ლეგენდებში შემორჩენილი ყაბალახი და მისი ბეჭებამდე ჩამოშვებული ორი ბოლო გრძელ ყურებად.

თუ შევადარებთ ერთმანეთს ქვის გოლიათურ ქანდაკებას და ყაბალახიან იბერს (მეგრელს, ლაზს) მათ შორის საოცარ მსგავსებას აღმოვაჩენთ (იხ. სურათი).

აშკარად ჩანს, რომ რევაზ ერისთავის ჰიპოთეზით აღდგომის კუნძულის პირველი თეთრკანიანი ჩასულების გრძელი ყურებისა და ყაბალახიანი თავსაბურების შესახებ, შეიძლება საკითხი ამოხსნილად ჩაითვალოს(?!)

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღდგომის კუნძულის ქვისმთლელები, როცა გოლიათურ ქანდაკებებს აკეთებდნენ, მათ თავზე ახურავდნენ სხვა ქვისაგან — წითელი ფერის ტუფისაგან დამზადებულ ყაბალახებს, რომელი ქვებიც კუნძულის სხვა რეგიონში იყო. ე.ი. მისულ თეთრკანიანებს წითელი ან შეიძლება ჟღალი ფერის ყაბალახები ეხურათ. ესენი იყვნენ ხოტუ მატუა, ვარ ივერები, ხარ ივერები.

ტურ ჰეიერდალი 1962 წელს იყო მოსკოვში და ლენინგრადში და თავის წიგნში **„ამერიკელი ინდიელები"** აშკარად შეცდომით წერს: თეთრი კანი, წვერი (კვლავ ვიმეორებ ინდიელებს წვერი არა აქვთ), არწივისებური ცხვირი, განა კოლუმბამდელი ამერიკის ძირძველი მოსახლეობის გარეგნული თავისებურება იყო? — არა, რა თქმა უნდა, არა. ამიტომ შეცდომით ხმარობდა ტერმინს **„კავკასიელთა მსგავსი"** და არა **„კავკასიური"**.

აღდგომის კუნძულის სოფელ ანაკენაში ცხოვრობდა კუნძულის პირველი თეთრკანიანი მეფე ხოტუ მატუა და ამ სოფელში ცხოვრობდნენ ტურ ჰეიერდალის ექსპედიციის წევრები. ამ სოფლის მცხოვრებლები ექსპედიციის მეთაურს ხშირად ეუბნებოდნენ: თქვენ მალავთ, თორემ თქვენც ხოტუ მატუას მემკვიდრე თეთრკანიანი ადამიანი ბრძანდებითო, გამოტყდით, თქვით, თქვენც ხომ ჩვენი შტოს წარმომადგენლები ხართ, რომელმაც ეს კუნძული დიდი ხნით ადრე დატოვეთ და ახლა დაბრუნდით თქვენი წინაპრების სამშობლოშიო. კუნძულის მცხოვრებლები საზეიმო, ფაქტიურად დიდ საზეიმო ლამაზ სიმღერებს და ცეკვებს უმართავენ ხოტუ მატუას. ტურ ჰეიერდალის ექსპედიციის წევრები, როგორც აღინიშნა, განცვიფრებული უყურებდნენ, რადგან მელოდია საოცრად პოლიფონიური იყო და გრძელყურებიანები მას ასრულებენ კოცონის ირგვლივ მსხდომნი.

აქ ჩვენ, შევეცადეთ მოკლედ გადმოგვეცა ტურ ჰეიერდალის, რევაზ ერისთავის და სხვათა, ასევე საკუთარი შეხედულებები, მოსაზრებები, ჰიპოთეზები, დასკვნები, უშორეულესი, ათასი საიდუმლოებით სავსე აღდგომის კუნძულის შესახებ, სადაც საუკუნეების წინ დასახლდნენ და პირველი ცივილიზაცია შეიტანეს იბერიელებმა — მეგრელებმა, ასევე ამერიკის კონტინენტზე, რომლებშიც, ერთხელ კიდევ ჩანს მეგრელ-ლაზ-ჭანთა მსოფლიო ისტორიული დამსახურება კაცობრიობის წინაშე.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ის, რომ 2009 წელის მარტ-აპრილში ქართულმა და მსოფლიო საინფორმაციო საშუალებებმა გამოაქვეყნეს მასალები უცნობი ცივილიზაციის შესახებ, რომლებშიც ნათქვამია: კოლუმბიაში, ჩრდილოეთ ანდების მთიან რაიონში, 2 ათასი მეტრის სიმაღლეზე, ველურ მცენარეთა შორის აღმოჩენილია ღმერთების, ადამიანების, ცხოველების 500 ქვის ქანდაკება — სკულპტურა.

მეცნიერთა ნაწილის აზრით, ესენი საფლავების მოდარაჯე სკულპტურებია, მაგრამ როგორ ხდება, რომ ზოგს ღმერთი მფარველობდეს, ზოგს ხალხი, ზოგს კი ცხოველები, ანდა იმ შორეულ წარსულში იყო მიცვალებულთა ასეთი სოციალური დაყოფა? რატომ არიან ქანდაკებები ასე მოღუშულები? კოლუმბიელი მეცნიერების აზრით 500 ქვის ქანდაკება ინდიელთა რწმენას გამოხატავს.

აქ ჩანს, რომ აღდგომის კუნძულის ქვის ქანდაკებები და კოლუმბიის ქანდაკებები ერთ ეპოქაშია შექმნილი. აღდგომის კუნძულზე ანგარიშობენ 600-მდე ქანდაკებას, კოლუმბიაში კი აღრიცხულია 500 ქანდაკება — ქვის ქანდაკებების რაოდენობა თითქმის თანაბარია. აღდგომის კუნძულის ქანდაკებები ცისკენ იყურებიან, კოლუმბის ქანდაკებები მოღუშულები არიან. აღდგომის კუნძულის და კოლუმბიელების ქანდაკებები ძირითადად ერთიდაიმავე პრინციპითაა შექმნილი, ოღონდ კოლუმბიური ქანდაკებები შედარებით მცირე ზომისანი არიან. ჩანს, ჯერ კოლუმბიის ქვის ქანდაკებებია აგებული, მოგვიანებით — აღდგომის კუნძულის ქანდაკებები.

თუ აღდგომის კუნძულის ქანდაკებები იბერიელების — კოლხ-პელაზგების (ხოტუ მატუას და მისი მემკვიდრეების) შექმნილია, მაშინ კოლუმბიური ქანდაკებებიც იბერიელების შექმნილია. იმ ძველ პერიოდში, კოლუმბიელ ინდიელებს, მაშინდელი მათი მდგომარეობის (პრიმიტიული ცხოვრების) გამო, ასეთი ქანდაკებების შექმნა, არ შეეძლოთ. ქანდაკებების მშენებლობას იბერიელები და მათი მემკვიდრეები ხელმძღვანელობდნენ, სამუშაოს კი ინდიელი ტომები ასრულებდნენ. გარდა აღნიშნულისა, აღდგომის კუნძულის ქვის ქანდაკებები მსოფლიოს ყველაზე მოწყვეტილ, დაშორებულ კუნძულზეა აგებული, ასეა კოლუმბიური ქანდაკებებიც. ისინი მდებარეობენ მიუვალ მთებზე, ველური მცენარეების რაიონში.

პოეტი ვაჟა ეგრისელი აღდგომის კუნძულის შესახებ წერს:

**ხილვა: კოლხთა ნასახლარები**
**აღდგომის კუნძულზე**
**ფიქრის ჩელტიანი ნავის**
**მიმაქანებს წინ აფრები**
**და აღდგომის კუნძულებზე**
**გადარჩენილს ჩემდა ბედად,**
**ჩემი დიდი წინაპრების**
**კოლხთა ნასახლარებს ვხედავ.**

პოეტმა ვაჟა ეგრისელმა ეს ლექსი წაიკითხა 2008 წლის 28 მარტს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კონფერენციაზე (მისი ლექსებით გაიხსნა სამეცნიერო კონფერენცია): **„ქართული ცივილიზაციის სათავეებთან"**.

ამავე კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა ცნობილი პოლიტიკოსი, სახელმწიფო, საზოგადო მოღვაწე, დიდი ერუდიტი, ამავე აკადემიის ნამდვილი წევრი, ბაკურ გულუა, რომლის მოხსენებაც თითქმის უცვლელად მოგვყავს:

**"შემოვიფარგლები მოკლე გამოსვლით, რადგან თავიდანვე მოვდიოდი თქვენს მოსასმენად და არა მოხსენების გასაკეთებლად. თუ რატომ გადავწყვიტე გამოსვლა, ამის თაობაზე ქვემოთ იქნება საუბარი. თქვენს შორის ბევრმა კარგად იცის ჩემი ბიოგრაფია, საიდან და როდის მოვედი ფოთში, რომ დაწყებული 1979 წლიდან შვიდი წელიწადი გაგრძელდა ჩვენი თანამშრომლობა. 1984 წლის ზაფხულში კი მოხდა ერთი მოვლენა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება შეკრების დღის წესრიგს.**

**ყველას კარგად უნდა გახსოვდეთ, რომ ცნობილმა მოგზაურმა და მეცნიერმა ტიმ სევერინმა BBC-ის მეშვეობით მთელ მსოფლიოს ამცნო მის მიერ 1984 წლის ზაფხულში დაგეგმილი მოგზაურობის შესახებ, ბერძნულ ქალაქ იოლკოსსა და ქართულ ქალაქ ფაზისს (დღევანდელი ფოთი) შორის, არგონავტების ლეგენდარული გზის განმეორების მიზნით. შევიტყვეთ, რომ მეცნიერს ზუსტი ანალოგიების გამოყენებით აუგია ნიჩბიან-იალქნიანი ხომალდი „არგო", შეურჩევია შესაბამისი დაინტერესების მქონე კუნთმაგარი ბრიტანელი მენიჩბეები და აპირებს ამ მოგზაურობის თაობაზე BBC-თან ერთად შექმნას სამეცნიერო ნაშრომი და რამდენიმე სერიიანი დოკუმენტური ფილმი. ბრიტანელი მეცნიერი და BBC-ს ხელმძღვანელობა შეუთანხმდა მოსკოვის ცენტრალურ ტელევიზიას თანამშრომლობის თაობაზე. ამდენად, საქართველოსთან და ჩვენს ქალაქთან ერთად ცნობილ ტელეჟურნალისტსა და მეცნიერს იური სენკევიჩსაც დაეკისრა მასპინძლობა. დაიწყო შესაბამისი სამზადისი, ქალაქის ხელმძღვანელობა დიდი მონდომებით ამზადებდა ამ საინტერესო მოვლენას, რადგან იგი უძველესი ქართული კულტურის მსოფლიო რეკლამის დიდ შესაძლებლობებს იძლეოდა.**

**და აქ დაიწყო ჩემთვის, ქალაქისათვის და ყველა მონაწილისათვის სრულიად გაუგებარი წრიალი. ლონდონში სპეციალურად მიავლინეს საქართველოს ტელე-რადიო კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ფოფხაძე, რომელსაც ტიმ სევერინისათვის უთხოვია შეეცვალა თავისი განცხადება და მარშრუტის ბოლო წერტილად მოეხსენებინა არა ფოთი (ფაზისი), არამედ, უბრალოდ, საქართველო. ამაზე ბრიტანელ მეცნიერს ცივი უარი განუცხადებია, რადგან ეს პროექტი ამ სახელწოდებით უკვე წლების განმავლობაში მუშაობდა თურმე და ბოლო ეტაპზე რაიმე ცვლილებების შეტანა დიდ გაუგებრობებს გამოიწვევსო. ამის შემდეგ სხვა გზას მიმართეს. ფოთში ცეკადან გამოგზავნეს „სპეციალური ნდობით" აღჭურვილი ჯგუფი და დაიწყეს ჩვენი გადარწმუნება, რომ არ შეიძლება ამ მოგზაურების ზარ-ზეიმით მიღება საბჭოთა მიწა-წყალზე, არც ფაზისის აკადემიის სხდომის გამართვა (დახვედრის პროგრამა ამას ითვალისწინებდა) და ძველ არგონავტთა მოგზაურობაზე საქართველოში არსებული სამეცნიერო ისტორიული ინფორმაციის მათთვის მიწოდება. მიზეზი? არანაკლებ განსაცვიფრებელი! თურმე, ნუ იტყვით და, საქართველოს პარტიის ცეკას აქვს მონაცემები, რომ „არგო"-ს ახალ ნიჩბოსანთა შორის უმრავლესობა ვიეტნამის ომის მონაწილეა, კოლონიზატორი და კაცის მკვლელია, რაც მთავარია, ისინი ხომ საზიზღარი კაპიტალისტები არიან. ყველაზე არასტუმართმასპინძლური ის იყო, რომ რამდენიმე დღეღამური, პრაქტიკულად, შეუსვენებელი ნიჩბოსნური გადასვლის მონაწილეებს ბოლო ღამე მდინარე სუფსის ტრავერსზე, ღია ზღვაში უნდა გაეთენებინათ. შემდეგ მეზობელი რაიონის პარტიის რაიკომებს მდინარის პირას უნდა გამოეყვანათ კუნთმაგარი ბიჭები, თანამედროვე „ბურლაკები" და ტრაქტორები. ყველაფერი ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ რიონის დინებას ნიჩბოსნების ძალა და ღონე არ ყოფნიდა და მას ნაპირებიდან თოკებით დახმარებოდნენ. ისმის კითხვა — 30 საუკუნის წინათ ქალაქ ვანამდე ტრაქტორებით ათრიეს „არგო"?**

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ზუგდიდელები როლანდ ახალაიას მიერ უკანონოდ გადაკეტილი კედიას ქუჩის გახსნას მოითხოვენ

სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი საოლქო პროკურორის, არჩევნებში ვითომდა გამარჯვებულ ზუგდიდის მაჟორიტარ როლანდ ახალაიას **«საქმენი საგმირონი»** მთელი საქართველოსთვისაა ცნობილი. მან თავისი მოღვაწეობა ზუგდიდში ოფისის კეთილმოწყობითა და გამაგრებით დაიწყო, რასაც მრავალი ადამიანის ტანჯვა-წამება მოჰყვა. საოფისედ მან თვალი დაადგა ზუგდიდის ცენტრში არსებულ შპს **«ზუგდიდსერვისის»** ოთხსართულიან შენობას, რომელშიც განთავსებული იყო სხვადასხვა ობიექტი პრივატიზებულ ფართობებზე.

საქართველოს საწარმოთა მართვის სააგენტოს ბრძანების საფუძველზე, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურისთვის გადაცემის მიზნით, შპს **«ზუგდიდსერვისის»** საწესდებო კაპიტალიდან ამოიღეს კედიას ქუჩა №5-ში მდებარე შენობის 1027,5 კვ.მ ფართობი და 441,8 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ამ ფართობზე განთავსდა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა ისე, რომ **«ზუგდიდსერვისსა»** და საოლქო პროკურატურას შორის ხელშეკრულება არ დადებულა უსასყიდლო უზუფრუქტზე.

როლანდ ახალაიამ უპრობლემოდ მიითვისა ეს შენობა, გამოყარა იქ მომუშავე ადამიანები, გადაკეტა შენობის წინ საავტომობილო გზა, შემოავლო რკინის ღობე, დარგო ხეები და ქუჩა თავის დასასვენებელ სკვერად და თავისი სამსახურის მანქანების სადგომად აქცია. იქ შეღწევა ჩვეულებრივი ადამიანისთვის შეუძლებელი იყო, მაგრამ შიშის გამო ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა, ახლა კი **«ახალმა ხელისუფლებამ, უპირველეს ყოვლისა, როლანდ ახალაიას მიერ სკვერად და მანქანების სადგომად ქცეულ ქუჩას უნდა აღუდგინოს ძველი ფუნქცია. როლანდ ახალაიას თვითნებობის გამო მანქანებს შემოვლითი გზით უხდებათ მოძრაობა»,** – აცხადებს ზუგდიდელი რევაზ დარასელია.

ზუგდიდელი გივი ჭითანავა, რომელიც როლანდ ახალაიამ ზემოთ აღნიშნული შენობიდან გამოაძევა, 5 წელზე მეტხანს ეძებდა სამართალს. **«2001 წელს, ყოველგვარი კანონის დაცვით, სათანადო საბუთების საფუძველზე, შევიძინე შპს «ზუგდიდსერვისის» შენობის პირველ სართულზე 40 კვ.მ ფართობი, რომელიც დამიკანონა საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ. ამ პრივატიზებულ ფართობში განთავსებული იყო აფთიაქი. არანაირი დაპირისპირება არც «ზუგდიდსერვისთან» და არც ეკონომიკის სამინისტროსთან არ მქონია, სანამ არ მოვიდა როლანდ ახალაია. მას თვალში არ მოუვიდა ჩემი პრივატიზებული ფართობი და განიზრახა ჩემი გაგდება, ამიტომაც ჩემ წინააღმდეგ აამხედრა «ზუგდიდსერვისი» და ეკონომიკის სამინისტრო; რადგან მას იმდენი გავლენა ჰქონდა, რომ ვერავინ შეჰბედავდა წინააღმდეგობის გაწევას, აიძულა ისინი, ჩემთვის კანონიერად გადმოცემული ფართობი უკანონოდ ეცნოთ და წამართვეს. მივმართე ყველა სასამართლო ინსტანციას. იყო საპროტესტო აქციები, მაგრამ არაფერი გამომივიდა. იმ ხელისუფლების პირობებში შეუძლებელი იყო მესაკუთრეს საკუთარი უფლებები დაეცვა»,** – გვითხრა გივი ჭითანავამ.

ხუთწლიანი დავის შემდეგ გივი ჭითანავა შეეშვა ბრძოლას, რადგან ყოველგვარი იმედი გადაეწურა, ახალმა ხელისუფლებამ კი მას კვლავ გაუჩინა საკუთრების დაბრუნების იმედები. **«მე გამაჩნია ყველა დოკუმენტი, რომლებიც ჩემს სამართლიანობას დაამტკიცებს, და იმედი მაქვს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში სამართლებრივი გზით დავიბრუნებ ძალით წართმეულ ჩემს საკუთრებას»,** – განაცხადა გივი ჭითანავამ.

იმედია, არამარტო გივი ჭითანავა, არამედ ბევრი უკანონოდ დაჩაგრული ადამიანი იპოვის სამართალს.

**ლადო ქირია,**

**ზუგდიდი**

# გურამ ოდიშარია: „ახალი სოფო ნიჟარაძეები აღარ იქნებიან“...



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრობის კანდიდატი გურამ ოდიშარია, მინისტრად დანიშვნის შემდეგ, მუშაობას მოადგილეების დანიშვნით დაიწყებს. ამის შემდეგ კი, აქვს ბევრი პროექტი, რომლის განხორციელებასაც კულტურის სამინისტროს ძველ და ახალ თანამშრომლებთან ერთად გეგმავს. თუმცა არც მიმდინარე პროექტების გაჩერებას აპირებს. მინისტრობის კანდიდატს სურს დაიწყოს დიალოგი აფხაზებთან და სწორედ კულტურის სფეროს საშუალებით მოხდეს მათთან დაახლოება. გურამ ოდიშარია ამბობს, რომ ახალი **„სოფო ნიჟარაძეები“** აღარ იქნებიან და ყველას ექნება შესაძლებლობა წარმოაჩინოს საკუთარი თავი. ამჯერად გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრობის კანდიდატთან, გურამ ოდიშარიასთან.

**– რა ცვლილებების განხორციელებას გეგმავთ სამინისტროში მას შემდეგ, რაც პარლამენტი თქვენი მინისტრობის კანდიდატურას მხარს დაუჭერს?**

– პირველ რიგში უნდა დამამტკიცონ. შემდეგ მოადგილეები უნდა დავამტკიცო მე. ეს იქნება მეორე, რასაც გავაკეთებ. ამჟამად კულტურის სამინისტროში არის პროექტები, რომლებიც მიმდინარეობს ამჟამად და ის უნდა გაგრძელდეს. ამას ჩვენ შევისწავლით, თუ რა პროექტებია. არსებობენ ადამიანები, რომლებიც კულტურის სამინისტროში უნდა დარჩნენ და იმუშაონ. ისინი კიდევ რამდენიმე მინისტრს შეიცვლიან, ვინაიდან პროფესიონალები არიან თავიანთი საქმის. ვიფიქრებ განახლებაზეც, თუმცა მასობრივად თანამშრომელთა ცვლილება არ იქნება. ჩვენი სლოგანი იყო **„ჩვენ ყველა გავიმარჯვებთ“**, ამიტომ ვაგრძელებთ ამ პრინციპით მუშაობას და ყველა ერთად ვიმუშავებთ. მინისტრები მიდიან და მოდიან და კულტურა არის მარადიული. ჩვენ ვემსახურებით იმას, რაც მარადია. მეც ერთ ორ წელიწადში შეიძლება უფრო მალეც მომიწიოს წასვლა, მაგრამ ეს არ არის მთავარი.

**– თქვენ არ გეგმავთ მასობრივ საკადრო ცვლილებას, თუმცა ხომ არ არის მოსალოდნელი ხელმძღვანელი პირების დონეზე ნეპოტიზმს ჰქონდეს ადგილი... რა ნიშნით შეარჩევთ მოადგილეებს და სხვა ხელმძღვანელ პირებს?**

– არ იქნება მსგავსი რამ. ეს წარსულს უნდა ჩავაბაროთ. არ იქნება არავითარი სახელოვნებო კლანების უპირატესობა. გამორიცხულია ეს. იქნება მხოლოდ ნიჭი. მე მსურს ნიჭიერ ახალგაზრდებს მივცე გზა და მათ შემოქმედებას. არ არის აუცილებელი ყველამ იმუშაოს კულტურის სამინისტროში, თუმცა აქვთ პროექტები და შეიძლება ამ პროექტებზე დავეხმარო ახალგაზრდებს. მე მათ დავეხმარები. თუმცა არის 70 წლის კაცი, რომელსაც ახალგაზრდული შემოქმედებითი სული აქვს, ის რატომ უნდა დაიჩაგროს? კულტურის სამინისტროს აქვს ორი მისია. პირველი, გაუფრთხილდეს მას, რაც დღემდე მოვიდა და ჩააბაროს კარგ მდგომარეობაში მომავალ თაობას, და მეორე, დღეს რომ იქმნება იმას შეუწყოს ხელი. ჩვენ ეს მისიები კეთილსინდისიერად უნდა შევასრულოთ.

**– ბიძინა ივანიშვილის მთავრობის მინისტრობის კანდიდატებში არის რამდენიმე ადამიანი, ვისაც დღემდე აქვს აფხაზებთან ურთიერთობა და ისინი მოდიან დიალოგზე მათთან. თქვენც ერთ-ერთი მათგანი ხართ. როგორ ფიქრობთ, ამან ხომ არ განაპირობა თქვენი კულტურის მინისტრობის კანდიდატად დასახელება და ხომ არ დაიწყება ურთიერთობის აღდგენა აფხაზებთან სწორედ კულტურით?**

– ჩვენ გვქონდა მსგავსი პროექტები აქამდეც, რაც მიზნად ისახავდა აფხაზი და ქართველი ხალხის დამეგობრებას. იყო ინგლისური გრანტი, ასევ ამერიკული და ჩვენ გამოვეცით წიგნები, მათ შორის ქართველი და აფხაზი მწერლების ერთობლივი წიგნი. ამან ძალიან კარგი რეზონანსი გამოიწვია. გამოდის სამხრეთ კავკასიური ჟურნალები, რომლის რედაქტორადაც დღემდე ვითვლები. რასაც ქმნიან საინტერესოს აფხაზები, დღეს იბეჭდება რუსულ ენაზე. სამომავლოდ გვინდა ხელი შევაშველოთ ამ პროექტს რომ ქართულად იყოს შესაძლებელი აფხაზი მწერლების ნაწარმოებების წაკითხვა. ასევე გვაქვს სურვილი აფხაზურ ენაზე გამოვცეთ ქართველი მწერლების წიგნები, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა ქართველი მწერლების ნაწარმოებების წაკითხვისა. კულტურა ყველა წინააღმდეგობაზე მაღლა დგას. ჩვენ გვინდა, რომ ქართულ-აფხაზურ-ოსური გამოფენა გავაკეთოთ მხატვრების და ავაგარდისტების. ამასაც გავაგრძელებთ აუცილებლად. კულტურის სამინისტროს მასშტაბური შესაძლებლობები აქვს, ამიტომ არ გამოვრიცხავ სხვადასხვა ანსამბლების ჩასვლას აფხაზეთში და კონცერტის გამართვას, ასევე ფესტივალების მოწყობას. გუშინ შოთა იათაშვილი მეუბნებოდა, ყველაფრის ფესტივალი გვაქვს და მოდი ლიტერატურის ფესტივალი გავაკეთოთო. ესეც უნდა გავაკეთოთ აუცილებლად და მოვიწვევთ აფხაზებს. როცა გაიგებენ, რომ ცნობილი იტალიელი ან ინგლისელი მწერლები არიან ჩამოსულები, აუცლებლად ჩამოვლენ.

**– ამ დრომდე გაყოფილი იყო კულტურის სფერო. ძველი თაობა მივიწყებული იყო და წინა პლანზე შოუბიზნესის და კულტურის სფეროს ახალგაზრდა მოღვაწეები წამოვიდნენ. როგორ აპირებთ იმის დაბალანსებას, რომ კულტურის სფეროს ნებისმიერი თაობის წარმომადგენელი იყო სათანადოდ დაფასებული და ჰქონდეს შესაძლებლობა თავის საქმე აკეთოს?**

– არასდროს არ განმეორდება კლანები და უპირატესობები ადამიანების მიმართ. ხშირად იყო კულტურის და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში ასეთები. ამან უსამართლობის გრძნობა გააჩინა. იყო ეს პრობლემა ყოველთვის. იქნება მილიონი ლარი? გავუყოფთ ყველას, ვინც ნიჭიერი იქნება. არ აქვს მნიშვნელობა რა იდეოლოგიის ადამიანია და ვის აქებს და ვის აკრიტიკებს. ეს სხვა სფეროა და პოლიტიკური სიმპატია არ შეიძლება ხელოვანის საქმიანობაზე აისახოს. ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან გვინდა ურთიერთობის დალაგება და რა ღმერთი გაგვიწყრა, რომ შიგნით ასეთი მდგომარეობა გვაქვს? ეს უნდა დალაგდეს.

**– სოციალურ ქსელებში ხუმრობით გაჩნდა კითხვა, თუ იქნებიან ახალი „სოფო ნიჟარაძეები“?**

– ახლა ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა წარმოაჩინოს თავის თავი. პირობას გაძლევთ ახალი **„სოფო ნიჟარაძეები“** არ გამოჩნდებიან. ჩვენ უნდა განვავითაროთ სამართლიანობის კულტურა, უნდა განვავითაროთ დიალოგის კულტურა, თორემ ბოლო პერიოდში ერთმანეთთან სასაუბროდ, კინაღამ გაერო დაგვჭირდა. რათ გვინდა სხვა, როცა ჩვენში ასეთი პოტენცია არსებობს? აფხაზებიც დაინახავენ შემდეგ, რომ ჩვენ კარგად ვსაუბრობთ ერთმანეთში და შეგვიძლია ვესუბროთ სხვასაც.

**– „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ ყოველთვის ჰქონდა ოპონენტებს პრეტენზია, რომ კულტურის სამინისტრო იყო პოლიტიზებული, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ აქციაში ხშირად იყო ჩართული ესა თუ ის წარმომადგენელი შოუბიზნესის. მოხდება თუ არა გამიჯვნა კულტურის სფეროსა და პოლიტიკის იმ დონეზე, რამდენადაც ეს შესაძლებელია?**

– რა თქმა უნდა მოხდება პოლიტიკის და ჩვენი სამინისტროს გამიჯვნა, იმ დონეზე, რა დონეზეც ეს არის შესაძლებელი. ასეთი სამინისტროები იყვნენ პოლიტიზებულები დიდი იდეოლოგიების დროს, კომუნისტების, ფაშისტების და ა.შ. მაშინ ნებისმიერი სამინისტრო მორგებული იყო სისტემას ჩვენთანაც და სხვაგანაც. ახლა არ შეიძლება მსხგავსი რამ. როგორ შეიძლება გავმიჯნო ორი ნიჭიერი ადამიანი, რომელიც სხვადასხვა პარტიის მხარდამჭერია? პარტიები დავიწყებას მიეცემიან და რჩება დიადი სახელები. ფიროსმანი რომ ყოფილიყო რომელიმე პარტიის წევრი, რა მნიშვნელობა ექნებოდა ამას? ჩვენთვის ხომ მთავარი მისი ნახატია? ასე გავაგრძელებთ სიარულს.

**– ხშირად იმართებოდა კონცერტები ღია ცის ქვეშ, ბათუმში კი ძირითადად მსოფლიო დონის ვარსკვლავები ჩამოდიოდნენ... გაგრძელდება ეს ტენდენცია?**

– პირველ ყოვლისა ვაპირებთ, რომ ყველაფერი იყოს გამჭვირვალე. სად რა დაიხარჯება, ამის შესახებ უნდა იცოდეს საზოგადოებამ. ეს ფული არ არის არ ჩემი, არც რომელიმე კონკრეტული ადამიანის, ეს საქართველოს ფულია და ამიტომ ყველას უნდა მოხმარდეს. ჩვენ ვართ ერთი ოჯახი. ვთქვათ რომელიმე მომღერლის მოწვევა გვინდა და გვიჯდება გარკვეული თანხა. ეს უნდა გახდეს სახალხო მსჯელობის საგანი. თუკი მოიწონებს საზოგადოება ჩვენს ამ გადაწყვეტილებას, აუცილებლად განვახორციელებთ.

**– რაც შეეხება რეგიონებს, იქ ფაქტობრივად არ არსებობს კულტურული ცხოვრება. იქნება თუ არა მსჯელობა ამ საკითხზე, რომ აღდგენს კულტურული ცენტრები რეგიონებში და დაეხმაროს სამინისტრო რაიონებში არსებულ თეატრებს?**

– ამოქმედდება სოფლის მეურნეობის პროექტები რომელიც გლეხს დაეხმარება. ეს საკმაოდ მასშტაბური პროექტია. ამის პარალელურად ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გამოვაცოცხლოთ ცხოვრება სოფლებში და რაიონებში. თბილისი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს, ბათუმიც ასეა. მაგრამ სხვა ქალაქებში და რაიონებში ჩაბნელებული სოფლებია, ადრე აქრობენ სინათლეს და ადრე იძინებენ. ევროპულ სოფლებში რომ ვყოფილვარ, იქ ყველა სოფელს აქვ თავის გასათობი ცენტრი, ან კლუბი, სადაც თვითონ უკრავენ მუსიკას, ერთობიან და ახალგაზრდებისთვის არსებობს გართობის ასეთი საშუალება. თეატრი იქნება, ბიბლიოთეკა იქნება და შევეცდებით, რომ ჩვენი მუსიკოსების დახმარებით გამოვაცოცხლოთ სოფლები. არ შეიძლება საქართველო ერთ ადგილას კარგი ცხოვრებით ცხოვრობდეს და მახლობლად სოფელში ასეთი მდგომარეობა იყოს. ძალიან სევდიანია ჩვენი სოფლები და ეს აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.

**შ. გოგოლაძე**

# რევანში ერევანში!!!

მეოცე საუკუნის 60-70-იან წლებში, საფეხბურთო გუნდების – თბილისის **"დინამოსა"** და ერევნის **"არარატის"** ყოველი შეხვედრა მოულოდნელობებით რომ იყო აღსავსე, იმ დროის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ. ერთხელაც, მოხდა ისე, რომ თბილისის **"დინამომ"** თბილისში გამართული მატჩი წააგო, ერევანში კი სოლიდური ანგარიშით მოუგო და საკუთარი გუნდის წარმატების მომლოდინე სომეხი გულშემატკივარი გაწბილებული დატოვა. მაშინ ერთ-ერთი გაზეთის საინფორმაციო განყოფილების თანამშრომლებმა მატჩის ანგარიში გაამზადეს და ახლა ლაკონიურ სათაურზე ფიქრობდნენ. უაღრესად პრინციპული მატჩის მოგებისაგან გახარებულს თითქოს აზრები გაუფრინდათ, ვერაფერი მოიფიქრეს, მასალა კი დროულად უნდა ჩაებარებინათ. ამ დროს, თურმე, კაბინეტში შესანიშნავმა ქართველმა მწერალმა და მოქალაქემ, მახვილსიტყვაობით გამორჩეულმა, სულგანათლებულმა ქართლოს კასრაძემ შემოიხედა.

– არიქა, ბატონო ქართლოს, გვიშველე, იქნებ რაიმე სათაური მოიფიქრო სპორტული საფეხბურთო ინფორმაციისათვის! – შეჰღაღადეს მას ჟურნალისტებმა.

– დაწერეთ – **რევანში ერევანში!** – უთხრა ქართლოსმა და როგორც გამოჩნდა, ისევე გაუჩინარდა.

ახლა კი, როცა ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო უმცირესობაში აღმოჩნდა, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ალაპარაკდა რევანშზე, რისთვისაც თითქოს სააკაშვილი და მისი არაქართული გარემოცვა ემზადებიან. სიტყვა **"რევანშის"** გაგონებამ კი ის იუმორით გაჯერებული ფრაზა გამახსენა, ქართლოსმა რომ უკარნახა სპორტული ინფორმაციისათვის სათაურის ძებნაში **"გაჭედილ"** ჟურნალისტებს.

მაგრამ, მოდით, თანმიმდევრულად მივყვეთ მოვლენებს...

დიდი სურვილი ჰქონდა სააკაშვილს, რომ ყველასათვის მიენიშნებინა – ახალციხე სომხური ტერიტორია უფროა, ვიდრე ქართულიო. ამიტომ იყო, რომ მან რაბათის ციხის გახსნასთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებაზე მოიწვია საფრანგეთში მცხოვრები სომეხი წარმოშობის მომღერალი შარლ აზნავური და არა რომელიმე ქართველი მომღერალი...

როგორც ჩვენს გაზეთში არაერთგზის აღგვინიშნავს, სააკაშვილმა და მისმა სომხურმა ბანდამ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მოეკლათ საქართველოს რუსეთი და აეღორძინებინათ სომხეთის რუსეთი, რათა სწორედ რუსი სამხედროების ხელით მიეღწიათ საბოლოო მიზნისათვის, რაც საქართველოდან ჯავახეთისა და აჭარის ჩამოცილებას და საქართველოს შუაში გახლეჩას გულისხმობდა. სომხეთის რუსეთის წარმომადგენლებს ამის დიდი იმედი რომ ჰქონდათ, იმითაც დასტურდება, რომ მრავალ ამ კატეგორიის სახელმწიფო მოღვაწეს დიდი სიხარული ვერ შევამჩნიე იმის გამო, რომ ქართველმა ხალხმა საბოლოოდ შეაქცია ზურგი მიხეილ სააკაშვილსა და მის **"ნაციონალისტთა"** ხროვას და გამოკვეთილი ერთსულოვნებით მხარი დაუჭირა **"ქართულ ოცნებას"**. ხოლო, მას შემდეგ, რაც საქართველოს ერი და ბერი ქართული საქმის გაკეთებას შეუდგება, უკანასკნელ პერიოდში აჭარასა და სხვა რეგიონებში შემოთესლილი სომხები თავად დატოვებენ საქართველოს, რადგან ისინი არასოდეს იზრუნებენ ქართული ოცნების აღსრულებაზე. ამ აზრის განსამტკიცებლად კიდევ ერთხელ შეგახსენებთ მეოცე საუკუნის 90-იანი წლებს, როცა საქართველოს სათავეში ჩაუდგნენ პატრიოტული ძალები ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. მაშინ სულგანათლებულმა ზვიადმა მთელი თავისი პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული ისტებლიშმენტი მკაცრად გააფრთხილა, რომ საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში ჩამოსახლებული ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობები უმიზეზოდ არავის შეეწუხებინა, მაგრამ დაიწყო თუ არა საქართველოში ჭეშმარიტი ქართული საქმის კეთება, სომხები მასიურად ტოვებდნენ საქართველოს...

ასე მოხდება ახლაც და სომხები ისევე მასიურად დატოვებენ აჭარის რეგიონს, როგორ მასიურადაც შემოეთესლნენ აქ, რადგან მათ დიდად არ ეხალისებათ ქართული საქმის აღორძინებისათვის ზრუნვა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც კი აფხაზები აფხაზური საქმის კეთებას შეუდგებიან და თავად გახდებიან თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონები, იქ მცხოვრები სომხების დიდი ნაწილი აფხაზეთიდან აუცილებლად გადაიხვეწება, ამავე მიზეზის გამო. დღეს კი, აფხაზეთში იმ ავადსახსენებელი ომის შემდეგ დამატებით 64 ათასი სომეხი **"შევარდა"** და იქიდან გახიზნულ ქართველთა საცხოვრისებს დაეპატრონა. ასე რომ, აფხაზეთში ქართველთა ღირსეულ დაბრუნებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ვიდრე იქაურობას ომის შემდეგ შეთესლილი სომხები არ დასტოვებენ...

ღმერთმა მაინც ხომ იცის, რომ აფხაზეთში ისინი არავის მიუპატიჟებია!

რაც შეეხება რუსეთს, კავკასიაში დღეს მის ერთადერთ საყრდენს სწორედ სომხეთი წარმოადგენს, რადგან სწორედ იქ მდებარეობს ამიერკავკასიაში ერთადერთი ლეგიტიმური რუსული სამხედრო ბაზა. არა და, რუსეთს მართლაც სჭირდება სამხედრო ბაზა სომხეთში, რადგან, არავინ იცის, როდის უღალატებენ სომხები რუსებს და საქმეს ისე გაუხდიან, რომ საკუთარ იდაყვზე იკბენდნენ. სომხური მოღალატური ბუნებისა და ქართველი ადამიანის ერთგულების თაობაზე რუსებს არაერთგზის შეახსენებდნენ მათი დიდი წინაპრები, თუნდაც ისეთი, როგორიც იყო დიდი რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინი, პუბლიცისტი ვასილ ველიჩკო. მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლების მრავალ მაღალჩინოსანს ისტორიული სკლეროზი აწუხებს და არ უნდა გაიხსენოს, რომ რუსეთს მეტწილად არ სჭირდებოდა სამხედრო ბაზის შექმნა საქართველოში, რადგან სრულიად საქართველო და მისი მოსახლეობა წარმოადგენდა იმ ერთ დიდ სამხედრო ბაზას, რომელიც ამიერკავკასიაში თავდადებულად იცავდა რუსულ და ქართულ გეოპოლიტიკურ ინტერესებს. როგორც ჩანს, რუსების გარკვეულ ნაწილში ჯერ კიდევ მძლავრობს ის ბიბლიური უმადურობა, დიდ რუს მეიგავეს კრილოვს რომ მწარედ ათქმევინა: **"Свинья под дубом, вековым..."**. ახლა ჩვენი მიზანია სწორედ იმ რუსების გამოვლინება, რომლებიც ჯერ კიდევ დარწმუნებულები არიან ქართველების უღალატობაში, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ აღვადგინოთ ტრადიციულად თბილი ურთიერთობები ჩვენს ქვეყნებს შორის.

არა და, რუსებთან დიალოგი უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ, ვიდრე ქართველებსა და რუსებს შორის **"მურმანის ეკალივით"** ჩაჩხერილი მტრები კიდევ უფრო დაძაბავენ ჩვენს შორის ურთიერთობებს.

რაც შეეხება ამ წერილის სათაურს, იგი მთლად ჭეშმარიტებას არ უნდა იყოს მოკლებული, რადგან სწორედ ერევანში დაიგეგმა ის რელიგიური რევანში, რომელმაც დიდი დარტყმა მიაყენა ქართულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, ჩვენი ეკლესიის უფლებები კი ლამის ერთ-ერთი სექტის დონეზე დაიყვანა. გაიხსენეთ, სომხური ეკლესიის კათოლიკოსის, **"ჟესტიანშჩიკ"** გარეგინის ვიზიტი საქართველოში, როცა იგი თავხედურად უტყაპუნებდა მუხლზე ხელს ილია მეორეს და ძმაბიჭური ლაზღანდარაობით **"ურჩევდა"** საქმეებს. მაშინ ქართული საზოგადოების დიდმა ნაწილმა ამგვარი საქციელი გარეგინას უზრდელობას მიაწერა. მაგრამ გამორიცხულია, რომ ბრძენ სომეხ ხალხს საკუთარი ეკლესიის საჭეთმპყრობლად უზრდელი ადამიანი აერჩია. გარეგინას ამგვარი საქციელი გახლდათ ის რელიგიური გენეტიკური კოდი, რომელიც სომხური ეკლესიის კათოლიკოსმა იოსებამ (ოვსეპამ), ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში, ჩაუჭედა სომხებს მონოფიზიტურ ტვინში, და რაც გულისხმობს უპატივცემულობას დიოფიზიტი მართლმადიდებლობის მიმართ. სწორედ სომხეთის ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულმა ოვსეპამ დაწყევლა მართლმადიდებელი ქართველი ერი, გადასცა იგი ანათემას შემდეგი სიტყვებით: ***"ანათემა მას, ვინც იტყვის, რომ ქრისტე ადამიანი იყო თავისი ბუნებით, რომ იგი იყო ხორცშესხმული და გადაიტანა ხორციელი წამება, ეზიარა სიკვდილს ადამიანთა მსგავსად, ანათემა მას! ვინც არ აღიარებს ქრისტეს ერთსახოვან უკვდავ ბუნებრიობად, ანათემა მას!'***

ხედავდნენ რა, რომ ყოველივე ეს მართლმადიდებელთა თვალში სომხურ ეკლესიას შეურაცხყოფს, მე-13 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი კირაკოსი, მოგვიანებით კი იოსებ (სხვა) და კათოლიკოსი ნერსესი სომხური მონოფიზიტობის მიჩქმალვას ცდილობდნენ.

ამ მაქინაციებს ნათელს ჰფენდნენ ციმბირის სასულიერო აკადემიის პროფესორი ტროიცკი, 1877 წელს გამოცემულ ნაშრომში **"სომხური ეკლესიის რწმენის შინაარსი"** და ანისკინი **"სომხური ეკლესიის ისტორიაში"**, რომელიც 1900 წელს გამოიცა წიგნად კიშინიოვში. სამწუხაროა, რომ რუსი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების გარკვეული ნაწილი ამ რელიგიურ შეუთავსებლობას არად მიიჩნევს და კვლავაც შესაშური მონდომებით ეძებს მტრებს საქართველოში.

და კიდევ ერთი: მე ღიად ვუცხადებ სიყვარულსა ნდობას საქართველოში მცხოვრებ იმ სომხებს, ვინც მხარში ამოგვიდგნენ და ხმა მისცეს **"ქართული ოცნების"** აღსრულება. ისინი ჩვენი დები და ძმები არიან და ასეთებად დარჩებიან აწ და მარადის. მე მხოლოდ ის რეაქციონერი სომხები ვამხილე, რომლებიც დაუფარავად აჟღერებენ იმის სურვილს, რომ საქართველოს მართვის სადავეებს კვლავ დაუბრუნდნენ საქართველოს დამაქცევარი სააკაშვილი დ მისი **"ნაციონალური"** ხროვა, რომელთა შორის, ჩვენდა სამწუხაროდ, სიხარბისა და ანგარებისაგან თვალდავსებული ქართველებიც უხვად არიან!

ასე რომ, ამჯერად ნამდვილად ვერ შედგება **"რევანში ერევანში"**!

**როლანდ ჯალაღანია,**
**"აია"-ს და "ფაზისი"-ს**
**აკადემიების ნამდვილი წევრი,**
**გაზეთ "ილორი"-ს მთავარი**
**რედაქტორი**

**P.S. თვალზე ცრემლი მომადგა, როცა არჩევნების ეგზიტპოლების შედეგების გამოცხდების შემდეგ დავინახე თუ როგორ დარბოდა ქუჩაში, "ქართული ოცნების" დროშით ხელში, ჩემი მეზობელი სომხის ბიჭი და ხმამაღლა გაიძახდა: "გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და გაუმარჯოს თავისუფალ სომხებს!".**

**როგორ შეიძლება, ვინმეს აუგი დასცდეს ასეთ სომხებზე.**

**ეს ალბათ ბოლო წერილი იქნება, რომელშიც საზოგადოებას შევახსენებთ სააკაშვილისა და ნაცების სომხობის თობაზე, რადგნ ისინი უკვე აღარ წარმოადგენენ ბოროტ ძალას. ჩვენ დღეიდან მხოლოდ იმ სომხებს ვამხელთ, რომლებიც კვლავაც სიცრუის მოშველიებით ებღაუჭებიან ქართულ მდიდარ ისტორიას. სწორედ ამგვარი შემთხვევა იქნება აღწერილი ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში. ასევე მოგაწვდით დიდი რუსი პუბლიცისტის ვასილ ველიჩკოს აზრს გათავხედებულ რეაქციონერ სომხებზე.**

**რ.ჯ.**

# მანუჩარ მაჩაიძე: "ნაციონალების" ამ ბანდას ქართველი ერის მოსპობა სურდა"



ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, თბილისის **"დინამოს"** ყოფილი კაპიტანი მანუჩარ მაჩაიძე, რომელიც წინა ადგილობრივი ორგანოების არჩევნებზე პოლიტიკური გაერთიანება **"ერთობის"** საარჩევნო სიით თბილისის საკრებულოს წევრი გახდა, 1-ელ ოქტომბერს, საარჩევნო დღის ბოლოს, თბილისში, თავისუფლების მოედანზე გამოსულ **"ქართული ოცნების"** მოზეიმე მხარდამჭერთა შორის შევნიშნე და გავესაუბრე:

– ძალიან ამაღლებული განწყობა მაქვს. ბოლო ხანს საქართველოს მოსახლეობის განწყობას რომ ვაკვირდებოდი, მივხვდი, რომ ქართველი ხალხი გამოვიდა ჰიპნოზიდან, რომელშიც თითქმის 17 წელიწადი იმყოფებოდა და სწორ არჩევანს გააკეთებდა. საკითხი იდგა ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნაზე და ასეთ მნიშვნელოვან მომენტში ქართველმა ერმა გაიმარჯვა. **"ნაციონალების"** ამ ბანდას ქართველი ერის მოსპობა სურდა და არც მალავდა: საქართველო უნდა გადავაქციო სინგაპურადო, კაცო! სინგაპურში 30 წლის წინ, 1968 წელს ვიყავი და ბანდიტების, ქურდებისა და ყაჩაღების ქვეყანა იყო. შემდეგ ისე მოხდა, რომ ადგილობრივი, ძირძველი მოსახლეობის რაოდენობა 15 პროცენტამდე შეამცირეს და უცხოელები ჩაასახლეს. სააკაშვილმა იფიქრა, რომ ასეთია იდეალური სახელმწიფო და ასეთი სახელმწიფოს შექმნა მოინდომა საქართველოში. გადაწყვიტა, მთელი მსოფლიოდან ხალხი ჩამოეყვანა. არადა, საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და მილიონობით ადამიანი რომ ჩამოეყვანა, ჩვენ სადღა უნდა წავსულიყავით? ანუ ჩვენი ამოწყვეტა სურდა ამ კაცს და მის გუნდს! რატომ მოუვიდა თავში ასეთი აზრი, ვინ დაარიგა და რატომ, ამას, ალბათ, ისტორია განსჯის, მაგრამ მისი გეგმის განხორციელებისგან გადავრჩით.

საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ფარავს და მან გვიშველა, რომ ხალხმა ასეთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

დასასრულ – ვფიქრობ, ყველამ კეთილგონიერება უნდა გამოიჩინოს. **"ნაციონალური მოძრაობის"** წევრები ქართველები არიან და დემოკრატიულ სახელმწიფოში არ უნდა მოხდეს უკიდურესი დაპირისპირება. მაინც ჩვენი დები და ძმები არიან. თუ ვინმეს სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი, მხოლოდ ის აგებს პასუხს. 4 წლის შემდეგ ვნახოთ, ეგებ კიდევ სხვა ხელისუფლება მოდის – ესაა დემოკრატია.

**ხარშილაძე**

**რედაქციის კომენტარი – ჩვენს თანამებრძოლსა და მეგობარს მანუჩარ მაჩაიძეს ხშირად გაუჟღერებია აზრი იმის თაობაზე, რომ ნაციონალურ ხელისუფლებას აშკარად არ მიჰყავდა საქართველო სწორი გზით. სამწუხაროა, რომ ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი მხოლოდ მას შემდეგ ჩაუხვდა ვერაგულ ჩანაფიქრს სააკაშვილის არაქართულ ბანდას, რაც მათ არჩევნები წააგეს წმინდა ქართულ ძალასთან. რა უნდა ყოფილიყო საეჭვო იმაში, რომ მართლმადიდებლურ საქართველოს ისტორიულად დაპირისპირებული სომეხი ერის შვილი, მონოფიზიტი მიხეილ სააკაშვილი ფარულად თუ ღიად გამოუცხადებდა ომს ჩვენს რელიგიურობასა და ეროვნულობას. განა ეს არ გამოსჭვიოდა მის ყოველდღიურ საქმიანობაში და ქართული ეკ**ლესიისა თუ სამოქალაქო საზოგადოებისადმი დამოკიდებულებაში? ყველაზე დიდი საწუხარი კი ის გახლავთ, რომ სულიანხორციანად გადამთიელი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ძლიერებას ძირს უთხრიდა გონებაჩლუნგი თუ ხელ და სულმრუდი ქართველების ხელშეწყობით. განა არ გახსოვთ, ქართული ანდაზა – წაქცეული ხე რომ ამბობს: "ნაჯახი ვერაფერს დამაკლებდა, ჩემი ჯიშისა რომ არ ეხმარებოდესო"!

ამჯერადაც გადაგვაფარა ღვთისმშობელმა მოწყალების კალთა და დიდ ხიფათს გადაგვარჩინა. მაგრამ, ღმერთსაც აქვს, ალბათ, მოთმინების ფიალა და, ჩვენი გულარხეინობითა და ფეხებზემკიდიაობით გაბეზრებულმა, ერთხელაც, შეიძლება სამუდამოდ შეგვაქციოს ზურგი...

ამიტომ, ფრთხილად და ფხიზლად იყავით, ქართველებო!

**რ შალამბერიძე**

# რემა ჟვანია: "ზურას მკვლელობაში სააკაშვილისთვის ძვირფასი ადამიანია გარეული"

*"ფირს ნამდვილად ვერ ვნახავ, მაგრამ უნდა ვიცოდე, ვინ არის მკვლელი"*
*"თავისა და კეფის არეში, ასევე კისრიდან მუცლის ღრუს ჩათვლით, ცხედარი გაჭრილი იყო"*

გასულ კვირას, გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის დედამ, რემა ჟვანიამ, ზურაბ ჟვანიას ყოფილ თანაპარტიელებს თანამდებობების დატოვებისკენ მოუწოდა. **"თქვენ არ შეასრულეთ ხალხის ნდობა, ღირსეულად მაინც წადით!"** – უთხრა მან ხელისუფლებაში მყოფ ყველა იმ პირს, რომლებიც თავს ისევ ზურაბ ჟვანიას მეგობრებად მიიჩნევენ. წლებია, ქალბატონი რემა ჟურნალისტებთან შეხვედრას ერიდება. თუმცა, ამჯერად ჟურნალისტებისათვის გამონაკლისი დაუშვა. გთავაზობთ ზურაბ ჟვანიას დედასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს, სადაც ის პრემიერ-მინისტრის მკვლელობის დამკვეთებსა და შემსრულებლებზე ლაპარაკობს. ქალბატონ რემას სწორედ მაშინ შევხვდით, როცა საზოგადოება ჟვანიას სიკვდილის გარემოებათა ამსახველი სკანდალური ვიდეოჩანაწერის მოლოდინში იყო (მედიაში გავრცელდა, რომ ჩანაწერს საზოგადოება უახლოეს ხანში ნახავს). ქალბატონი რემა ამ დღეს ძალიან ღელავდა:

– ამ ქვეყანაში ყველაფერს საჩვენებლად აკეთებენ, ადამიანის ძირითადი უფლებები კი სრულიად უგულებელყოფილია. ქალაქად თუ სოფლად, ყველგან ერთნაირი ვითარებაა, ყველა, გლეხი თუ მეცნიერი, დიდ სიდუხჭირეშია. ხელისუფლების საქმიანობაზე პროტესტის გრძნობა დიდი ხანია გამიჩნდა, მაგრამ პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოფირების ნახვამ მოთმინების ფიალა ამივსო. თითქოს კიდევ ერთხელ მოვკვდი, თითქოს გულში დანა გამიყარეს. ასეთივე განცდა მქონდა ზურას გარდაცვალების გამო და არ მეგონა, თუ განმეორდებოდა. ასეთ საშინელებას ვერ წარმოვიდგენდი. აშკარაა, ხელში შეგვრჩა სიცრუეზე აგებული ქვეყანა, სადაც მართალია, გზებს აგებენ, მაგრამ ქალაქი ქალაქს აღარ ჰგავს, სოფელი სოფელს და ზოგიერთი ადამიანი – ადამიანს.

**– ადრე არასდროს გქონიათ ბევრ თემაზე საჯაროდ საუბრის სურვილი.**

– მართალია, ბევრი რამ უთქმელი დამიგროვდა, მაგრამ, სხვებისგან განსხვავებით, ხალხში გამოჩენა და ლაპარაკი არ შემიძლია. უკვე 80 წელს ვუახლოვდები, პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ. ახალგაზრდა რომ ვიყო, ალბათ, ქვეყანას შევძრავდი, ახლა კი მიუხედავად უძლურებისა, მაინც გავაკეთე განცხადება და მათ, ვინც თავს ზურას მეგობრად მიიჩნევენ, მოვუწოდე, ხელისუფლებიდან ღირსეულად წავიდნენ. გულიდან მაინც ვერ ამოვიღე ისინი, რომლებთან ერთადაც ზურა ჯერ კიდევ "მწვანეთა მოძრაობიდან" მოდიოდა. სხვათა შორის, "მწვანეებში" იყო მისი დაცვის უფროსი კობა ხარშილაძეც, რომელიც ჩემი შვილის უშუალო მკვლელი არ არის, მაგრამ არ ჰქონდა უფლება, ზურა მიეტოვებინა! ვშიშობ, რომ ხელისუფლება ისევ ძალადობას მიმართავს, ამიტომაც თავი ვალდებულად ჩავთვალე, მეთქვა ყველაფერი, რასაც ვფიქრობდი.

**– მას შემდეგ, რაც ციხეებში პატიმართა წამების ამსახველი ვიდეოფირები გავრცელდა, გია ბარამიძემ "ნაციონალების" მხარდამჭერებს მოუწოდა, თავაწეულმა იარეთო. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

– აბა, რა გითხრათ, ეტყობა, შეასრულა ის, რაც უთხრეს.

გია ბარამიძეს ბოლოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შევხვდი. შინ მესტუმრა. მაშინაც ძალიან აღელვებული ვიყავი იმ ყველაფრით, რაც ხდებოდა ქვეყანაში. ვკანკალებდი და თითქმის ყვირილით ველაპარაკებოდი გიას, ისიც კი ვუთხარი, ბუშმა, პუტინმა და სააკაშვილმა მსოფლიოში ბევრი სისხლი დაღვარეს და ტრიბუნალს იმსახურებენ-მეთქი. გია გაგიჟდა და გავარდა.

ხათუნასთანაც (გოგორიშვილი) მქონდა ურთიერთობა, რომელიც მართლაც ძალიან მიყვარდა, თუმცა, ბოლო დროს, ყველას თავს ვარიდებ. ვიცი, რომ ზურას დაბადებისა და გარდაცვალების დღეებში დიდი თაიგულებით მიდიან გიაც და ხათუნაც ჩემი შვილის საფლავზე. ჩვენ მათ იქ არ ვხვდებით.

**– და მაინც, რითია განსხვავებული ზურას გზა მიშას გზისგან?**

– ძალიან განსხვავებულია. ზურა არ დაუშვებდა დემოკრატიული ინსტიტუტების განადგურებას საქართველოში და ძალაუფლების უზურპაციას. ზურა ყოველთვის ხელს უშლიდა კლანების ჩამოყალიბებას. მამალაძესაც იმიტომ დაუპირისპირდა, რომ მან მომხვეჭელობა დაიწყო. ზურა სხვებისგან ადამიანური თვისებებითაც განსხვავდებოდა, – ის ოპონენტსაც უსმენდა, აკვირდებოდა, შეეძლო იმასაც დახმარებოდა კანონიერების ფარგლებში, ვინც მუდამ მის ლანძღვაში იყო. მისთვის მატერიალური მხარე არასდროს იყო მთავარი. არადა, ზოგიერთი მისი ოპონენტი ამბობს, ხელისუფლებაში ფული ვერ გაიყვესო და ამით ტალახს ზურასაც ესვრის. ამ ოპონენტებს წარმოდგენაც არა აქვთ არც ზურასა და არც მის ოჯახზე. ჩემი შვილი სხვაგვარად აღზრდილი იყო, ფულის სიყვარული გენებშიც არ ჰქონდა. ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: ჩემმა დედამთილმა თალიკომ ბინის მიყიდვაზე კლიენტს უარი უთხრა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვისთვის ჰქონდა სიტყვა მიცემული, ამ და ამ ფასად მოგყიდიო. ახალი კლიენტი ბინაში თალიკოს ორმაგ ფასს სთავაზობდა და გაოცდა: "ნუთუ თქვენი სიტყვა 50 ათასი ღირს?" – ჰკითხა თალიკოს და ასეთი პასუხი მიიღო: "ჩემი სიტყვა არ იყიდება". აი, ასეთი ადამიანების გარემოში აღიზარდა ზურა.

მახსოვს, როცა ზურა მოასვენეს, თოვდა, ქარი ქროდა. სრულიად გათიშული ვიყავი, დილის ათი საათიდან განუწყვეტლივ მოდიოდა და მოდიოდა ხალხი. სოფლებიდან ჩამოსულმა ადამიანებმა ზურას ასე მიატირეს, შენ რომ არა, გასულ ზამთარს ვერ გადავიტანდითო. ამ სიტყვებმა თითქოს გამომაფხიზლა, ზურა ჩუმად, გაუხმაურებლად ეხმარებოდა ადამიანებს.

**– ბოლო დროს ბევრი ფარული ვიდეოჩანაწერი გავრცელდა. რას იტყვით იმ ჩანაწერზე, სადაც მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ მასა და ზურაბ ჟვანიას შორის დაპირისპირება იყო?**

– ეს ისედაც ვიცოდი. ზურა არაფერს ამბობდა, მაგრამ ვგრძნობდი. ხშირად ეთანხმებოდა მიშას, მაგრამ მერე მაინც თავის ხაზს ატარებდა პოლიტიკაში. ამის შედეგი ის იყო, რომ 2004 წელს (გახსოვთ, ალბათ, ცხინვალის სიმაღლეების აღების ეპიზოდი) ზურას ავტომანქანა დაცხრილეს, როცა ოსებთან მოლაპარაკებაზე მიდიოდა. ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან, კიდევ საკითხავია. დარწმუნებული ვარ, ზურა რომ ცოცხალი ყოფილიყო, 2008 წლის ომიც არ დაიწყებოდა.

**– ჩვენ ვნახეთ სააკაშვილის, ჟვანიას, პატარკაციშვილისა და კიწმარიშვილის საუბრების ვიდეოჩანაწერები, რომლებიდანაც ცხადი ხდება, რომ ხელისუფლება მედიას როგორც ნადავლს, ისე უყურებს. ჟვანია პატარკაციშვილს ეუბნება, ეროსი წუხს, რომ ბაზრის ფასი გაზარდეო.**

– ზურა ასე მარტივად აღსაქმელი ადამიანი არ იყო. როგორც ვიცი, ეროსის უნდოდა ყველა ბიზნესის გაკონტროლება, რისი საშუალებაც სწორედ ზურამ არ მისცა. ეროსიმ რაღაც მოითხოვა და ზურა არ დათანხმდა. ბადრისთან კი ზურა მართლაც დაახლოებული იყო. მისი უბედურება ის იყო, რომ ყოველთვის ჰყავდა ზემოთ მდგომი ადამიანი, რომელიც მიზნის მიღწევაში ხელს უშლიდა. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მაინც ახერხებდა თავისი პოლიტიკური ხაზის გატარებას. როგორ, ნამდვილად ვერ გეტყვით. ის სულ სხვანაირი ადამიანი იყო. ამას არ ვამბობ მხოლოდ იმიტომ, რომ ზურაბ ჟვანიას დედა ვარ. ერთხელ აშშ-ის ყოფილმა ელჩმა საქართველოში უილიამ კორტნიმ მითხრა, ქალბატონო, თქვენი შვილი გენიოსიაო. ზურას უცხოელი კოლეგები [პირად წერილებში გაცილებით მეტს წერენ ზურაზე, ვიდრე ახლა მე გიამბობთ. ჩემი შვილი წიგნშიც – "500 ძალიან ჭკვიანი ადამიანი" არის შეტანილი.

**– თუკი მიშასა და ზურას შორის ყველაფერი გარკვეული იყო, ადგილები – გადანაწილებული და არსებობდა ინტერესთა თანხვედრა (როგორც სააკაშვილი ამბობს ერთ-ერთ ვიდეოჩანაწერში), მაშინ, თქვენი აზრით, ვინ და რატომ მოიცილა ზურაბ ჟვანია?**

– საქმეც ის არის, რომ ბოლომდე არ იყო ინტერესთა თანხვედრა. ხომ ვხედავთ, როგორ ცხოვრობენ ეს ვაჟბატონები, აღარ იციან, რითი ისიამოვნონ, საზღვარგარეთ ნაოჭებსაც კი ისწორებენ და ხალხი ამ დროს უკიდურეს სიდუხჭირეშია. ვფიქრობ, ზურა ამას არ დაუშვებდა. არ შემიძლია ვინმეს დავადო ხელი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იმიტომ ვერ გაიხსნა ეს საქმე, რომ მასში ჩარეულია სააკაშვილისთვის ძვირფასი პირი.

**– ნინო ქადაგიძე თვლის, რომ ჟვანიას სიკვდილი ახალაიას, ალანიასა და მელნიკოვის კლანს უკავშირდება.**

– ისინი შემსრულებლები იყვნენ, შემკვეთი კი, სავარაუდოდ, მიშასთვის მნიშვნელოვანი ადამიანია. როგორც აჭარის ტელევიზიის ყოფილი ხელმძღვანელი თამაზ ბაკურაძე ამბობს, სასჯელს გირგვლიანის მკვლელების მეზობელ საკანში იხდიდა და თავად გაუგონია ალანიას ხმა, როცა ციხის უფროსს ეუბნებოდა, სააკაშვილთან დამაკავშირეთ, ჟვანიას ამბავი უნდა შევახსენოო.

თურმე განაწყენებული ყოფილა, რომ მამა გარდაცვლილია და ოჯახში, დედასთან დარჩენის საშუალება არ მისცეს, საკანში მიაბრუნეს. ციხის უფროსი თურმე უბოდიშებდა, შენზე ინფორმაციამ გაჟონა და ამიტომ ოჯახში ვერ დაგტოვეთო. უფრო ადრე ოქრუაშვილმაც თქვა, რომ ჟვანია მოკლეს და მისი ცხედარი იმ ავადსახსენებელ ბინაში მიიტანეს.

**– თქვენ გქონდათ ზურას ცხედრის დათვალიერების საშუალება?**

– საეჭვოდ მეჩვენა, რომ კეფის არეში მთლიანად, ისევე როგორც კისრიდან მუცლის გაყოლებაზე, გაჭრილი იყო. ვიკითხე, ეს რა არის-მეთქი და მიპასუხეს, ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს, მოიწამლა თუ რა მოხდაო.

**– თავიდანვე რატომ იფიქრეთ, რომ ნამდვილად მოკლული იყო?**

– იმიტომ, რომ ზურა ზამთარშიც კი ფანჯარას ოდნავ ღიად ტოვებდა, სამსახურშიც და შინაც, ეს მისმა მეგობრებმაც კარგად იციან. მით უმეტეს, არ გაჩერდებოდა ფანჯრებჩაკეტილ ოთახში, სადაც გაზის გამათბობელი იდგა.

ვერაფრით დავიჯერე, რომ იმ საღამოს სასმელი დალია და თან სოსისი თუ სხვა რაღაც მიირთვა, როგორც გამოაცხადეს იმ საღამოს. იმ დღეს ზურამ შინ შემოიარა, შევთავაზე ლიმონიანი უშაქრო ჩაი და ისიც კი არ დალია, დიეტაზე ვარ და 7 საათის მერე პირში არაფერს გავიკარებო.

**– ჟვანიას მეგობრებისთვის თუ გითქვამთ, რომ ზურა მოკლულია?**

– რა თქმა უნდა. გიამ თქვა, მიდის გამოძიება და ყველაფერი დადგინდებაო და დღემდე იძიებენ. საქმე რომ დაეხურათ, სტრასბურგის სასამართლოში გავგზავნიდი, მაგრამ არ დახურეს და ამის უფლება არ მომცეს. გუმანმა თავიდანვე მიკარნახა, რომ ზურა მოკლეს. პანაშვიდზე გიული ალასანია რომ მოვიდა, ვუთხარი, გიული, ზურა მოკლულია, მოწამლეს-მეთქი! არა, არაო, – იუარა. "როგორ არა, მიშაც იყოს ფრთხილად, ყველგან რაღაცას ჭამს. ზურა მოწამლეს!" – გავუმეორე მე. "არა! რას ამბობთ!" – იყო პასუხი. მას შემდეგ გიული აღარ მინახავს.

**– როგორც ამბობენ, არსებობს ზურაბ ჟვანიას სიკვდილის გარემოებების მამხილებელი ვიდეოჩანაწერი...**

– ხალხი ისედაც შეშლილია პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოფირის მერე. ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილს საზოგადოება ენდობა, ამიტომ ჯობს, მას აჩვენონ ფირი. შემდეგ ბიძინა გადაწყვეტს, გააცნოს საზოგადოებას თუ არა. შესაძლებელია ისიც, მხოლოდ თავად ნახოს და თავისი დასკვნა ხალხს გააცნოს. პირადად მე წარმოდგენაც კი მიჭირს, რა შეიძლება იყოს ფირზე აღბეჭდილი. ის თუ არის ასახული, თუ როგორ კლავენ ჩემს შვილს, ამას ნამდვილად ვერ ვუყურებ, მაგრამ უნდა ვიცოდე, ვინ არის მკვლელი!..

ზურას შვილები მებრალება. ბუსა უკვე 16 წლის ბიჭია და ასეთი ფირის ნახვის მერე, მეშინია, რამე არ ჩაიდინოს! მედარდება პატარა ანჩოც და ლიზაც, რომელიც ამერიკაშია და იქიდან მისჩერებია საქართველოში განვითარებულ მოვლენებს.

ყველანი იმედით შევცქერით ქვეყანას და ვლოცულობთ, რომ სისხლი არ დაიღვაროს.

ე. ასათიანი

# პარლამენტის კომიტეტების შემადგენლობა და თავმჯდომარეები

2012 წლის 21 ოქტომბერს, 13.00 საათზე, საქართველოს ახალარჩეული მე-8 მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა, საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილების თანახმად, ქალაქ ქუთაისში გაიმართა.

დეპუტატებმა პარლამენტში კომიტეტების შემადგენლობების განსაზღვრისა და ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობების კვოტების შესახებ დადგენილების პროექტი 122 ხმით 1-ის წინააღმდეგ დაამტკიცეს. დამტკიცდა კომიტეტების თავმჯდომარეების კანდიდატურებიც.

დადგენილების პროექტის თანახმად, აგრარულ საკითხთა კომიტეტში 14 წევრი იქნება (თავმჯდომარე – გიგლა აგულაშვილი);

**ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში** – 14 (თავმჯდომარე – ეკა ბესელია);

**განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში** – 14 (თავმჯდომარე – ივანე კიღურაძე);

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში** – 12 (თავმჯდომარე – ზურაბ ზვიადაური);

**დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში** – 14 (თავმჯდომარე – ზურაბ ტყემალაძე);

**დიასპორისა დაკავკასიის საკითხთა კომიტეტში** – 12 (თავმჯდომარე – გუბაზ სანიკიძე);

**ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტში** – 12 (თავმჯდომარე – ვიქტორ დოლიძე);

**თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში** – 14 (თავმჯდომარე – ირაკლი სესიაშვილი);

**იურიდიულ საკითხთა კომიტეტში** – 14 (თავმჯდომარე – ვახტანგ ხმალაძე);

**რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობის და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტში** – 14 (თავმჯდომარე – ერეკლე ტრიპოლსკი);

**საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში** – 12 (თავმჯდომარე – თედო ჯაფარიძე);

**საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში** – 12 (თავმჯდომარე – ირინა იმერლიშვილი);

**საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში** – 12 (თავმჯდომარე – დავით ონოფრიშვილი);

**სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტში** – 14 (თავმჯდომარე – ლერი ხაბელოვი);

**ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში** – 14 (თავმჯდომარე – დიმიტრი ხუნდაძე).

პროპორციები ფრაქციების მიხედვით ასე გადანაწილდა: 14-წევრიან კომიტეტებში ფრაქცია **„ქართული ოცნებიდან"** – 6 წევრი, **„ქართული ოცნება – თავისუფალი დემოკრატებიდან"** – 1 წევრი, **„ქართული ოცნება – რესპუბლიკელებიდან"** – 1 წევრი, **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან"** – 4 წევრი, **„ნაციონალური მოძრაობა – მაჟორიტარებიდან"** – 1 წევრი, **„ნაციონალური მოძრაობა – რეგიონებიდან"** – 1 წევრი.

12-წევრიან კომიტეტებში კვოტები შემდეგნაირად გადანაწილდება: ფრაქცია **„ქართული ოცნებიდან"** – 5 წევრი, ფრაქცია **„ქართული ოცნება – თავისუფალი დემოკრატებიდან"** – 1 წევრი, ფრაქცია **„ქართული ოცნება – რესპუბლიკელებიდან"** – 1 წევრი, ფრაქცია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან"** – 3 წევრი, **„ნაციონალური მოძრაობა – მაჟორიტარებიდან"** – 1 წევრი, **„ნაციონალური მოძრაობა – რეგიონებიდან"** – 1 წევრი.

25 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა ასევე ნდობა გამოუცხადა ახალ მთავრობას, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ბატონ ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით.

# “ასის წლის წინათ...”

ერთ-ერთ ქართულ ინტერნეტსაიტზე ფრიად საინტერესო ფოტო გამოქვეყნდა ასევე საინტერესო კომენტარით. საიტზე გამომზიურებულ უნიკალურ ფოტოსურათს რომელიღაც კერძო კოლექციონერმა თბილისში, **“მშრალ ხიდზე”**, ე.წ. ძველმანების ბაზრობაზე მიაგნო, სადაც მიხეილ სააკაშვილისა და ნაცების ანტიქართული პოლიტიკის წყალობით გამათხოვრებული მოსახლეობა ოჯახებიდან გამოტანილ უნიკალურ ნივთებს ხშირად გროშებად ჰყიდის, რათა შიმშილისაგან არ ამოხდეს სული. რაც შეეხება ტერმინს **“ძველმანების ბაზრობა”**, იგი მთლად ზუსტად ვერ ასახავს რეალობას, რადგან აქ გამოფენილ **“ძველმანებში”** ხშირად ისეთი რარიტეტი ან უნიკალური ნივთი გამოერევა, რომ ქართველი და უცხოელი ექსპერტები მისი აღმოჩენით გაოცებასა და აღფრთოვანებას ვერ მალავენ. თუმცა, ვიდრე ნივთის რაობა დადგინდება, საქმეში ჩაუხედავი გამყიდველი თუ მყიდველი კაპიკებზე უთანხმდებიან ხოლმე ერთმანეთს.

და, რა თქმა უნდა, კერძო კოლექციონერმა აქ გამოქვეყნებული უნიკალური ფოტოც **“ჩალის ფასად”** შეიძინა. ძნელია გაარჩიო, რა დროს უჩვენებს ფოტოზე ასახული, კედელზე დაკიდებული საათი, მაგრამ ზუსტად არის ცნობილი, რომ ფოტოზე მომავლის დიდი ქართველი პროზაიკოსი კონსტანტინე გამსახურდიაა გადაღებული, ერთ-ერთ გერმანულ ტავერნაში, მეგობრებთან ერთად. მათ შორის ერთ-ერთის ვინაობა ცნობილია – გიორგი ნათიძე მისთვის დამახასიათებელი პენსნეს მაგვარი სათვალით.

**unigsberg. (Preusen) . Bessel Strasse. G. Blok. Nem.** – ამ მისამართზე ცხოვრობდა სტუდენტი კონსტანტინე გამსახურდია გერმანიაში სწავლის პერიოდში. კენიგსბერგში კონსტანტინე გამსახურდია 1912 წლის ოქტომბერში ჩავიდა. მთავარი პრობლემა, რაც გერმანიაში ახლად ჩასულ სტუდენტს აწუხებდა – გერმანული ენის არცოდნა იყო. **“სამი თვე ვცხოვრობდი ჩრდილოეთ პრუსიის ერთ მოზრდილ ქალაქში. უცხოეთში ყოფნას ჯერ მიჩვეული არ ვიყავი. ცალკე ჩემი ქვეყნის ცის ხილვის წყურვილი, ცალკე ის გაჭირვება, რომელიც შეხვდება იქ ენის უცოდინარ კაცს – მით უფრო იმ ქალაქში, სადაც ერთი ქართველიც არ იყო. ...სადაც მუნჯივით დავხეტიალობდი პირველი ორი თვის განმავლობაში”,** – იწერებოდა მაშინ კონსტანტინე გამსახურდია გერმანიიდან.

ახალგაზრდა სტუდენტს გული გერმანიის იმ ქალაქებისკენ მიუწევდა, სადაც ქართველები ეგულებოდა. მაგალითად ჰაიდელბერგში, სადაც იმ დროს მიხაკო წერეთელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ჩავიდა კიდეც... ერთ-ერთი ვერსიით, ფოტოზე მარცხნივ (პროფილში) სწორედ ჰაიდელბერგში კონსტანტინე გამსახურდიას მასპინძელი, მიხაკო წერეთელია.

ამ ფოტოს დღევანდელობისგან ზუსტად ერთი საუკუნე აშორებს, მაგრამ ქართველი მწერლის იმ დროს გაკეთებული ჩანაწერები, დღესაც არ კარგავს აქტუალობას და ბევრისთვის საგულისხმოა. **“გერმანელთა ცხოვრებაში ბევრი ნაკლოვანება შევამჩნიე: გაუთლელობა, წვრიმალობა, წრეს გადასული ფორმალისტობა, მაგრამ იმავე დროს ბევრი ისეთი სხვა თვისება შემინიშნავს გერმანელების ხასიათში, რაც ბევრჯერ მინატრია ჩემი ერისათვის.**

**ესენია: მოვალეობის მტკიცედ ასრულება, ეროვნული თავმოყვარეობა, საკუთარი ძალღონის იმედი, თუმცა ხშირად გადაჭარბებული, მაგრამ მაინც ღირსი მიბაძვისა და პატივისცემისა.**

**ყოველი ერი, რომელსაც სიცოცხლე სწყურია, თავმოყვარეა, ყველა სცდილობს არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს. ნურავისა აქვს იმის იმედი, რომ მეზობლის ქურქი გამათბობსო. ამას ცხადად მოწმობს ევროპის ისტორია და რაღა ევროპისა, მარტო ის მეხი, რომელიც წარსულ საუკუნეში ჩვენს მამა-პაპას თავს დაატყდა...**

**ვაი, იმ ერს, რომელსაც ეროვნული თავმოყვარეობა არა აქვს, იგი მუდამ სხვისი საწველი ფური იქნება და ჩამორჩენილი – იმ დიად მიზანს, რომლისკენაც მთელი კაცობრიობა და ყოველი ერი ცალ-ცალკე მიისწრაფის”,** – წერდა გერმანიიდან კონსტანტინე გამსახურდია.



# გაქცეულები

ერთ-ერთი მინისტრის მოადგილეს ერთგული თანაშემწე ჰყავდა. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ზემოხსენებული მაღალჩინოსანი გაერიდა **“ხელისუფლების გადაბარების პროცესს”** და საზღვარგარეთ გაემგზავრა ისე, რომ სამინისტროში არავინ გაუფრთხილებია.

თანაშემწე შეშფოთდა. მოახერხა და პირადი კონტაქტებით გაიგო მინისტრის ადგილსამყოფელი და ამსტერდამში ჩააკითხა. შენ სადღა გარბოდი, სულ ორი თვეა რაც მუშაობ, არაფერი გემუქრებაო,– გაუკვირდა მინისტრის მოადგილეს. რა ვიცი, ყველანი წახვედით და მეც წავედიო, – უპასუხა თანაშემწემ. დაახლოებით ისე გამოვიდა, ფილმში **“джентльмены удачи”** რომ ამბობს ერთ-ერთი პერსონაჟი – **“все побежали и я побежал.”**

კომიკურად განვითარდა მოვლენები მთავარ პროკურორ მურთაზ ზოდელავასთან დაკავშირებითაც. სარწმუნო წყაროს ცნობით, ზოდელავა უკვე მზად იყო საზღვარგარეთ გასამგზავრებლად და მის ჯიბრზე, მაინცდამაინც მაშინ განაცხადა თეა წულუკიანმა – ჩემი ინფორმაციით, ზოდელავა გაიქცაო. ავლაბრის რეზიდენციაში შეშფოთდნენ და ჩემოდანჩალაგებული ზოდელავა აიძულეს, რამდენიმე დღე კაბინეტში ეყურყუტა, რათა მედიისთვის ოფიციალურად განეცხადებინათ – მთავარი პროკურორი ჩვეულ რეჟიმში მუშაობსო.

თუმცა **“გაქცეულებს”** შორის **“პირველი მერცხალი”** მურთაზ ზოდელავას უშუალო უფროსი, ზურაბ ადეიშვილი იყო. იუსტიციის მინისტრმა 5 ოქტომბერს აიღო შვებულება (ოფიციალური ინფორმაციით) და რა თქმა უნდა, **“დასასვენებლად”** საზღვარგარეთ გაემგზავრა. ბოლოს ის ფრანკფურტში ათი დღის წინ ნახეს.

დაახლოებით ამავე პერიოდში სარფის გავლით ქვეყანა და მამა **“მიატოვეს”** ძმებმა ახალაიებმა თავის **“მასტერასთან”** ერთად.

**“არც მშვიდობიან დროს და არც ომში არც ერთ ადამიანს არ მივატოვებთ”,** – ეს თავდაცვის სამინისტროს ახალი დევიზია, რომელიც შაშკინმა შეიმუშავა. თუმცა თავად მინისტრმა თავის მოადგილესთან ერთად (დათა ახალაიაზე ზემოთ მოგახსენეთ) მშვიდობიანობის დროს მიატოვა უწყება და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა. გამოდიოდა, რომ ხუთშაბათამდე, სანამ ახალი მთავრობა დამტკიცდებოდა, მტერი რომ თავს დაგვესხმოდა, **“კომფორტა”** კოკა სეფერთელაძის იმედად უნდა ვყოფილიყავით, თუ რა თქმა უნდა, ის საქართველოში იმყოფებოდა.

შაშკინმა, სხვათა შორის, უცხოეთიდან უზარმაზარი მიმართვა გამოუგზავნა ჯარისკაცებს და კოლეგებს, რომელშიც დეტალურად აღწერა, თუ როგორ **“ააღორძინა”** ციხეები, ჯარი და განათლების სისტემა. ალბათ, რომ სცოდნოდა, რა გამოხმაურება მოჰყვებოდა სოციალურ ქსელებში მის უსტარს, **“დუმილის უფლებას”** აირჩევდა.

სხვები თუ საზღვარგარეთ ფარულად გაიქცნენ, პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი და **“ნაცმოძრაობის”** ახალი გენმდივანი ვანო მერაბიშვილი იქ ოფიციალური ვიზიტით **“გაიპარა”**. საინტერესოა, რომელიმე ქვეყანაში თუ ხდება, რომ მთავრობის პრესსამსახური პრემიერის მოვალეობის შემსრულებლის ვიზიტის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს და არ უთითებს, კონკრეტულად რომელ ქვეყანაში ხორციელდება ის. როდის დაბრუნდება მერაბიშვილი უცნობია (ჩვენდა **“საბედნიეროდ”** – დაბრუნდა) – ალბათ, მაშინ, როდესაც უცხოეთში **“ბუდის”** მოწყობასთან დაკავშირებით ტექნიკურ საკითხებს მოაგვარებს.

კიდევ რამდენ მაღალჩინოსანს უჭირავს თვალი უცხოეთისკენ, უცნობია. თუმცა, უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთავრობის გადაბარების კი არა, მთავრობის გაქრობის პროცესი მიმდინარეობს.

სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას თქვა – შესაძლოა, **“ნაციონალები”** ხელისუფლებაში ისევ დაბრუნდნენო. თუმცა მანამდე ყოფილი მმართველი პარტიის საკვანძო ფიგურები უცხოეთიდან უნდა დაბრუნდნენ და არ გაემიგრანტდნენ.

თორემ თუ ასე გაგრძელდა, პრეზიდენტს მალე პოლიტიკური დასაყრდენი კი არა, ხმის გამცემი აღარ ეყოლება.

გ. კვიტაშვილი

**რედაქციის მინაწერი: ვირთხებს თუ ფრენა შეეძლოთ, ნამდვილად არ ვიცოდი, მაგრამ, თურმე ცოდნიათ, და თანაც როგორი... პირველი ვირთხა – მურთაზ ზოდელავა (ღმერთო! – ისევ მეგრელი...) მთავარი პროკურატურის შენობიდან გამოფრინდა და დურთა თავი უსასრულობაში. მას სხვა ვირთხები მიჰყვნენ, რამაც “ნაცმოძრაობად” წოდებული ჩასაძირად განწირული გემი ოდნავ შეამსუბუქა, მაგრამ მის ფსკერზე გაჩენილი ნახეთქიდან აშკარად იკვეთება ამ გემის ჩაძირვის პერსპექტივა. ახალი პარლამენტის პრინციპული და შეუვალი პოზიციიდან კარგად ჩანს, რომ წყალმორეული გემიდან ვირთხების გაფრენები კვლავაც გაგრძელდება და მათ შორის რეალური ფრინველებიც შეიძლება გამოერიონ. თუნდაც ისეთი, როგორიცაა ჩიორა თაქთაქიშვილი. აფრენით კი აფრინდება მუდამ მხიარულად მოჭიკჭიკე “ჩირი-ჩიორა”, მაგრამ როდის, სად და რაზე დაფრინდება, ეს უკვე, ალბათ, თავად ჩიორამაც არ იცის!**

**მართლაც რომ “ამოუცნობია გზები უფლისანი”! რამდენიმე თვის უკან, განა ვინმეს შეეძლო წარმოედგინა, რომ ეს ადამიანის სახედაკარგული არსებები სიმაღლის მიხედვით დადგებოდნენ რიგში და საქართველოდან უკანმოუხედავად მოკურცხლავდნენ. ერთადერთი მოსაწონი მათ საქციელში ისაა, რომ ადამიანებმა თავად შეაფასეს საკუთარი დანაშაულის სიმძიმე და საქმე ბევრად გაუადვილეს ახალი პარლამენტის შესაბამის კომისიასა და სხვა საგამოძიებო ორგანოებს, რომლებიც მალე შეუდგებიან მათი დანაშაულებრივი საქმიანობის შესწავლას.**

**ჯერ “არგაფრენილი” პოტენციური დამნაშავეები კი ალბათ ფიქრობენ, რომ მალე ისინიც გადაფრინდებიან “თბილი” ქვეყნებისაკენ, თუ, რა თქმა უნდა, ხალხის რისხვას გაასწრეს!**

**ასევე უკანმოუხედავად დატოვა საქართველო “წვრილმანმა” ნაძირალამ, შსს კუდ-ის თავმჯდომარის მოადგილე სოსო თოფურიძემ, რომელიც ტელედაკავებების სერიალების ჩატარებით გამოირჩეოდა.**

**სიმართლე გითხრათ, ძლიერ მაკვირვებს მიხეილ სააკაშვილის სტოიციზმი, რომელიც ჯერ კიდევ მედგრად დგას “საქართველოდ” სახელდებული გემის თუნდაც პირობით შტურვალთან და ომახიანად გვმოძღვრავს და “მეორედ მოსვლას” გვპირდება. თუმცა, ჩვენის დაკვირვებით იმის სერიოზული ეჭვი გვიჩნდება, რომ ახალ წლამდე თუ არა, ახალი წლიდან რამდენიმე დღეში ნახევრად ჩაძირული გემიდან ასაფრენად აიწევა თვით მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც, სხვა პოლიტვირთხებთან ერთად, საქართველოში მხოლოდ “ინტერპოლის” წითელი ცირკულარი თუ დააბრუნებს!**



# პრეზიდენტის "ნაშები" და ფავორიტები



მას შემდეგ, რაც ქართველმა ერმა მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტად აირჩია, მეცხრე წელი ნელ-ნელა მიიზლაზნება და ამ ადამიანის შესახებ იმდენი ჭორ-მართალი გავრცელდა, მეტი რომ არ შეიძლება.

არჩევიდან პირველივე წლებში, სხვადასხვა კონცერტზე ხან ნინო სუხიშვილის, ხანაც სოფო ხალვაშის ხელში ატაცებით სააკაშვილმა მექალთანის იმიჯის შექმნას თავადვე დაუდო დასაბამი. წლებია, ქართულ საზოგადოებას სრულიად გაუგონარი და ზოგჯერ დაუჯერებელი ამბები ესმის მიხეილ სააკაშვილის ქალების მიმართ გამოჩენილი ზედმეტი **"გემო-ვნების"** შესახებ. იმ ისტორიებში, რასაც ჟურნალისტები ყველაზე ხშირად ვისმენთ ამა თუ იმ წყაროდან, ბევრი ცნობილი ქალბატონის გვარ-სახელი იკვეთება. ამ ამბების გადამოწმება მათთან შეუძლებელია, რადგან პრეზიდენტის სიმპათიებს შორის ისეთი ქალბატონები არიან, რომლებთან დაკავშირებაც, ხშირ შემთხვევაში, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ისინი არც ინტერვიუს თანხმდებიან და არც კომენტარს.

ასე რომ, მივყვეთ თანმიმდევრულად, თუმცა აქვე დავძენთ, რომ ჩვენს რუბრიკას **"ჭორი და მართალი"** ჰქვია, შესაბამისად, დაზუსტებული ინფორმაცია პრეზიდენტის სასიყვარულო ამბებისა და ვნებების შესახებ არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ანონიმური წყაროები, რომლებიც შესაშური ენაწყლიანობით ჰყვებიან ამა თუ იმ კერძო შემთხვევის შესახებ.

2003 წელს, მაშინ, როდესაც მიხეილ სააკაშვილი საკუთარ თანამებრძოლებთან ერთად ქვეყნის სათავეში მოსასვლელად იბრძოდა, როგორც ამბობენ, რევოლუციური მისვლა-მოსვლიდან თავისუფალ დროს ხშირად სტუმრობდა ძველ სიყვარულს, ია ფარულავას.

ხშირად გვსმენია იმის შესახებ, რომ მიშას ია ჯერ კიდევ მაშინ მოსწონდა, როდესაც თანაკლასელები იყვნენ, თუმცა ფარულავა მის გრძნობას გულგრილობით პასუხობდა. ია ფარულავას გული მომავალმა პრეზიდენტმა ვერა და ვერ მოინადირა, სამაგიეროდ, პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ ძალიან დაუახლოვდა. როგორც აღნიშნავენ, მოგვიანებით, როდესაც იას გვერდით ბიზნესმენი ფადი ასლი აღმოჩნდა, ამ უკანასკნელს მსახიობი ბევრ საჭირო საქმეს უგვარებდა ძველი ნაცნობობის წყალობით. დავუბრუნდეთ ისევ 2003 წლის ნოემბერს. რევოლუციონერი სააკაშვილი ბევრჯერ შეუნიშნავთ იმ პერიოდში ია ფარულავას სახლთან, თუმცა უცნობია, რისთვის სტუმრობდა თანაკლასელსა და ძველ მეგობარს, იქნებ, გარკვეულ რჩევებს ეკითხებოდა პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით?!.



საგულისხმოა ის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ იმ დროს მიშა უკვე დაქორწინებული გახლდათ ჰოლანდიელ სანდრა რულოვსზე და პატარაც ჰყავდა, ედუარდი. როგორც ამბობენ, შვილს ეს სახელი მაშინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის პატივსაცემად დაარქვა, თუმცა კი ამას შემდეგ წლებში არ აღიარებდა და დაჟინებით აცხადებდა, რომ შვილს სახელი ჰოლანდიელი სიმამრის პატივსაცემად შეურჩია. **"მოქალაქეთა კავშირის" "გრიმიტობის"** დროს ედუარდის დარქმევა ბავშვისთვის პოლიტიკურად მომგებიანი ნაბიჯი იყო, ვარდების რევოლუციის შემდეგ კი, როდესაც საქართველოს **"ახალი ისტორიის ათვლა"** დაიწყო, გოიმობა.

სანდრასთან დაკავშირებით ამ წლებში ასევე ბევრი ჭორი ვრცელდებოდა. სანამ პატარა ნიკოლოზი გაჩნდებოდა, როგორც ამბობენ, პრეზიდენტის მეუღლემ, რომელიც ქმრის განუწყვეტელ ღალატს ვერ უძლებდა, ბევრჯერ სცადა მასთან დაშორება და საქართველოდან რამდენჯერმე გაიქცა. მასთან ურთიერთობის **"დალაგება"** პრეზიდენტსა და მის გარემოცვას გიგი წერეთლისთვის ჰქონდა დავალებული. გავრცელებული ხმების თანახმად, სწორედ ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე აწარმოებდა მოლაპარაკებებს პირველ ლედისთან და მას დასაბრუნებლად, როგორც ჩანს, მტკიცე არგუმენტებსაც წარუდგენდა. საბოლოოდ, სანდრა ბედს დამორჩილდა და საქართველოში დაბრუნდა, შემდეგ კი პატარა ნიკოლოზიც მოევლინა ქვეყანას.

თუმცა პრეზიდენტის სიმპათიებზე და ფავორიტებზე საუბარი ამით არ დასრულებულა. ბევრს ლაპარაკობდნენ ერთი საინტერესო შემთხვევის შესახებ – პრეზიდენტის ვიზაჟისტი, ქალბატონი, რომლის სახელსაც მხოლოდ იმის გამო არ ვასახელებთ, რომ დღეს ის გათხოვილია, დიდხანს მიიჩნეოდა პრეზიდენტის ერთ-ერთ დიდ სიმპათიად. მისი დღევანდელი მეუღლე, როგორც ბოროტი ხმები ღაღადებენ, ოფიციალურად მისი მეხუთე ქმარია, თუმცა ეს ბევრმა არ იცის. ეს გახლავთ ქალაქის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა, რომელიც დღესაც თანამდებობაზეა. გავრცელებული ხმებით, სწორედ ამ ქალბატონის გამო აპირებდა პრეზიდენტი სანდრა რულოვსის მიტოვებას და სწორედ მის გამო დატოვა საქართველო რულოვსმა, რომელიც იმ პირობით დაუბრუნდა ოჯახს, თუკი იმ ქალის ხსენებაც კი არ იქნებოდა. მართლაც, მცირე ხანში პრეზიდენტის ყოფილი ფავორიტი გათხოვდა, მის ქორწილს მიშა სააკაშვილიც ესწრებოდა, შემდეგ, ასევე მცირე ხანში გამოთხოვდა და შემდეგ ზემოხსენებული მაღალჩინოსნის ცოლი გახდა.

კიდევ ერთი ასეთი სასიყვარულო ამბავი აკავშირებდა პრეზიდენტს ქალთან, რომელიც დღეს კიდევ ერთი, ასევე ძალიან გავლენიანი და დღესაც პოსტზე მყოფი **"ნაციონალის"** მეუღლე გახლავთ. ის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახლაც აქტიურობს და საკუთარ მოსაზრებებს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე ყოველდღიურ რეჟიმში თამამად და ხშირად უცენზუროდაც გამოთქვამს. ის ოფიციალურად ორჯერ გახლავთ გათხოვილი. სანამ მეორედ გათხოვდებოდა, მანამდე, როგორც ამბობენ, გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა მიხეილ სააკაშვილთან, თუმცა შემდეგ ეს ურთიერთობა გაწყდა. როგორც ჩანს, ქალბატონმა თავისი ნამდვილი სიყვარული სხვა **"ნაციონალთან"** იპოვა...

აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილი იმ იშვიათ მამაკაცთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც ყოფილ სიმპათიებს გულდაწყვეტილებს არ ტოვებენ. სხვათა შორის, ეს არცთუ ცუდი თვისებაა კაცისთვის, თუკი ამას ბიუჯეტისა და სახელმწიფოს ხარჯზე არ აკეთებს...

ცნობილი ამბავია და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ყოფილი პარლამენტარი ნინო კალანდაძეც ხშირად ჰყვებოდა, როგორ გაიცნო პრეზიდენტი თვითმფრინავში და როგორ ათრევინა ჩემოდნები, შემდეგ კი, მცირე ხანში როგორ მიიღო შეთავაზება პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსაჩენად. კალანდაძე, რომელიც თავიდან ძალიან მხიარული გოგონა ჩანდა და გულთბილად ურთიერთობდა ჟურნალისტებთან, ერთ მშვენიერ დღეს ჩაიკეტა და ქცევის კოდექსიც კი შეიმუშავა, რომელიც პარლამენტარებისთვის იყო განკუთვნილი და გარკვეული პუნქტები ჩაცმულობასაც ეხებოდა. კოდექსში ხაზგასმულად ეწერა, როგორ არ იყო მისაღები ზედმეტად მოკლე კაბა და დეკოლტე პარლამენტარი ქალბატონებისთვის, თუმცა თავად ნინო კალანდაძე მცირე ხნით ადრე ჟურნალ **"რეიტინგისთვის"** კაბაწამოხდილი პოზირებდა მაგიდაზე ფეხებშემოწყობილი. ამდენხნიანი კარიერის განმავლობაში უცვლელი დარჩა მისი ვარცხნილობა და ზედმეტად ჩახვეული წინადადებები. მცირე ხნის წინ ნინოს შვილი შეეძინა, თუმცა დღემდე არ ამხელს, ვისგან. ის გათხოვილი არ არის და შესაბამისად, ამ ამბავს დიდი ინტერესი მოჰყვა საზოგადოების მხრიდან. ნინო კალანდაძე დღემდე დუმილს ინარჩუნებს და არ ამბობს, ვინ არის ბავშვის მამა.

ალანა გაგლოევა, რომელიც წლებია, სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობს პრეზიდენტის აპარატში, ასევე მიიჩნეოდა მიშას ფავორიტად. ამბობენ, რომ როდესაც ალანა ვაზისუბანში ცხოვრობდა, პრეზიდენტის ბრძანებით, პირველ რიგში იქ გააკეთეს გზები, რომ მისი მონახულება უპრობლემოდ შესძლებოდა, თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ ჭორებია. ფაქტია, რომ ალანა თავის მოვალეობას თავდაპირველად კარგად ვერ ასრულებდა და პრეზიდენტის პრესსპიკერის პოსტზე უხერხულადაც გრძნობდა თავს. მას წინადადების გამართულად თქმა უჭირდა, მოგვიანებით ეს ხარვეზი მეტ-ნაკლებად გამოასწორა, თუმცა კი იმ პოსტიდან სხვაგან გადაანაცვლეს.

ერთ-ერთი ქალბატონი მინისტრი (რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს – საკმაოდ ნიჭიერი და საქმიანი), უცხოეთიდან ჩამოსვლისა და დანიშვნის დღიდან ოპოზიციის ყბიდან ვერ ამოვიდა. მისი გარეგნული მონაცემები ძალიან თვალში საცემი გახდა და ბევრს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ ის პრეზიდენტის პირადი სიმპათიის გამო დაინიშნა ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ის პრეზიდენტმა კანადაში ნახა და როგორც ამბობენ, გულში მაშინვე ჩაუვარდა, თუმცა არა მხოლოდ ის, არამედ მისი დაც, რომელსაც თავისი დის სამინისტროში სერიოზული პროექტების განხორციელება დაევალა. ეს დები ერთად ცხოვრობდნენ, როგორც ამბობენ, მომღერალ სოფო ნიჟარაძის ბებიის მახლობლად. როგორც კი სოფოს ბებია



გადაკეტილ ქუჩას დაინახავდა, მყისვე, მეზობლების თქმით, მისი შვილიშვილის სექსუალური **"კონკურენტი"** დების ლანძღვას იწყებდა. რატომ? აი, აქ მივადექით ყველაზე მთავარს, ფავორიტთა ფავორიტს, მომღერალ სოფო ნიჟარაძეს, რომლის კარიერის აწყობაც ქართველ ხალხს, ამ სიტყვის პირდაპირი და არა გადატანითი მნიშვნელობით, ძალიან ძვირი დაუჯდა. სოფო ნიჟარაძე პრეზიდენტმა პირველად საზღვარგარეთ ნახა.

შეგახსენებთ, მომღერალი 16 წლის ასაკიდან რუსეთში ცხოვრობდა, იქ მიუზიკლებში მონაწილეობდა, თუმცა შემდეგ იგორ კრუტოიმ, როგორც ამბობენ, **"ხელი არ მოჰკიდა"**. აგვისტოს ომის შემდეგ კი სოფომ საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა, თუმცა არა ჰაერზე, არამედ პრეზიდენტის პირადი მოწვევით. მას შემდეგ სოფო ნიჟარაძემ პრეზიდენტის ძველი ფავორიტი მომღერალი ნინი ბადურაშვილი ჩაანაცვლა. ნინის მიხეილ სააკაშვილი, როგორც გვითხრეს, დიდხანს დასდევდა, სანამ გარკვეული ხნით ოჯახმა მოსკოვში არ გადამალა და თუკი მანამდე ბადურაშვილს **"ფსოუს წყალი"** ამღერეს და სწორედ მისთვის იყო განსაზღვრული ყველა სახელმწიფო ღონისძიებაში მთავარი როლის შესრულება, ეს როლი მისთვის სოფო ნიჟარაძის ქართულ შოუბიზნესსა და თამამად შეიძლება ითქვას, პოლიტიკაში გამოჩენით დასრულდა.

ვრცელდებოდა ხმები, რომ პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი სოფოზე დაქორწინებას გეგმავდა. ამ ხმების გავრცელებას კი ძალიან უწყობდა ხელს მომღერლის ოჯახის დამოკიდებულება. სოფოს დედა და თავად მომღერალი, ჭორების თანახმად, პრეზიდენტის სასახლეში ცხოვრობენ, ხოლო ქართული მიუზიკლების ვარსკვლავის დედა ახლობლებთან საუბრისას ხშირად უსვამდა ხაზს იმას, რომ მიხეილ სააკაშვილი, ფაქტობრივად, მისი სიძე გახლდათ. რომ არა პრეზიდენტის პირადი დაინტერესება, რომელიც მიუზიკლების დადგმაში სერიოზულ როლს თამაშობდა და ყველა დეტალში აქტიურად ერეოდა, გამორიცხულია, ნორმალურ ქვეყანაში ყველა მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიების მთავარ მოთამაშედ მხოლოდ ერთი შემსრულებელი შეერჩიათ, მაშინ, როცა ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში უამრავი სხვა კარგი მომღერალი არსებობს.

როცა ნიჟარაძისთვის სპეციალურად ჩამოიყვანეს სტივ უანდერის ბექ-ვოკალისტი დეჟა გომესი, რომელთანაც ერთად დუეტი ჩაწერეს და კლიპიც გადაიღეს, ყველა საახალწლო ღონისძიების დაგეგმვისას მთავარი ის გახლდათ, ვისთან ესიამოვნებოდა დუეტის შესრულება სოფო ნიჟარაძეს და რამდენად დათანხმდებოდა უცხოელი შემსრულებელი ქართველ მომღერალთან დუეტს. ბოლოს საქართველოს ხოაკინ კორტესი სტუმრობდა, რომელსაც, ამბობენ, მილიონი გადაუხადეს იმისთვის, რომ სოფოს რაბათისადმი მიძღვნილ კლიპში ხელი ერთი-ორჯერ აექნია.

სოფო ნიჟარაძისთვის დაიწერა თითქმის ყველა ის სიმღერა, რომელიც მთავრობამ ამა თუ იმ რეგიონის გასაპიარებლად მოამზადა. უცხოელ მომღერალს ფეხი ისე არ შემოუდგამს საქართველოში, რომ ყურებამდე გაღიმებული და ბრენდულ სამოსში გამოწკეპილი სოფო არ დაეხვედრებინათ აეროპორტში, გინდათ თუ არა, ამ გოგონასთან დუეტი უნდა შეასრულოთო. არადა, როდესაც სოფო ბოჩელისთან თუ ოპერის სხვა ვარსკვლავებთან ერთად ამღერეს, აშკარა იყო უცხოელების დიდი უპირატესობა ქართველ შემსრულებელთან შედარებით, რადგან არ არის სოფო ოპერის მომღერალი და ეს მგონი, ყველასთვის ნათელია. როდესაც გყავს ისეთი საოპერო მომღერლები, როგორებიც არიან ნინო სურგულაძე, ნინო მაჩაიძე, ანიტა რაჭველიშვილი და სხვანი, იქ სოფო ნიჟარაძის ადგილი არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო დონის ოპერის შემსრულებლებთან ერთად.

სოფოს საკმაოდ უხეშ ხასიათზე წუწუნებდა თითქმის ყველა, ვისაც კი მასთან მუშაობის შესაძლებლობა ჰქონია. **"ვერის უბნის მელოდიების"** ორკესტრანტებს ხელფასის გაზრდა უთხოვიათ, თუმცა პირველი, ვინც ამის წინააღმდეგ გამოსულა, სწორედ ქართველი დივა გახლდათ, რომელიც ბევრ რამეს წყვეტდა მიუზიკლებთან, და არა მარტო ამ დადგმებთან დაკავშირებით.

სოფოს საკმაოდ მძიმე ხელი, როგორც ამბობენ, მინისტრმა ქალბატონმაც იგემა. თვითმხილველი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, ჰყვება, რომ ყვარლის რეზიდენციაში აწ უკვე ყოფილ მინისტრსა და დივას შორის სერიოზული შეხლა-შემოხლა მომხდარა. ორივე ქალბატონი იქ ყოფილა, მინისტრი გარეთ იჯდა, როდესაც ნიჟარაძე გამოუვარდა, ჯერ სიტყვიერად შეურაცხყო, შემდეგ კი ერთმანეთს ხელითაც შეეხნენ. როგორც ამბობენ, სოფომ მინისტრი დაჯაბნა და ფიზიკურად გაუსწორდა, თმით ითრია. რასთან დაკავშირებით ჰქონდა პრეტენზია სოფოს, უცნობი დარჩა, თუმცა კი, შესაძლოა, ეს ფავორიტობის თემას უკავშირდებოდეს.

კიდევ ერთი, ვისთანაც ამ მხრივ სოფოს შესაძლოა, გასაყოფი ჰქონოდა, უკრაინელი მომღერალი ივანა მელაია. ნანა ლეჟავას ჟურნალისტური გამოძიებიდან გაირკვა, რომ ერთ წელს ბათუმის **"რადისონში"** მელაი და სააკაშვილი ერთსა და იმავე დღეს იმყოფებოდნენ და პრეზიდენტის დაცვამ მომღერალს ნომრის ფულიც გადაუხადა. დღემდე გაუგებარია, იქ, სადაც შოუბიზნესი ისედაც ცუდ დღეშია და ქართველ მომღერლებს არაფრის შესაძლებლობა არ აქვთ, რატომ გაუჩნდა სურვილი უკრაინელ შემსრულებელს, რომელსაც საკუთარ ქვეყანაში ძლივს ცნობენ და არც დიდი ვოკალური მონაცემებით გამოირჩევა, საქართველოში გადმოსახლებულიყო და კარიერა აქ აეწყო. მელაი თითქმის ყველა ქართულ გადაცემას ესტუმრა და **"პიკის"** ხარჯზე, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებდა, მთელი მსოფლიო მოიარა ფრიად უინტერესო გადაცემის შესაქმნელად, რომელსაც დიდად არც არავინ უყურებდა. მელაიმ აქ ისეთი კარიერა აიწყო, როგორზეც უკრაინაში ვერც კი იოცნებებდა. და ეს იმ ქვეყანაში, სადაც მომღერლებს პურის ფული არ აქვთ. საინტერესოა, რა დაფინანსებით მოახერხა მელაიმ ამ ყველაფრის მიღება? და დარჩება თუ არა საქართველოში მას შემდეგაც, რაც სახელმწიფო მხარდაჭერა და დაფინანსება მოაკლდება?

(გაგრძელება მე-12 გვერდზე)

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# საქართველომ ოლიმპიური გადაწყვეტილება მიიღო



უკვე სავსებით ცხადია, რომ სოჭის ოლიმპიადა მეზობელი საქართველოს მხრიდან ბოიკოტს თავიდან აიცილებს. ამის შესახებ ოქტომბრის დასაწყისში საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტია **„ქართული ოცნების“** ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა. პრესკონფერენციაზე ივანიშვილმა უარყო მედიაში გავრცელებული ცნობა იმის თაობაზე, რომ თითქოს მისი კოალიცია ამერიკის შეერთებული შტატების პროექტია, რომლის ძირითად მიზანს სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირება და ჩაშლა წარმოადგენს.

**„საქართველომ მონაწილეობა უნდა მიიღოს ოლიმპიადაში და როგორც მეზობელმა, ყველაფერი უნდა იღონოს, რათა ოლიმპიადამ მშვიდად და ექსცესების გარეშე ჩაიაროს“,** – განაცხადა ივანიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საუბრები ბოიკოტის შესახებ ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულ დაპირისპირებამდე წარმოიშვა და საქართველოს შემადგენლობაში მხოლოდ დე იურე შემავალ რესპუბლიკებთან – სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან მოსკოვის ურთიერთობების საკითხს უკავშირდებოდა. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მოუწოდა მსოფლიო თანამეგობრობას, გაემეორებინათ მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის ბოიკოტი და იმდროინდელი სიტუაცია ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანას შეადარა.

ვნებათაღელვა, სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით, 2008 წლის შემდეგ გამწვავდა, როცა ორივე სახელმწიფომ ძმათამკვლელი ომის შედეგად დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა. ხოლო 2010 წლის ნოემბერში ცნობილი შეიქნა, რომ ქართველმა პარლამენტარებმა მთელი კამპანია შეიმუშავეს, რათა შეჯიბრებები რუსეთის ქალაქიდან სხვაგან გადაეტანათ. არგუმენტად კი ის მოიყვანეს, რომ ოლიმპიადა აფხაზეთის საზღვართან იმართებოდა, რომელსაც საქართველო, მიუხედავად რესპუბლიკის ფაქტობრივი ავტონომიისა, თავისად თვლიდა. თანაც, ქართული მხარე დაუფარავად მიანიშნებდა ტერორისტული აქტის დიდ საშიშროებაზე, რაც ჩრდილოეთ კავკასიაში გართულებულ სიტუაციას უკავშირდებოდა. ოლიმპიადაში მონაწილეობა კი აუცილებელია, თუნდაც სპორტის ზამთრის სახეობები შენს ქვეყანაში არ იყოს სათანადოდ განვითარებული.

აქედან გამომდინარე, თავისი იმედები სოჭში საქართველოს შეუძლია მხოლოდ 22 წლის ელენე გედევანიშვილს დაუკავშიროს, რომელიც პირველი ქართველი მოციგურავეა, ევროპის ჩემპიონატის ორი მედალი რომ მოიგო – ბრინჯაოსი 2010 და 2012 წლებში. ამჟამად იგი მსოფლიოს მოციგურავეთა ათეულში შედის.

საქინფორმი

# ლევან ყენია: ბედნიერი ვარ, რომ მწვრთნელმა შანსი მომცა

უფროსი თაობის ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ საბჭოთა კავშირში ცნობილი ფეხბურთის გუნდი ლვოვის **“კარპატი”**, რომელიც თბილისის **“დინამოს”** საკმაოდ უხერხული მოწინააღმდეგე გახლდათ. ამ გუნდს შეეძლო ქართველებთან ლვოვში წაეგო მატჩი დიდი ანგარიშით, თუმცა, მეორე წრეში თბილისში დიდი პრობლემა შეექმნა ქართველი ფეხბურთელებისათვის და უაღრესად საჭირო ქულები დაეთმობინებინა მისთვის. და ახლა, თითქოს ყურს ჭრის ის გარემოება, რომ დიდი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ამ უკრაინული გუნდის ღირსებას იცავენ ქართველი ფეხბურთელები. თუმცა, ნიჭიერ ქართველ ფეხბურთელებზე საბჭოთა კავშირის გუნდებში ყოველთვის დიდი მოთხოვნები იყო. განა სწორედ რუსეთისა და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების საფეხბურთო გუნდებში არ აღიზარდნენ და დიდ ფეხბურთელებად არ ჩამოყალიბდნენ სლავა მეტრეველი, ანზორ კავაზაშვილი, **“გოჭო”** უნგიაძე, არკადი ჭანჭალეიშვილი, ვლადიმერ მიკუჩაძე და სხვები და სხვები?!

ისიც ფაქტია, რომ სწორედ საბჭოთა კავშირში არსებულმა დიდმა სპორტულმა კონკურენციამ გაიყვანა ქართული ფეხბურთი საერთაშორისო არენაზე, თბილისის **“დინამომ”** კი 1981 წელს სწორედ დიდი საფეხბურთო წრთობის შედეგად მოიპოვა უნიკალური პრიზი: **“ევროპის თასის მფლობელთა თასი”!**

რაც შეეხება ჩვენს ძირითად სათქმელს: ლვოვის **“კარპატისა”** და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ლევან ყენიამ **“გოვერლასთან”** უკრაინის ჩემპიონატის მე-12 ტურის მატჩზე ისაუბრა.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა ფეხბურთელმა ლვოველთა რიგებში თამაში სასტარტო შემადგენლობიდან დაიწყო. **“კარპატიში”** ყენიას გარდა საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელი, ბუბა დაუშვილი ირიცხება.

აქვე გეტყვით, რომ მატჩი ფრედ, ანგარიშით 1:1 დასრულდა, ყენიას კი გოლის გატანა შეეძლო, თუმცა მეტოქე გუნდის კარი ძელმა იხსნა.

**“ორი წლის წინ ფეხბურთს საერთოდ ვერ ვთამაშობდი. ამიტომ ძირითადში გამოჩენამ ძალიან გამახარა. ბედნიერი ვარ, რომ მწვრთნელმა შანსი მომცა.**

**მატჩის შედეგი? აქ სასიხარულო ნამდვილად ცოტაა. შეგვეძლო და უნდა მოგვეგო კიდეც, თუმცა არ გაგვიმართლა.**

**“გოვერლას” კარი ორჯერ ძელმა იხსნა”,–** განაცხადა ყენიამ **“კარპატის”** ოფიციალურ ვებგვერდთან საუბრისას.

უკრაინული კლუბის წარმომადგენელი ასევე საქართველოს ნაკრების თემით დაინტერესდა.

**– სულ ახლახან დაბრუნდი ნაკრებიდან, სადაც მაშინაც გიძახებდნენ, როცა “კარპატიში” არცთუ ისე სტაბილურად გამოდიოდი მოედანზე...**

– რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ ნაკრებში არ დავავიწყდი და თვლიან, რომ ეროვნული გუნდისთვის სარგებლის მოტანა შემიძლია. თუმცა ორი მატჩიდან მხოლოდ ერთი ქულა ავიღეთ.

რაც შეეხება გამოძახებას, თემურ ქეცბაიას ნიკოლაი კოსტოვთან (**“კარპატის”** მთავარი მწვრთნელი) ურთიერთობა აქვს და ამიტომ მან იცოდა, თუ რა ფორმაში ვიმყოფებოდი.




**გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624**

**თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.**

საგამომცემლო ჯგუფი




# პრეზიდენტის “ნაშები”და ფავორიტები

(გაგრძელება მე-11 გვერდიდან)

პოლიტიკურ ასპარეზზე კიდევ ერთი გოგონა გამოჩნდა, ის ყველაზე ახალგაზრდაა მიშას ფავორიტებს შორის. ნაზი არონიას 21 წლის შვილი, მარიამ საჯაია, რომელიც შესაშური გარეგნობით გამოირჩევა. ის **“ნაციონალების”** სიის პირველ ათეულში მოხვდა და როგორც ამბობენ, სწორედ მისთვის დაწიეს პარლამენტარობის ასაკი. გაუგებარი რჩება, რა დამსახურებებისთვის მისცეს მას ერთ დროს მმართველი პარტიის სიის პირველ ათეულში მოხვედრის საშუალება. ამბობენ, რომ მარიამით ფრიად მოხიბლულია საქართველოს პრეზიდენტი და მას თვალი დაადგა. მარიამი, მასთან დაახლოებული პირების თქმით, უბანში ფრიად პოპულარული გოგონაა და მამაკაცების ყურადღებით განებივრებულია, თუმცა როდესაც ქვეყნის ბედს ეხება საქმე, ის გადასაწყვეტად არ უნდა მიანდო 21 წლის გოგონას, რომელსაც ჯერ თავისი გართობა და ტაშფანდური არ აქვს მოლეული.



რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს აქვს პირადი ცხოვრების უფლება, მათ შორის, ქვეყნის პრეზიდენტსაც, თუმცა ეს, კიდევ ერთხელ ვამახვილებთ ყურადღებას, არ უნდა ხდებოდეს ბიუჯეტისა და ქვეყნის, ხალხის ინტერესების ხარჯზე. საკუთარ ფულს კი ვინ ვის დაახარჯავს, არავისი საქმე არ არის...

პრეზიდენტის ფავორიტებზე არ წერს მხოლოდ ჟურნალი **“რეიტინგი”**. წინა კვირას რუსული ინტერნეტსივრცე მოიარა **“ტაინიზვეზდ.რუ”**-ს ერთ-ერთმა პუბლიკაციამ სახელწოდებით **“მიხეილ სააკაშვილმა ძალაუფლება თავის საყვარლებს გადაუნაწილა”. “მიხეილ სააკაშვილს მინისტრთა კაბინეტი კი არა, ნამდვილი ჰარამხანა აქვს,** – აღშფოთებულები საუბრობენ ქართველი პოლიტიკოსები, – **პრეზიდენტის ადმინისტრაცია სააკაშვილის საყვარლებით არის დაკომპლექტებული. ამასთან დაკავშირებით პარლამენტში ხუმრობაც კი დადიოდა, თუ გინდა გახდე მინისტრი, მიხეილ სააკაშვილს უნდა ჩაუგორდე საწოლშიო. მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი გახდა, სხვადასხვა თანამდებობაზე ერთიმეორის მიყოლებით ულამაზესი ქალბატონები დაინიშნენ”,** – წერს რუსული საიტი. მასალაში საუბარია **“პოლიტიკურ სტრიპტიზიორ”** ქალბატონ მინისტრსა და ალანა გაგლოევაზე, ნინო კალანდაძეზე, ასევე სოფო ნიჟარაძის შესახებაც. სტატიაში ნახსენებია ნინა წკრიალაშვილიც, რომელიც, როგორც რუსი ჟურნალისტი წერს, მას შემდეგ დაინიშნა კულტურის სამინისტროში, რაც ეროვნული დროშის სიმბოლიკიანი ბიუსტჰალტერით გადაიღო ფოტო. რუსული საიტი, რომელიც ვარსკვლავთა საიდუმლოებების შესახებ წერს, აქვეყნებს ზემოთ ჩამოთვლილი ქალბატონების ფოტოებსაც და დასძენს, რომ ურიცხვ საყვარლებთან გართობის გამო სააკაშვილი თავის საპრეზიდენტო მოვალეობებს ნორმალურად ვერ ასრულებს.

**სტატია გამოქვეყნებულია ჟურნალში “რეიტინგი”**



ISSN 1987-8966 “ილორი”

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge